„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ“ – *ვაჟა*

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2014 წ. სექტემბერი * №42 * ფასი 1 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



ნუ გაყიდით მიწას!!!

გვ. 5

მცდელობები კონსტანტინე გამსახურდიას (1891-1975) შემოქმედების მნიშვნელობის დაკნინებისა და მისი მიზეზები

გვ. 16

დეფორსირებული ცვლობა ხელისუფლების პირველობისა თუ უმაღლესობისათვის

ლეილა ცომაია 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, საქართველოს მოსახლეობა, რომ ფაქტობრივად და იურიდიულადაც ირჩევდა (უკაცრავად, და) ჩუჩელას, ჩვენ ამაზე 2013 წელსვე არჩევნებამდე ვწერდით, რამეთუ საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის გამოცხადებას უძღოდა საკონსტიტუციო ცვლილებების ფორსირებული პროცესი, რომლის ძირითადი შინაარსი ფართო საზოგადოებისათვის, მის გამოქვეყნებამდე უცნობი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტი, პარლამენტამდე სხვადასხვა სამეცნიერო, სასწავლო თუ საზოგადოებრივ წრეებში ეტაპობრივად იხილებოდა და მწვავე დებატებიც იმართებოდა, საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღეთ საკონსტიტუციო გადატრიალება. ეს გახლდათ რევოლუციური საკონსტიტუციო რევანში პარტია „რესპუბლიკელების“ მხრიდან დავით უსუფაშვილის სპიკერობით. ამ კონსტიტუციური ცვლილებით, არა მარტო შეკვეცილ-აყრილი იქნა პრეზიდენტის უფლება-მოსილებანი, არამედ თვით პრემიერ-მინისტრის უფლებებიც კი პარლამენტის კონტროლის ქვემდებარე გახდა. ანუ, „რესპუბლიკელების“ საკონსტიტუციო რევანშით ჩვენ მომავალში ვიღებთ საპარლამენტო რესპუბლიკას ყოველგვარი პლებისციტისა და რეფერენდუმის გარეშე! 27 ოქტომბრის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ფარსით კი, საქართველოს მოსახლეობამ, რეალურად აირჩია... ჩუჩელა!

იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობა თვალნათლივ დაგვერწმუნებინა გახორციელებულ ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებში, ჩვენი გაზეთის („განმათავისუფლებელი“, №37,

გაგრძელება გვ. 2

დემონსტრირებული ცილობა ხელისუფლების პირველობისა თუ უმაღლესობისათვის

დასაწყისი გვ. 1

2013 წ.) საარჩევნო ნომერში დეტალურად და მუხლობრივად განვიხილეთ კონსტიტუციის ის მუხლები და თავები, რომლებმაც ასეთი ძირეული, რევანშისტული ცვლილებანი განიცადეს; დაინტერესებულ მკითხველებს შეუძლიათ ინტერნეტში, ან ბიბლიოთეკებში ნახონ ჩვენი გაზეთის მითითებული ნომერი. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წინამდებარე წერილის პირველი გვერდებიც, იმ აწუკვე დასტამბული სტატიის რემინისცენციით იწერება, მაგრამ აქ მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს მუხლზე ვამახვილებთ განმეორებით ყურადღებას. კერძოდ, ძველი საკონსტიტუციო ნორმა -

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს

დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

- ასეა შეცვლილი:

[3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საქართველოს პარლამენტის ორ თანამიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. (ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

კონსტიტუციის ამ ახალ ერთ კონკრეტულ ნორმაზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქ იმიტომ ვამახვილებთ, რომ კონსტიტუციაში ამ ბოლო ცვლილებით მაქსიმალურად გართულებულია კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა!

თუკი ერთი წუთით მაინც დავბრუნდებით 2011 წელში, ანუ იმ ისტორიულ თარიღში, როდესაც უჩინ-მაჩინი მილიარდერი ივანიშვილი სრულიად მოულოდნელად, მეტეორივით შემოიჭრა ქართულ პოლიტიკაში და მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად, ყველას გასაკვირვად 0-რეიტინგიანი „რესპუბლიკელები“ დაასახელა, არ უნდა გაგვიჭირდეს ამ სამწუხარო და უხერხული რეალ-ვითარების ახსნა, - პრეზიდენტისთვის სახელისუფლო ბერკეტების მაქსიმალურად გამოცლის მცდელობები და დემონსტრირებული ცილობა ხელისუფლების პირველობისა თუ უმაღლესობისათვის.

ბიძინა ივანიშვილმა (სავარაუდოდ, თავისი საზღვარგარეთელი ფინანსური ლობისტებისაგან, პროგრამულად მიცემულ-გაწერილი საიდუმლო გეგმით) მეტეორული სისწრაფით მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონსტიტუციური ნგრევა, რასაც ჩვენში აქამდე არსებული პოლიტიკოსები მრავალ წელს ანდომებდნენ! თუმცა, საპრეზიდენტო უფლებამოსილების კონსტიტუციურად შეკვეცა-შესუსტების გადაწყვეტილება, სააკაშვილის დირექტივით, დავით ბაქრაძის პარლამენტმა მიიღო და შესაბამისი ცვლილებების პროექტიც დაწერა, მაგრამ უსუფაშვილმა, ამ უმაღლესი ინსტიტუტის სულმთლად კარიკატურული მოდელი შექმნა.

ივანიშვილ-უსუფაშვილის პოლიტიკური ტანდემის მზაკვრული გეგმით, 27 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ, პრეზიდენტის ნაცვლად (უკაცრავად, და) აირჩია ჩუჩელა! ხოლო, თავად ბანკირი ივანიშვილი კი, როგორც უკვე ვიცით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ფარსის შემდგომ, მეტეორული სისწრაფით გაქრა პოლიტიკიდან...

ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის ხანის აბსოლუტური ძალაუფლება ტირანულ-დიქტატორული რეჟიმებით, დაუყოვნებლივ უნდა შეცვლილიყო ძალაუფლების სახელისუფლო შტოებზე გადანაწილებით და ეს საკონსტიტუციო ცვლილებით გახორციელდა კიდეც, მაგრამ პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის აშკარად გამოხატულმა უპატივცემულობამ და პირველობისადმი ცილობის დემონსტრირებამ ტრაგიკომიკური ხასიათი მიიღო და გასცდა ქვეყნის შიდა ფარგლებს, რაც აზარალებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო იმიჯს, დაბლა სცემს ჩვენს პოლიტიკურ კულტურას.

პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი უპატივცემულობისა და არაგუნდურობის დემონსტრირება იყო მარგველაშვილის პირველი საპრეზიდენტო ანგარიშით წარდგომის დროს პარლამენტში პრემიერისა და მთავრობის მინისტრების დაუსწრებლობა. აგრეთვე, უშიშროების საბჭოს პირველი სხდომის, არა პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში ჩატარება, არამედ პრემიერის იძულებით მთავრობის სახლში, ხოლო სხდომაზე პრეზიდენტთან ერთად თავად პრემიერ ღარიბაშვილის არდასწრება.

2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა თბილისში განაახლა მუშაობა, პარლამენტის ახალგარემონტებულ და რეკონსტრუირებულ შენობაში კი არ აღმოჩნდა პრეზიდენტის კაბინეტი, გაუქმებულია საპრეზიდენტო ფლიგელიც.

სახელისუფლო ცილობას ფორსირებულად ერთვის ივანიშვილ- ღარიბაშვილის იმპერატიული მოთხოვნა პრეზიდენტ მარგველაშვილისადმი, დატოვოს ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენცია და გადავიდეს ათონელის ქუჩის გარემონტებულ ყოფილ აშშ საელჩოს შენობაში, რომლის გარემონტება დაიწყო და საპრემიერო რეზიდენციად განიმზადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტ მარგველაშვილის პრინციპული პოზიცია, არ დატოვოს ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენცია, პრეზიდენტის ინსტიტუტის სიმტკიცისა და იმიჯის შენარჩუნებითაც უნდა იყოს მოტივირებული. ამ მხრივ, ქართველი ერის მხრადაჭერა, პრეზიდენტ მარგველაშვილისადმია მიმართული.

ათონელის ქუჩის უძველესი არქიტექტურული შენობა საპრემიერო რეზიდენცია უნდა გახდეს.

მას, სწორედ ამ დანიშნულებით ჩაუტარდა უმაღლესი ხარისხის ევრო-რემონტი, რაზედაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეულ მილიონობით ლარი დაიხარჯა. ეს რეზიდენცია თავისი, შედარებით მყუდრო, არქაული ადგილ-მდებარეობით, ინფრასტრუქტურითა და არქიტექტურული ძეგლით, მნიშვნელოვნად აღემატება საბჭოური მემკვიდრეობის იმ ცკ-ს კვადრატებიან უსახურ შენობას, რომელსაც, რატომღაც ვერ ელევა ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი და მისი განცხადებით იქ შესანიშნავად გრძნობს თავს.

პრემიერ-მინისტრის ათონელის ქუჩაზე გადასვლით, აგრეთვე, ჭარბი ტრანსპორტისგან საგრძნობლად განიტვირთება ცენტრალური - რუსთაველის, ლეონიძის, სულხან-საბასა და ინგოროყვას ქუჩები და ეკოლოგიურად იშვებს გარემო ამ მონაკვეთში, სადაც ეკოლოგიურად ყველაზე საგანგაშოდ კატასტროფული ვითარებაა; მთავრობის სახლის წინამდებარედ არსებულ პატარა სკვერში ნაძვის ხეები ხმობის მდგომარეობაშია, ხოლო მოსწავლეთა სასახლის ახალგახსნილ დასვენების პარკის მთელ შემოგარენში ყველა ახალდარგული კედარი ექვს თვეში გახმა. სოლოლაკის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ამგვარ ეკოლოგიურ კატასტროფას ემატება, აგრეთვე ჯანმრთელობისათვის ასევე საზიანო სახელმწიფო დაცვისა და პატრულის მანქამნებისაგან ატეხილი ხმაური, რაც გაუსაძლისს ჰყოფს ამ ქუჩების მაცხოვრებელთა ყოველდღიურ ცხოვრებას.

მოველით, რომ ახალგაზრდა პრემიერი პრაგმატულად მიუდგება რეზიდენციის ცვლილების გადაწყვეტილებას და, ხალხისა და ეკოლოგიის სასარგებლოდ, პროგრესულ არჩევანს ათონელის ქუჩაზე გააკეთებს.

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ნატოს სამხედრო სწავლების ცენტრი გაიხსნება

5 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ნატოს უელსის (ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს უელსის მხარე სამი მილიონი მაცხოვრებლითა და 20 761 კვ.კმ. ფართობით) სამიტზე საქართველოდან გაემგზავრა სამთავრობო დელეგაცია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და ევროპასთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ალექსი პეტრიაშვილი.

ნატოს უელსის სამიტს დიდი გულისყურით ელოდა საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა და უმცირესობაც, ასევე არასამთავრობო ოპოზიციაც და სრულიად ქართველი ერიც.

სამიტის გახსნამდე, რამდენიმე დღით ადრე, ნატოს გენერალური მდივნის ანდერსენ რასმუსენის მიერ უკვე წინასწარ გაჟღერდა, რომ საქართველო ამ სამიტზე მიიღებდა „ოქროს ბარათს“, რაც ცხადია, არ იყო ქართველებისთვის ესოდენ სასურველი „მაპი“, მაგრამ ეს მაინც არის მნიშვნელოვანი გზავნილი რუსეთისთვის, რომ საქართველო ნატოს ინტერესის ქვეყნად რჩება. თუმცა, საქართველოს მთავრობის, კერძოდ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის უფრო ეფექტური, ცალსახა და გამჭვირვალე პოლიტიკური ორიენტაციის გამოხატულების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელი იყო ამ სამიტზე საქართველოს მიეღო „მაპი“(ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა), მაგრამ პრემიერ ღარიბაშვილის მთავრობა, რუსეთის ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის ფაქტიური მმართველობით, რუსეთთან და ამერიკასთან, ზუსტად ისეთივე დაბალანსების პოლიტიკას ეწევა, როგორც ბოლო დროს ეწეოდა ე. შევარდნაძე. რომელმაც პირველმა მიუკაკუნა ნატოს კარს.

ამგვარმა სამთავრობო პოლიტიკამ განაპირობა, ნატოს 5 სექტემბრის სამიტზეც, საქართველოსთვის „მაპის“ არმიცემის გადაწყვეტილება.

უფრო მეტიც, უელსის სამიტის დეკლარაციიდან გაქრა საქართველოს, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყნის სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო კიდევ დიდხანს (შეიძლება რამდენიმე ათეული წელი) ვერ გახდება ნატოს ნამდვილი წევრი. საქართველოს ნატოს ასპირანტი ქვეყნის შესაძლებლობით ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი უახლოესი პერსპექტივა, რუსეთის მზარდი სამხედრო აგრესიის შემაფერეხებელი სამხედრო ძლიერებისა და დაცვის რეალური ბერკეტი;

ბიძინა ივანიშვილის ფაქტორითა და პრემიერ ღარიბაშვილის პოლიტიკით, საქართველო დიდი ხნით დაშორდა ნატოს!

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) წარმოადგენს ტრანსატლანტიკურ კავშირს, რომელიც აერთიანებს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას უნიკალურ ალიანსში თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ვაშინგტონის ხელშეკრულების მიხედვით ნატოს მთავარი და შეუცვლელი მიზანია მისი ყველა წევრის მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტირება პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. ამიტომ 1949 წ. მისი დაარსებიდან, ნატო უზრუნველყოფს მისი წევრების კოლექტიურ თავდაცვას. ის, აგრეთვე გვევლინება მნიშვნელოვან საკონსულტაციო ფორუმად უსაფრთხოების საკითხებზე.

*NAT-ოს უელსის სამიტიდან რამდენიმე დღეში საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა აშშ-ს თავდაცვის მდივანი ჩაკ ჰეგელი. ამერიკის უმაღლესი სამხედრო პირი საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ერთად ვაზიანის სამხედრო ბაზას ეწვია. ერთობლივი შეთანხმებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ნატოს სამხედრო სწავლების ცენტრის გახსნის შესახებ **(რედ.).***

NATO-ს უელსის სამიტის 5 სექტემბრის დეკლარაცია

ვაქვეყნებთ NATO-ს უელსის სამიტის დეკლარაციის იმ ნაწილებს , რომელიც მხოლოდ საქართველოს ეხება:

“ნატო აღიარებს საქართველოს მნიშვნელოვან ძალისხმევას, რათა გააძლიეროს დემოკრატია და მოახდინოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვითი ინსტიტუტების მოდერნიზება.

ჩვენ მივესალმებით საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას, მათ შორის, ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემას 2012 და 2013 წელს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

მოვუწოდებთ საქართველოს, რათა მან გააგრძელოს რეფორმების იმპლემენტაცია, მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდირება, სასამართლო რეფორმების გაგრძელება და კანონის უზენაესობის სრული პატივისცემის უზრუნველყოფა.

NATO აფასებს საქართველოს მნიშვნელოვან კონტრიბუციას ISAF-ის ოპერაციაში და ითვალისწინებს იმ მსხვერპლს, რომელიც ქართულმა შეიარაღებულმა ჯარებმა გაიღეს ავღანეთში.

ეს კონტრიბუცია, საქართველოს შეთავაზებასთან ერთად, რომ მონაწილეობა მიიღოს NATO-ს საპასუხო ძალებში, აჩვენებს, საქართველოს როლს, როგორც წვლილის შემტანს ჩვენს საერთო თავდაცვაში.

2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ჩვენ შევთანხმდით, რომ საქართველო გახდება NATO-ს წევრი და ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ამ გადაწყვეტილების ყველა ელემენტს, ისევე, როგორც შემდგომ გადაწყვეტილებებს.

მას შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და მიუახლოვდა NATO-ს ამბიციური რეფორმების გატარებით და NATO-საქართველოს კომისიისა და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში ნაყოფიერი თანამშრომლობით.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან მოიცავს საჭირო ინსტრუმენტებს,რათაგაგრძელდესსაქართველოს წინსვლა სამომავლო გაწევრიანებისკენ.

დღეს ჩვენ მხარი დავუჭირეთ არსებით პაკეტს საქართველოსთვის, რომელიც მოიცავს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, წვრთნებს, გაძლიერებულ კოორდინაციას და თავსებადობის ზრდის შესაძლებლობებს.

ეს ზომები მიზნად ისახავენ გააძლიერონ საქართველოს უსაფრთხოება და თავსებადობა ალიანსთან, რომელიც დაეხმარება საქართველოს წინსვლაში ალიანსის წევრობის გზაზე.

ჩვენ კვლავ ვუჭერთ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მივესალმებით საქართველოს მხრიდან ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სრულად შესრულებას და სხვა მრავალმხრივი ღონისძიებების გატარებას ნდობის აღდგენისკენ.

მივესალმებით საქართველოს პირობას ძალის გამოუყენებლობის შესახებ და მოვუწოდებთ რუსეთს, უპასუხოს იმავეთი. ასევე, კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს, უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა და გაიყვანოს მისი ძალები საქართველოდან. მოვუწოდებთ ჟენევის მოლაპარაკებების ყველა მონაწილეს ითამაშოს კონსტრუქციული როლი და გააგრძელოს მჭიდროდ მუშაობა ეუთოსთან, გაეროსთან და ევროკავშირთან, რათა მშვიდობიანად მოგვარდეს კონფლიქტი საქართველოს საერთაშორისოდ ცნობილ ტერიტორიაზე.“

საქართველო ნახსენებია უელსის დეკლარაციის სხვადასხვა ნაწილშიც. „ვგმობთ რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის პრინციპების, ასევე გაეროს ქარტიის უგულებელყოფას. ვგმობთ რუსეთის ძალადობრივ პოლიტიკას საქართველოს და მოლდოვას რესპუბლიკების მიმართ“ - ნათქვამია დეკლარაციაში.

ასევე დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მიღებულია თავდაცვის და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების შესაძლებლობების გაზრდის ინიციატივის ამოქმედების გადაწყვეტილება. ინიციატივის მიზანია, მსხვილი საბრძოლო ძალების განთავსების გარეშე უზრუნველყოს სტაბილურობა. „ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს ინიციატივა გავრცელდება საქართველოზე, იორდანიისა და მოლდოვის რესპუბლიკაზე“- ვკითხულობთ დეკლარაციაში.

წყარო: http://www.tabula.ge/ge/story

ამერიკაში ემიგრირებული ვინმე ნანა ტატიაშვილისა და ბესარიონ გუგუშვილის სამხილად

ნანა ტატიაშვილო - გაშიფრული ხარ ვინცა ხარ, თვითონ ამერიკაში ლაღად ცხოვრობ და მაქედან საქართველოში მცხოვრებ პატრიოტებს აყენებ შეურაცხყოფას. შენ და შენი ჯგუფი, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები ავრცელებთ მკრეხელურ დეზინფორმაციებს, რომ პრეზიდენტი გამსახურდია სასტიკი წამებით კი არ მოკლეს, არამედ თავი მოიკლაო, და პარალელურად, აგრეთვე ჭორებს - ზვიადი ცოცხალიაო. შენც, გუგუშვილიც და სხვებიც შევარდნაძე-გულუას დაქირავებული მკვლელების სამსახურში დგეხართ და ამ საზარელი მკვლელობის გაპრავებას ემსახურებით. 2007 წელს, როცა როსტოვში სამხედრო ლაბორატორიაში, რუსეთის სპეცსამსახურებმა ექსპერტიზა ჩაუტარეს ზვიადის სკელეტს, მათ დაადასტურეს, რომ ზვიადი იყო ნაწამები და ორი ტყვია ჰქონდა ნასროლი და ისედაც იცოდნენ რუსებმა რომ ზვიადი მოკლული იყო. ამიტომაც თავის ქალის საკმაოდ დიდი ნაწილები გააქრეს და გადამალეს, რათა უტყუარი მტკიცებულებები გაექროთ და ზვიადის მკვლელობა დაეფარათ. სწორედ ამის მერე განსაკუთრებით გააქტიურდა გუგუშვილიც რუსული იმპერიალიზმის სასარგებლოდ, რადგანაც პუტინმა ხელახლა „დაავერბოვკა“ გუგუშვილი და თავის სამსახურში ჩაიყენა. ეხლა გუგუშვილი ებრძვის დასავლეთს და პუტინის სასარგებლოდ მუშაობს, ეგ გუგუშვილი იანუკოვიჩს უჭერდა მხარს და დღესაც აღმოსავლეთ უკრაინელი სეპარიტისტებისა და ტერორისტების მხარდამჭერია, რადგანაც პუტინის რეჟიმის სამსახურში დგას და იძულებულია რუსული იმპერიალიზმის სამსახურში იდგეს. ამიტომაც ეწევა სოციალური ქსელების საშუალებით ანტიდასავლურ ისტერიას.

ბესარიონ გუგუშვილი უზომოდ მადლიერია პუტინის რეჟიმის და რუსეთის სპეცსამსახურების, რადგანაც როსტოვის ლაბორატორიაში რუსეთის ფსბ-მ ზვიადის თავის ქალის უკანა მარცხენა ქვედა ნაწილი გადამალა, სადაც პირველი ტყვია ანუ სასიკვდილო ტყვია გამოვიდა და მას თავის უკანა ნაწილი გამოუნგრია. სწორედ როსტოვის დასკვნით თავის ქალის ეს დიდი მონაკვეთი საერთოდ გამქრალია, ანუ რუსებმა თავის ქალის საკმაოდ დიდი ფრაგმენტი გადამალეს, რომ სიმართლის დადგენა გაჭირდეს მომავალში, თუ ხელახალი ექსპერტიზა მომავალში ჩატარდება როდესმე. რუსეთის სპეცსამსახურებმა შევარდნაძე-გუგუშვილის ტანდემს ამით დიდი სამსახური გაუწიეს და ამის მერე 2007 წლიდან, გუგუშვილიც მნიშვნელოვნად გააქტიურდა პრო-რუსული იდეოლოგიის სასარგებლოდ. გუგუშვილი პუტინის რეჟიმს ჭირდება,

როგორც ზვიადის მომხრეებში, ასევე იჩქერიის ემიგრაციულ პირებთან თავიანთი პოლიტიკის, ანტიდასავლური პროპაგანდისა და ანტიდასავლური ისტერიის საწარმოებლად.

უთუოდ საინტერესოა ისიც, რომ მანანა არჩვაძეს პირად მიმოწერაში ვკითხე, რატომ არ ჩატარდა ექსპერტიზა გროზნოში- მეთქი და რატომ არავის უშვებდნენ ზვიადის ცხედართან ახლოს და რატომ იყო სასახლე მუდმივად თავდახურულ მდგომარეობაში დასაფლავების დღეებში? მან ასე მიპასუხა, სრულ სიმართლეს ყველაფერზე ვიტყვი, როდესაც პროკურატურაში ოფიციალურად გამომიძახებენ და დამკითხავენო. ე.ი. მას რაღაცის შიში აქვს, იქნებ იმ დაქირავებული მკვლელების ეშინია, რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან და მათი ნაწილი თბილისშიც კი ცხოვრობს. იქნებ თავის შვილების სიცოცხლეს უფრთხილდება, რადგანაც, როგორც ამბობენ, ადრეც ემუქრებოდნენ შვილების სიცოცხლის ხელყოფით, თუ სიმართლეს იტყოდა ზვიადის ცხედარი რა მდგომარეობაში ნახა გროზნოში დასაფლავების წინა დღეებში. ესეთი ინფორმაციაც გავრცელდა რუსულ ტელე არხებზე1994 წლის იანვარში, რომ გროზნოში დაუდგენელმა პირებმა გიორგი გამსახურდია გაიტაცესო და ეს სწორედ იმ დღეებში ხდებოდა, როცა შევარდნაძე, ავთანდილ იოსელიანის საშუალებით საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა დუდაევთან და აგრეთვე მანანა არჩვაძესთან, რომ თუ ზვიადს გროზნოში გადაასვენებდნენ, იქ ექსპერტიზა არ უნდა ჩატარებულიყო, რადგანაც ორივე მხარემ იცოდა, რომ ზვიადი მოკლული იყო. საბოლოოდ დუდაევი დაითანხმეს და მანანა კი დააშანტაჟეს. დუდაევს გუგუშვილის დანახვაც არ უნდოდა იმ დღეში. საბოლოოდ, შევარდნაძემ, დუდაევი ამაზეც დაიყოლია. შევარდნაძემ, აგრეთვე მიაღწია იმასაც, რომ მანანა არჩვაძე აიძულა პირობა დაედო, რომ ექსპერტიზას არასოდეს მოითხოვდა. ეს ყველაფერი შევარდნაძემ ფაქტიურად დოკუმენტურადაც გააფორმა და ამისთვის თავისი დაშანტაჟებული, უკვე მოკავშირე გუგუშვილი გამოიყენა. შევარდნაძის მოთხოვნით გუგუშვილმა მანანა არჩვაძე აიძულა პირობა — ექსპერტიზის არასდროს მოთხოვნის შესახებ დოკუმენტურად გაეფორმებინათ შეთანხმების სახით. ამიტომაც მოუწევს გუგუშვილს პასუხის გაცემა ქართული საზოგადოების წინაშე. ყველაფერთან ერთად ესეც საკმარისია იმის გასაგებად, რასთან და რამხელა შეთქმულებასთან გვაქვს საქმე, რითაც გუგუშვილმა თავისი თავი, უკანონო არალეგიტიმურ მდგომარეობაში ჩაიყენა. რა თქმა უნდა დუდაევი პრაგმატული პოლიტიკოსი იყო და მესამე ქვეყნებიდან საქართველოს გავლით ჩეჩნეთისკენ, იარაღის დიდი რაოდენობის ტრანზიტის სანაცვლოდ დათანხმდა ამ ყველაფერზე, რაც ზემოთ იყო აღნიშნული. რადგანაც დუდაევმა იცოდა, რომ რუსეთის იმპერიასთან გარდაუვალი და სასტიკი ომი ელოდა წინ.

დანიელ სავანელი

საქართველოს
ზვიად განმათავისუფლებლის პარტია
ZVIAD LIBERATOR'S PARTY OF THE GEORGIA
თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. 8 ტელ: 92 36 35; მობილ: 8 51 92 36 55
TBILISI, 380005, LEONIDZE STR. 8 TEL: 92 36 55; Mobil: 8 51 92 36 55

№_____ _____

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის
განცხადება!

facebook.-ზე იდება მრავალი სტატუსი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლების ნეგატიური შეფასებებით, რითაც მიზანმიმართულად გრძელდება ამ ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლების დისკრედიტაცია, ხოლო უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნული მთავრობის წევრები და თვით ეროვნული მოძრაობის უდიდესი არმია დუმს ამ უბინძურეს კამპანიაზე, რამეთუ ისინი (მათი უდიდესი ნაწილი) გახდნენ რენეგატები და გადაბარგდ-გადანაწილდნენ შევარდნაძე-სააკაშვილ-ივანიშვილის ბანაკში და აღარ აღელვებთ ჭეშმარიტი ფასეულობების შერყვნა, არ გააჩნიათ ამ ფასეულობების დაცვის ნება. ეს რენეგატი კატეგორია ყოფილი ეროვნულებისა იმდენად ინდიფერენტული გახდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მონაპოვრების მიჩქმალვა-გაუფასურების მიმართ, რომ ჩვენს მიერ facebook-ზე დადებულ საპოლემიკო სტატუსებზეც კი აღარ აფიქსირებენ თავიანთ მოწონებას, ამით მაინც რომ გამოგვიცხადონ თანადგომა საინფორმაციო ბრძოლაში.

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია ამგვარ საქციელს ყოფილი ეროვნულების მხრიდან აფასებს იდეური ღირებულებებისა და მრწამსის ღალატად და განდგომად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისგან!

ღმერთი არს ჩვენთან და იგია თანამდევი ჩვენს განუხრელ პოლიტიკური ბრძოლის გზაზე!

გაუმარჯოს ილიას,ზვიადისა და მერაბის გზას! ჩვენ ამ გზიდან ვერავინ გადაგვახვევინებს!

პარტიის თავმჯდომარე
ლეილა ცომაია, 2014 წლის 13 სექტემბერი.

კვლავ ყალბისმქნელების შესახებ

Facebook-ზე არაერთხელ დავდევი ლაკონური განცხადება ინტერნეტში არსებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ე.წ. გვერდების შესახებ, რომელიც ეკუთვნის ბესარიონ გუგუშვილს. ამასთან დაკავშირებული ყოველი ჩემი განცხადება წაშლილი იქნა ჩემი გვერდიდან ბესარიონ გუგუშვილის მიერ, რომელიც საამისოდ კარგად ფლობს უშიშროების ტექნოლოგიებს. ამიტომ იძულებული ვარ განმეორებით გაგაფრთხილოთ, რომ გარდა ერთი გვერდისა ზვიად გამსახურდიასი (რომელიც ეკუთვნის პრეზიდენტის ქვრივს ქ-ნ მანანა არჩვაძეს) ყველა არის ყალბი და ანტიზვიადისტური!



მეგობრებო, ინტერნეტ სივრცეში შექმნილია 10-მდე გვერდი, ვითომცდა ზვიად გამსახურდიასი, რომელიც თავად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კომპრომენტირებას ემსახურება. ჩვენი ვარაუდით ამ გვერდის შემქმნელია ფინეთში ემიგრირებული, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილე ბესარიონ გუგუშვილი.ზოგიერთი გაუთვითცნობიერებელი პატრიოტი ზვიადის სახელის გამო იწონებს ამ გვერდს, რომელიც რეალურად ანტიზვიადისტურია. მოგიწოდებთ გააუქმოთ თქვენი უნებლიე მოწონებები მსგავს გვერდებზე! https://www.facebook.com/pages/Zviad-Gamsakhurdia-zviad-konstantines-Ze-gamsaxurdia/1507399266138633?notif_t=page_name_change

ნუ გაყიდით მიწას!!!

1996 წლის 5 მარტს "მიწის საკუთრების შესახებ" კანონში ე. შევარდნაძის ხუნტისტური პარლამენტის მიერ (თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია), კანონის მე-5 მუხლში "სოფლის მეურნეობის ცნების შესახებ" პირველად ჩაიდო უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების იჯარით გაცემის შესაძლებლობა. ეს კანონპროექტი, მის მიღებამდე, აქტიურად გააპროტესტა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომლის ლიდერები ლეილა ცომაია და ეთერ მგალობლიშვილი მღებრიშვილის „ომონმა" პარლამენტთან დააკავა, ხოლო მთაწმინდის სასამართლომ მათ ორი კვირით აღუკვეთ თავისუფლება.

ჟვანია-შევარდნაძის მიღებული კანონი სააკაშვილის მთავრობის პარლამენტმა უფრო ლიბერალური გახადა და ქართული მიწების გაყიდვა თუ იჯარით გასხვისება ჩვეულებრივ ნორმად აქცია.

თავის დროზე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რუსეთის მიერ მართული რადიკალური ოპოზიცია და მათ შორის პრემიერი თენგიზ სიგუა,ზვიადს ბრალდებად უყენებდნენ მიწის პრივატიზაციის კანონის არმიღებას და კატეგორიულად მოითხოვდნენ მისგან მოსახლეობისათვის მიწის საკუთრებაში დაუყოვნებლივ გადაცემას, მაგრამ ეროვნული პრეზიდენტი ფრთხილობდა და მრავალჯერადად განუმარტავდა ანტიეროვნულ ოპოზიციას მიწის პრივატიზაციის დაუჩქარებლობის მოტივებს (იხ. ქვემოთ).

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიწის კანონზე და მოქალაქეობის საკითხებზე (ამონარიდები)

„ჩვენ გვაბრალებენ, რომ არ ვშლით კოლმეურნეობებს და დაუყოვნებლივ არ ვურიგებთ მოსახლეობას მიწებს. ასეთი განცხადებანი ელემენტარული კრიტიკული სიბეცეა, უვიცობაა. ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ ჯერ საჭიროა მოქალაქეობის კანონი, რომელსაც ინტენსიურად ვამუშავებთ. მოქალაქეობის კანონის მიღებამდე მიწების განაწილებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 31 მარტის რეფერენდუმის მნიშვნელობა (ჩვენ ბოიკოტს ვუცხადებთ 17 მარტის საბჭოთა რეფერენდუმს). ჩვენი რეფერენდუმი უშუალოდ არის დაკავშირებული მიწის საკუთრების, მოქალაქეობის საკითხებთან. მან უნდა განსაზღვროს, ვინ შეიძლება იყოს საქართველოს კანონიერი მოქალაქე. რეფერენდუმი გამოავლენს არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეებს, არამედ იმათაც, ვინც საქართველოს მოქალაქეობის ღირსია. ვთქვათ, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ხმა არ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. განა სწორი იქნება, კაცს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არ სურს, საქართველოს მოქალაქეობა მივართვათ და საკუთრებაში გადავცეთ ქართული მიწა? ისე, რომ რეფერენდუმი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ლოიალობის, საქართველოსადმი კეთილგანწყობილების, საქართველოს ჭეშმარიტი მომხრეების გამოვლინების შემოწმებაცაა. მხოლოდ რეფერენდუმის შემდეგ გადავწყვეტთ, ვინ იქნება საქართველოს მოქალაქე და ვის მიეცემა ქართული მიწა, ჩვენი მამა-პაპების მიწა საკუთრებაში. რეფერენდუმი, მეგობრებო, მარტო ქართველებს კი არა, რესპუბლიკაში საუკუნეებით მოსახლე სხვადასხვა ეროვნების ადამიანებსაც სჭირდებათ. ისინი, ვინც ჩვენთან ერთად დაადგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გზას, მოქალაქეობას მიიღებენ. ცხადია, თუ შეასრულებენ იმ ელემენტარულ პირობებს, რომლებსაც ჩვენ წავუყენებთ. ისე, რომ რეფერენდუმამდე ნურავინ ნუ იფიქრებს საქართველოს მოქალაქეობის სტატუსზე, ქართული მიწის ხელში ჩაგდებაზე. ასეთია ჩვენი პოზიცია. საქართველოს მტრები, ჩვენი რესპუბლიკის მტრები, რომლებიც უარყოფენ საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელსაც სურთ საქართველო უქართველებოდ იხილონ, ვერც მოქალაქეობასვერ მიიღებენ და ვერც მიწას.

ასეთია ჩვენი პოზიცია, ე.წ. ოპოზიცია კი ყოველივე ამას განზრახ „ივიწყებს" და გვისაყვედურებს, რატომ მიწას არ ანაწილებთ, რატომ კოლმეურნეობებს არ შლითო. სიცრუეა, მეგობრებო! მუშავდება მიწის კოდექსი, რომელშიც განსაზღვრული იქნება ამ მიწების მოსახლეობისათვის გადაცემის პირობები"

(წყარო: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 5 მარტს - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 47,(67),9 მარტი,1991 წელი).

„...საუბარია დღეს, აგრეთვე, ჩვენი ოპონენტების მხრივ იმაზე, რომ მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემა დაუყოვნებლივ არ მოხდა. ამასთან დაკავშირებით ისევ ვიმეორებ, რომ საჭიროა ჯერ მოქალაქეობის კანონის შემოღება. ის, ვინც დღეს ქადაგებს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემაზე მოქალაქეობის კანონის გარეშე, საქართველოს მტერია, ნამდვილი მოღალატეა ჩვენი ეროვნული ინტერესებისა. ჯერ უნდა გვქონდეს მოქალაქეობის კანონი, რომელიც ამჟამად მუშავდება, ხოლო შემდეგ კანონი მიწის შესახებ, მიწის კოდექსი. აი, ამის მერე უნდა დავიწყოთ მიწის გადაცემა კერძო საკუთრებად. მაგრამ ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება, შინაგანი სტაბილურობა და აუცილებლად დიპლომატიური აღიარება ჩვენი ქვეყნისა ერთი ან ორი სახელმწიფოს მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეობის კანონის შემოღება გართულდება გარკვეული შინაპოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური მიზეზების გამო. აი, ეს გახლავთ ურთიერთდაკავშირებული მიწის საკითხი მოქალაქეობის საკითხთან..."

(წყარო: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 1 მაისი. - №84 (104). – 1გვ.

„...დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული პრობლემაა მიწის საკითხი. კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში მომწყვდეულმა ძალადობით თავსმოხვეულმა სამეურნეო წყობამ ქართველ გლეხს წაართვა ყველაზე მთავარი - მიწა და თავისუფლება, შეაძულა მას შრომა. მეურნე გლეხი ფაქტიურად კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. ასეთმა მიდგომამ უარყოფითად იმოქმედა ქართველი კაცის ბუნებაზე, მის ფსიქიკაზე, მისი ცხოვრების ტრადიციულ წესზე. სწორედ ამით დაიწყო სოფლის გაჩანაგება და დაცარიელება. აქაც კარდინალური რეფორმების გატარებაა საჭირო. მიწის რეფორმა საქართველოს ყოველ ისტორიულ მხარეში, მათ თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, რათა დავამაგროთ მოსახლეობა სოფლად, რაც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ამოცანაა. უპირველესად იგი მთიანი ზონის რეგიონებში უნდა გატარდეს, აგრეთვე უნდა მოხდეს ზარალიანი და გადახდისუუნარო საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლა და მათ ბაზაზე გლეხური საკომლო მეურნეობების ჩამოყალიბება. მიწა უნდა დაუბრუნდეს გლეხს. ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი სოფლად სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანებების შექმნასა და ფუნქციონირებას. მათ უნდა შეასრულონ გლეხური მეურნეობებისათვის აუცილებელი მასალებით და ტექნიკით მომარაგების ფუნქცია: ამ გზით ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენ სათავეს დავუდებთ სოფლად ქართული ტრადიციული მეურნეობრივი პრინციპების აღდგენას. ამავე დროს, ჩვენი აღორძინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა უცხოური ინვესტიციების მიზიდვა. საზღვარგარეთელ პარტნიორებს საშუალება მიეცემათ იმოქმედონ ჩვენს ბაზარზე, დააბანდონ თავიანთი სახსრები, აიღონ იჯარით საწარმოები, შექმნან ერთობლივი წარმოებები, გახსნან თავიანთი წარმომადგენლობები, ფილიალები და ა.შ. ამ ეტაპზე საგარეო ვაჭრობაში აუცილებლად მიგვაჩია ლიცენზირების პოლიტიკის გატარება. ის და საბაჟო ურთიერთკავშირში უნდა იქნას მოყვანილი სასაქონლო ბაზრის მოთხოვნილებასთან და უზრუნველყოფდეს იმპორტული და სამამულო საქონლის კონკურენციის შესაძლებლობას. ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად მოხდება საგარეო ვაჭრობის თანდათანობითი ლიბერალიზაცია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უნდა ააღორძინოს შრომის სტიმულები, აამაღლოს სამუშაო ძალის ფასი, ხელფასის სიდიდე, ძირითადად, დამოკიდებული უნდა იყოს საწარმოს ეფექტიანად მუშაობაზე და სახელმწიფოს მიერ მისი რეგულირება უნდა ხდებოდეს საგადასახადო სისტემის მეშვეობით..."

(წყარო: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს

დღეს მიწის უცხოელებზე გაყიდვა-გასხვისების საკითხი კვლავ აქტუალურია, ხოლო ქართველთათვის კი მიწის საკუთრების პრობლემა მწვავედ დგას, რადგან უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ანტიეროვნული-ანტიხალხური მთავრობების ხელში მეურნე კაცი და გლეხი ისე გაღატაკდა, რომ ვეღარ ინარჩუნებს სათეს-საბაღე მიწებს და იძულებული ხდება გაყიდოს უცხოელ ფერმერებზე, რათა შიმშილით არ ამოწყდეს მათი ოჯახები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მთავრობის ამგვარ პოლიტიკას კვლავ აპროტესტებს ხან მთავრობის კანცელარიასთან, ხან ეკონომიკის სამინისტროსთან და ხანაც პარლამენტთან. და, ერთადერთი, რასაც ამგვარი პროტესტებით მიაღწია, მთავრობამ დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა მიწის გაყიდვა-გასხვისებაზე, მაგრამ ეს დროებითი აქტი ცხადია, საიმედო არ არის. საქართველოს სახელმწიფო ისედაც მცირემიწიანი ქვეყანა იყო, ხოლო აფხაზეთის ომისა და შიდა ქართლის კონფლიქტის შედეგად ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიები, 2008 წლის აგვისტოს ომითა და დღემდე წარმოებული მცოცავი ანექსიით კი კიდევ უფრო მცირემიწიანი გავხდით. ამ საგანგაშო გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროა, მთავრობამ და პარლამენტმა შეცვალოს კანონი მიწის საკუთრების შესახებ და გაყიდვა, ან გასხვისება 40 წელზე მეტი ხანგრძლივობით, კანონით დასჯადი გახადოს!

ქეთევან ჭანტურია

1993 წლის სექტემბერში ე. შევარდნაძემ ავანტიურისტული ომით რუსეთს კაპიტულანტურად ჩააბარა აფხაზეთი

მართლმადიდებლურ–მიონერული აპოლოგეტური ცენტრის „სტავროსის“ ორგანიზებით, ჩერემენეცკის (ლენინგრადის ოლქი) იოანე ღვთისმეტყველის სახელობის მონასტერში სანკტ–პეტერბურგისა და ლადოჟის მიტროპოლიტის, ვლადიმირის, გატჩინისა და ლუჟსკის ეპისკოპოსის მიტროფანეს ლოცვა–კურთხევით 2013 წლის 26 ივნისს ჩატარდა რუსეთის პირველი მართლმადიდებლური მისიონერული კონფერენცია. ერთ–ერთ მოხსენებლად გამოვიდა ცნობილი თეოლოგი, პროფესორი, მთავარდიაკონი ანდრია კურაევი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აფხაზთა სარწმუნოებრივ მდგომარეობას ეცნობოდა და მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა. კონფერენციის მონაწილეთა მიერ დასმულ კითხვაზე – „თუ შეიძლება, გვიამბეთ აფხაზეთში თქვენი გამოცდილების შესახებ“, მან ყველასათვის მოულოდნელი, მაგრამ ზუსტი, ღრმად მეცნიერული პასუხი გასცა. ისტორიული აფხაზეთი რუსმა მეცნიერმა საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად, ისტორიული აფხაზები – ძირძველ ქართველებად, ხოლო თანამედროვე აფხაზები (აფსუები) XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან თურქეთის დახმარებით ჩამოსახლებულ ხალხად გამოაცხადა. ა. კურაევის აზრით, დღევანდელი აფხაზები ისტორიული აფხაზეთის სამეფოს, ისტორიული აფხაზეთის საკათალიკოსოს, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და კულტურის სხვა ძეგლების სამართალმემკვიდრეს არ წარმოადგენენ.

– თუ შეიძლება გვიამბეთ აფხაზეთში თქვენი გამოცდილების შესახებ?

– იქაურ გამოცდილებას არა მგონია წარმატებული ეწოდოს. ზოგჯერ მშურს კიდევაც პირველი ქრისტიანი მისიონერების, ისინი ნამდვილად თავისუფალნი იყვნენ. ჩემს შემთხვევაში საქმე სხვანაირად გახლდათ, ანუ, თუ მე თავისუფალი ვიყავი ჩემს ქმედებებში, ეს ერთია. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მე ყველა მიმართულებით შებოჭილი ვიყავი – ანუ, არის ადგილობრივი სამღვდელოება, რომელსაც საერთოდ არ სჭირდება აფხაზეთში მოსკოვის წარმომადგენელი. ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროსთვისაც ყველაფერი ეს საელჩოსთვის განკუთვნილი ურმის მეხუთე თვალივითაა. საპატრიარქო მეუბნება, რომ ამ მისიისთვის სახსრები არ გააჩნია. მე კი, მაპატიეთ, მაგრამ მღვდელი არ ვარ, არ შემიძლია საეკლესიო წესების შესრულებით ფული ვიშოვო. ანუ ორიდან ერთი: ან უნდა ვიზრუნო ამ მისიისთვის თანხის მოძიებაზე, ან მისიონერობით უნდა დავკავდე. ოფიციალურად მე იქ არავინ ვარ, ყველა გამირბის, რადგანაც ეკლესიური თვალსაზრისით ოფიციალურად ეს საქართველოს ტერიტორიაა. ამიტომაც არა მაქვს იქ ყოფნის, საქმიანობის უფლება. ასე რომ, წელიწადნახევრის ვაი-ვაგლახის, რა თქმა უნდა, თავისებური გამოცდილებაა: მიდიხარ სკოლაში გაკვეთილის ჩასატარებლად, დირექტორის პირველივე შეკითხვაა – „რას გვაჩუქებთ“?

აფხაზური რელიგიურობა - დიახაც, ის თავისებურია... ძალიან საინტერესო საკითხია, რომელიც სერიოზულ განხილვას საჭიროებს. დასაშვებია თუ არა მისიონერული სიყალბე, სიყალბე სიკეთისთვის? საქმე აი, რაშია:

აფხაზებს, მაგალითად, ძალიან მოსწონთ ის იდეა, რომ მათი ტრადიციული ქრისტიანობამდელი რელიგია არ ყოფილა წარმართული – ჩვენ მაშინაც ერთი ღმერთი გვწამდა და გაქრისტიანების შემდგომაც იმავე ღმერთს ვადიდებთო.

თუკი ამ თეზისს დავეთანხმებით, უეჭველია, ქადაგებაც გაადვილდება, მაგრამ სამეცნიერო ეთნოგრაფიული ლიტერატურის ელემენტარული გაცნობაც კი გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის! ეს არის წმინდა წყლის პოლითეიზმი და ის, ვისაც ისინი თავის ერთიან ღმერთს უწოდებენ, სრულებითაც არ არის ასეთი! ის დაახლოებით ბერძნული სამყაროს დასაბამიერი ღმერთის - ზევსის მსგავსია.

წარმოიდგინეთ, როდესაც ამას ბერძენი ამბობს, შენ მას უმალ ეთანხმები. სიგიჟემდე მომწონს ჰერაკლიტეს ფრაზა (ყურადღებით მოუსმინეთ): "ერთიანი მხოლოდ ერთია, მას უნდა და კიდევაც არ უნდა ზევსის სახელით იწოდებოდეს". მართლაც, საოცარი საღვთისმეტყველო ფორმულაა. მე ამ საკითხში უცებ დავეთანხმებოდი ფილოსოფოს ჰერაკლიტეს. პრობლემა ერთ რამეშია: როდესაც ჰესიოდეს ან ჰომეროსის ეთნოგრაფიას კითხულობ, სავსებით აშკარაა, რომ ზევსი სრულებითაც არ არის დასაბამიერი ღმერთი, მას კრონიდი ჰქვია, კრონოსის შვილია. არც ის არის პირველი, რადგანაც მანამდე ურანოსი იყო. მათ სულაც არა აქვთ ჩვენი იდეალური სამების უბრალო ურთიერთობები – ურთიერთსიყვარული და მორჩილება. იქ კი, გახსოვთ, უფრო ერთმანეთის უსასრულო მტრობაა, ომები, ინტრიგები და ა.შ., ანუ ნორმალური კომუნალური შფოთი ზეცაში. აი, რაღაც ამდაგვრია აფხაზური მითოლოგიაც, როცა მას ჩაუღრმავდები. ამას თავად აფხაზს თუ მოუყვები, არ მოეწონება. მაგრამ თუკი თავზე ხელს გადაუსვამ: - დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ გყავდათ ერთი ღმერთი, თქვენ უძველეს დროშიც იყავით „ბრძენნი“, და საერთოდ, იცით, თქვენ აფხაზებო, ჩვენ, რუსები, მეხუთე საუკუნეში მაიმუნებთან ერთად ხეებზე დავძვრებოდით, თქვენთან კი, ბიჭვინთაში, უკვე ტაძარი იდგა - ჩინებულია! მაგრამ რა მიმართება აქვთ ამ ტაძართან, უმჯობესია, ეს საკითხი არ დასვათ.

ან, ვთქვათ, მეტად სერიოზული საკითხი – რა საერთო აქვთ აფხაზეთთან იმათ, ვისაც ჩვენ დღეს აფხაზებს ვუწოდებთ? ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არის გასაოცარი უძველესი ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძრები, არსებობდა უძველესი მართლმადიდებელი აფხაზეთის სამეფო, არსებობდა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ყველაფერი ეს სიმართლეა! საქმე ის არის, თუ რა კავშირი აქვთ ამასთან იმათ, ვინც დღეს იქ ცხოვრობს? პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანები თავის თავს „აფსუას“ უწოდებენ, თავის ქვეყანას - „აფსნის“ და არა აფხაზეთს. სიტყვა „აფხაზეთი“ კი ქართული სიტყვაა, ე.ი. ისინი, ვინც ოდესღაც თავის თავს აფხაზებს უწოდებდნენ, ქართული ეთნოსის ნაწილს წარმოადგნდნენ, როგორც მეგრელები და სხვანი. ვთქვათ, ქართველებიც, ქართველი ისტორიკოსებიც ასე ფიქრობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ აი, ის ავთენტური, ქართული ეკლესიის წიაღში და ქართველ ხალხთან გაერთიანებული მართლმადიდებელი აფხაზები თურქებმა გაჟლიტეს და გამოდევნეს იქიდან, იმ სანაპიროდან მე-16-17 საუკუნეებში. ნაწილი გაქრა და ნაწილი აღმოსავლეთით, საქართველოს ღრმა მთიანეთში გაიხიზნა. ხოლო დაცარიელებულ სანაპირო ზოლში თურქულმა ხელისუფლებამ მთებიდან ჩერქეზები ჩამოასახლა და უთხრა: – ამიერიდან აქ იცხოვრეთ. ანუ გამოდის, რომ აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობა დიდი ხანი არაა, რაც იქ არის; მაგრამ მათ ეამებათ თავიანთი თავი იმ უძველესი ტაძრების მშენებლებად და მემკვიდრეებად მიიჩნიონ როგორც, მაგალითად, ვალახები ნეტარებენ იმის გამო, რომ ჩვენ ძველი რომაელების მემკვიდრეები ვართო, თავის თავს რუმინელებს, რომეებს, რომანებს, უძველეს რომაელთა შთამომავლებს უწოდებენ; თუმცა დაკებს რა კავშირი აქვთ რომთან – ძალიან, ძალიან შორეული.

მაგრამ რუმინელები პატიოსნად მაინც აღიარებენ, რომ მათთან რუმინეთში იმპერატორ ტრაიანეს კულტია. რატომ? იმიტომ, რომ ტრაიანემ დაიპყრო დაკები. და აი, გასაოცარი ისტორია: ე.ი. ერი თაყვანს სცემს თავის დამპყრობელს იმიტომ, რომ - ჩვენ, ბარბაროსები, ამით ევროპულ ცივილიზაციას მიგვაერთონ. აფხაზეთში საპირისპირო სიტუაციაა.

ის ძირძველი აფხაზები მათ არ დაუმარცხებიათ, მათი დახმარების გარეშე მოხდა როგორღაც ეს დეპორტაცია. მათი მიწები კი დაისაკუთრეს, სახელიც ნაწილობრივ მიითვისეს, მაგრამ არა თავიანთვის, არამედ ტურისტებისთვის.

თავის თავს ისინი აფხაზებს არ უწოდებენ. ამას აკეთებენ მხოლოდ რუსულ ენაზე და უცხოელებთან, აგრეთვე ნაწილობრივ სხვა ისტორიაზე საუბრისას. მაგრამ მე თუ აფხაზებს ამის მოყოლას დავუწყებ, ისინი ძალიან განაწყენდებიან, ქართველების აგენტს დამარქმევენ.

ხოლო თუკი ეტყვი: დიახ, დიახ, აფხაზები უძველესი მართლმადიდებელი ხალხია დედამიწაზე, დაუბრუნდით თქვენი წინაპრების სარწმუნოებას, ვშიშობ, რომ ისტორიული თვალსაზრისით ეს იქნება ერთგვარი ცბიერება, მაგრამ მისიონერული თვალსაზრისით – ძალიან ეფექტური. ჩვენ, რუსებსაც, უახლეს ისტორიაში მსგავსი პრობლემები გვაქვს.

მასალა მოგვაწოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს

საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოების მოქალაქეთა ჯგუფების საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური დივერსიების შესახებ.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გააქტიურდნენ ძალები, რომელთა საქმიანობა უშუალოდ არის მიმართული ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლების წინააღმდეგ და რომელთა მიმართ ჩვენის მხრიდან არ ხორციელდება სათანადო, ადეკვატური ღონისძიებები. აღნიშნულის დასტურად მოვიტანთ არასამთავრობო ორგანიზაციის NESEHNUTI–ის (ნესეჰნუთი, თარგმანში, მოუდრეკელნი) აქტივისტთა ქმედებებს, რომლებიც უკვე მესამე წელიწადია, თბილისის გავლით, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ენგურის ადმინისტრაციული საზღვრის გავლით ჩადიან აფხაზეთში. ამ ორგანიზაციის დამფუძნებელ მილან შტეფანეცს (Milan stefanec) და სლოვაკი ეროვნების კოორდინატორს მარტინ ჰიწიას (Martin Hytha), ვითომ ჰუმანიტარული პროექტები სგანხორციელების მიზნით ჩეხეთის მთელ ტერიტორიაზე გაჩაღებული აქვთ კამპანია იმის შესახებ, რომ აფხაზეთი უნდა იქნეს აღიარებული, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ვინაიდან ეს სახელმწიფო მუდამ იყო დამოუკიდებელი საქართველოსგან.

ქართველები ამ ტერიტორიაზე თურმე მხოლოდ სისხლისმსმელ ქართველ ნაციონალისტებს ბერიასა და სტალინს ჩაუსახლებიათ, რათა მიეთვისებინათ სხვისი ტერიტორიები.

ასევე, თავის ვებ-გვერდზე განთავსებული აქვთ საქართველოს გაყალბებული ისტორია.

აქტიურად აქვეყნებენ სტატიებს, ხვდებიან სტუდენტებს, აწყობენ მრგვალ მაგიდებს, სადაც დამსწრე საზოგადოებას განუმარტავენ, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის და უკვე დროა, რათა მათი დამოუკიდებლობის აღიარება მოხდეს.

გულდასაწყვეტია, რომ საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები თავისუფლად ღებულობენ ქვეყანაში ასეთ გამოკვეთილ, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედ პირებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სახელმწიფოს შესაბამისი უწყებები აქტიურად დაინტერესდნენ ზემომითითებული და მათი მსგავსი საქმიანობით დაკავებული ჯგუფების რეალური მიზნებითა და ამოცანებით და განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეზღუდავს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობას.

პატივისცემით —
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
ელგუჯა გვაზავა
2014 წ. 5 სექტემბერი

პოლიტიკური კორუფციის ეკონომიკური ბაზისი

საქართველოში პოლიტიკური კორუფცია ყვავის, მისი არსებობა უდიდესი შემაფერხებელი ბარიერია ქვეყნის მომავლისთვის. „მოქალაქეთა“ რეჟიმმა პოლიტიკური კორუფცია ნორმად აქცია, „ნაციონალურმა“ რეჟიმმა იგი გააფართოვა და ეს ხაზი გააგრძელა „ოცნების“ რეჟიმმა. ბოლო 23 წლის განმავლობაში არაერთი კამპანია გაიშალა, რომელსაც თითქოსდა ბოლო უნდა მოეღო პოლიტიკური კორუფციისთვის, მაგრამ ყველა ამ კამპანიის ბოლოს პოლიტიკური კორუფცია კიდევ უფრო დიდ მასშტაბს იძენდა, მიზეზი კი მისი ასეთი გაძლიერებისა ის ეკონომიკური ბაზისა, რომელიც მყარ საფუძველს უქმნის პოლიტიკურ კორუფციას. ახლახანს გამართულ პროფკავშირების საყოველთაო კონფედერაციის სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციაზე „ღირსეული შრომისა და სოციალური სამართლიანობისათვის“ მოყვანილ იქნა მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევით დადგენილი მონაცემები ქვეყნების „ჩრდილოვანი“ ეკონომიკების შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით საქართველოს „ჩრდილოვან“ ეკონომიკას აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია ლეგალურ ეკონომიკასთან, რადგან მთლიანი შიდა პროდუქტის 68,8% მოდის „ჩრდილოვან“ ეკონომიკაზე და ამ მონაცემებით საქართველო წინ უსწრებს მის ყველა მეზობელს. ქვეყნის მომავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმგვარი პოლიტიკური ძალის ფორმირებას, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას პირველი რიგის ამოცანად დაუსახავს (არა სიტყვით, არამედ საქმით) ეკონომიკური სისტემისა და სოციალური სტრუქტურის შეცვლას, რათა „ჩრდილოვანი“ ეკონომიკა კი არ იყოს მთლიანი შიდა პროდუქტის ორი მესამედის მწარმოებელი, არამედ ლეგალური ეკონომიკა. მხოლოდ ეს შეცლის რეალობას და დაამარცხებს პოლიტიკურ კორუფციას.

დავით არაბიძე

კრიმინალის ზრდის საშიში სტატისტიკა და პრევენცია

სრულად საქართველოს მასშტაბით, თითქმის საყოველთაო ამინისტიის (ციხიდან გამოშვებულ იქნა პატიმრების 60%) ფონზე, კრიმინალის ზრდამ და სახემ საშიშ სტატისტიკურ ზღვარს მიაღწია, თუმცა ამას არ აღიარებს ღარიბაშვილის ხელისუფლება, მაგრამ დანაშაულის პრევენციის მიზნით, დაიწყო საყოველთაო პოლიციური კონტროლი, რაც მისასალმებელია, მაგრამ პოლიციელთა მხრიდან, უმეტეს შემთხვევაში, ადგილი აქვს თავიანთი უფლებების გადაჭარბებისა და მოქალაქეთა (მათ შორის, ჟურნალისტთა)უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტებს. სამართალდამცველები უკრძალავენ მოქალაქეებსა და ჟურნალისტებსაც

პოლიციელთა კონტროლის ღონისძიების გადაღებას, ახდენენ მათი პოლიციის განყოფილებებში გადაყვანას და ახსნა-განმარტებების ჩამორთმევას , დაჯარიმებასაც კი!

7 სექტემბერს, სულხან-საბას ქუჩაზე 12-13 წლის ბიჭუნების ჯგუფი შეკრებილი იყო სკვერში. ერთ-ერთმა ბიჭუნამ მობილურით გადაიღო მომავალი პოლიციის მანქანა, რისთვისაც მას მივარდნენ პოლიციისა და უშიშროების მუშაკები და კატეგორიულად მოსთხოვეს წაეშალა ფოტო და დაემუქრნენ. შეშინებულმა და დაბნეულმა ბიჭუნამ მაშინვე შეასრულა ბრძანება, თუმცა ძალოვანებმა მისი დაკითხვა დაიწყეს. ხოლო მეორე ბიჭუნას, რომელსაც ხელში სათამაშო პისტოლეტი ეჭირა , წართვეს და დიდი ხნის განმავლობაში ჰკითხავდნენ მას.

პოლიცია, მოქალაქეების მიმართ, ხშირ შემთხვევაში, ახდენს დამამცირებელ და სიტყვიერ შეურაცხმყოფელ კონტროლს, რაც მოქალაქეთა პატივისა და ღირსების შელახვაა და მოქალაქეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ყოვლად შეუწყნარებელ დანაშაულს ჰქონდა ადგილი პოლიციელთა მხრიდან 7 სექტემბერს „დინამო არენაზე“, როდესაც ათამდე სამართალდამცველმა, ახალგაზრდა მამაკაცი, უბრალო შელაპარაკების გამო მცირეწლოვანი შვილის (4 წლის ბიჭუნა ხელში ეჭირა) თვალწინ სასტიკად სცემეს და შემდგომ პოლიციის განყოფილებაშიც გადაიყვანეს. პოლიციის სისასტიკითა და უმეთვალყურეობით დარჩენილი ბიჭუნა ისტერიკაში ჩავარდა და სრულიად უცხო ადამიანების ხელში აღმოჩნდა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ძალოვანი სტრუქტურები, „დანაშაულის პრევენციის მიზნით საყოველთაო პოლიციური კონტროლის“ ეგიდით, უფლებამოსილების უხეშად გადაჭარბებით, მიზანმიმართულად ახდენენ მოქალაქეთა პროტესტის გამოწვევას და მათი საპასუხო რეაქციის პროვოცირებას.

ამ კონტექსტში განსახილველი საკითხია, საპატრულო პოლიციის მანქანების გამაყრუებელი სიგნალებით, განკარგულებების რაციით გაცემა და სირენების გაბმული ყმუილით ქროლვა ქუჩებში, რითაც დღე-ღამის განმავლობაში უხეშად არღვევენ მაცხოვრებელთა სიმშვიდეს, დამთრგუნველი ხმაურით იჭრებიან რა მაცხოვრებელთა ბინებში, რომლისგანაც თავის დაცვა შეუძლებელი გახდა.

საპატრულო პოლიცია იქცა მაცხოვრებელთა სიმშვიდის ჯალათად!

რაკი საქართველო „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების“ რატიფიცირებით, აწ უკვე ევროპის ნაწილია, დროა ძალოვანი სტრუქტურები ეროპულ წესზედ მოექცნენ და აკრძალონ, თვით მოქალაქეთა მანქანების ხმოვანი სიგნალებიც კი, რამეთუ მოქალაქეთა მანქანების სიჭარბეს თანდართული მდიდარი პოლიციისა შეუზღუდავი თარეში და მედიდურობა, ყოველმხრივ გაუსაძლის ჰყოფს უმრავლეს ღატაკი ფენის ყოფას.

პოლიცია არ უნდა ახდენდეს კრიმინალური და კულტურული საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელთა გათანაბრება-გაიგივებასა და ერთნაირ უპატივცემულო დამოკიდებულების გამომჟღავნებას მათ მიმართ, თუნდაც საყოველთაო კონტროლის პირობებშიც.

ეს საჯარო შეურაცხყოფაა ჩვენი საზოგადოების კულტურული ფენისა, ეს მათი პატივისა და ღირსების საჯარო შელახვაა!

ეს პოლიციური რეჟიმია და მას არ უნდა შეეგუოს ცივილური საზოგადოება, განსაკუთრებით იმ ხელისუფლებისაგან, რომელიც „დემოკრატიით მსოფლიოს განმაცვიფრებელი“ უმთავრესი პირობით მოვიდა...

ქეთევან ჭანტურია

ქვემოთ ვაქვეყნებთ ყოფილი პარლამენტარისა და დიპლომატის კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრებას ამავე პრობლემაზე.

ყბადაღებული “ნულოვანი ტოლერანტობა“, სადაც დრაკონული (შეკრებითი) კანონების საფუძველზე ათეულ ათასობით ადამიანი იყო შეყრილი დილეგში, აღარ უნდა აღდგეს.

სამაგიეროდ აუცილებელია ასპროცენტიანი ოპერატიულობა სამართალდამცავების მხრიდან; სათვალთვალო კამერები ქუჩების და მოედნების ყველა კუთხეში, სადარბაზოებშიც კი. უნდა შეიქმნას შეწყალებულთა და ამნისტირებულთა შორის მოხვედრილი განსაკუთრებული ნაძირალების კართოტეკა და მათი კონტროლზე აყვანაა საჭირო.

ქურდებისა და მაყურებლების ყოვლად მანკიერ სისტემას ერთი პლუსი მაინც ჰქონდა: ყველაფერზე წამსვლელ კრიმინალს საპყრობილეში მოხვედრის შემდეგ ტყავს გააძრობდნენ, თუ არ მოკლავდნენ, ნამდვილ ჯოჯოხეთს გამოატარებდნენ. ამ ყველაფერს დანაშაულის პრევენციის ეფექტი, როგორც ჩანს, გააჩნდა.

ასეთი სისტემა დღეს ვეღარ აღდგება და ვერ იფუნქციონირებს (არც უნდა აღდგეს), მაგრამ სისასტიკით და კრიმინალური ფანტაზიით გამორჩეული დამნაშავეებისთვის უნდა იყოს განსაკუთრებული რეჟიმის ციხე, (რასაც გერმანიასა და შვეიცარიაში Zuchthaus ქვია) სადაც მოხვედრის კანდიდატმა ერთი რამ უნდა იცოდეს: “ბულიონჩიკებს“ იქ არავინ დაალევინებს. ასეთი ციხის პირობების კონციპირება უნდა მოახდინოს მაღალი დონის ფსიქოლოგებისა და სხვა დარგების სპეციალისტების ინტერ-დისციპლინარულმა ჯგუფმა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის გამოცდილებას გაიზიარებს.

კონსტანტინე გამსახურდია

პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდები: რა უნდა იცოდეთ თქვენი უფლებების შესახებ?

ISFED-ის ბლოგი

ბოლო დღეების განმავლობაში თბილისში გახორციელებული რამდენიმე რეიდის შესახებ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ იზიარებს საზოგადოების შეშფოთებას და აუცილებლად მიიჩნევს მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პროცედურების შესახებ.

აქვს თუ არა პოლიციას რეიდის მოწყობის უფლება?

პოლიციას უფლება აქვს საავტომობილო გზებზე და ტერიტორიულ წყლებში მოაწყოს რეიდები; აღნიშნული რეიდები შეიძლება მოეწყოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით.

რა შემთხვევაში აქვს პოლიციელს მოქალაქის შეჩერების უფლება?

პირის შეჩერება პოლიციელის მიერ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ეჭვი[1] მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ.

რას ითვალისწინებს პირის შეჩერება?

შეჩერება გულისხმობს პირთან კომუნიკაციის დამყარებას, მის იდენტიფიცირებასა და გამოკითხვას, რაც არ ითვალისწინებს პოლიციელის უფლებას გადაიყვანოს პირი დახურულ სივრცეში (პოლიციის განყოფილებაში, ან აიძულოს მანქანაში ჩაჯდომა).

რა უნდა იცოდეთ თუ მოხდა თქვენი შეჩერება?

პოლიციელის ვალდებულებები: პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია შეჩერებულ პირს გააცნოს თავისი ვინაობა, წარუდგინოს თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და განუმარტოს შეჩერების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრების უფლება.

რამდენი ხნით შეუძლია პოლიციას თქვენი შეჩერება?

შეჩერება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია გონივრული ეჭვის დადასტურებისთვის, ან გამორიცხვისთვის, ანუ მკაცრად უნდა შემოიფარგლოს იმ დროით, რაც აბსოლუტურად აუცილებელია გონივრული ეჭვის შესამოწმებლად. შეჩერებული პირი უნდა გათავისუფლდეს მაშინვე, როგორც კი შეჩერების საფუძველი წყვეტს არსებობას - გონივრული ეჭვის გაქარწყლებისთანავე.

შეუძლია თუ არა პოლიციას აწარმოოს თქვენი და თქვენი პირადი ნივთების დათვალიერება/ შემოწმება?

პოლიციელი უფლებამოსილია, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შეჩერებული პირის ტანსაცმელზე აწარმოოს ზედაპირული შემოწმება. ზედაპირული შემოწმების მიზანია პოლიციის უსაფრთხოების დაცვა, შესაბამისად აღნიშნული შემოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს თუ პოლიციელის უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება.

რით შემოიფარგლება ზედაპირული შემოწმება?

ზედაპირული შემოწმება შეიძლება განხორციელდეს როგორც ტანსაცმელზე ხელის შეხებით, ასევე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ზედაპირულ შემოწმებად ვერ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც მოითხოვს ტანსაცმლის ვიზუალურად უხილავი ნაწილის გამოჩენას ან ტანსაცმლის გახდას.

მოიცავს თუ არა ზედაპირული შემოწმება ჩხრეკას?

ზედაპირული შემოწმება არ მოიცავს ჩხრეკას[2]. ეს უკანასკნელი შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – დადგენილების საფუძველზე[3].

რა შეგიძლიათ მოითხოვოთ ჩხრეკის ჩატარებამდე?

თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ, რომ ჩხრეკას დაესწროს არა უმეტეს ორი დამსწრისა ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების ფაქტის, მისი მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად. ასევე, უფლებამოსილი ხართ დამსწრის მოსაწვევად მოგეცეთ გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ 1 საათისა[4].

რა შეგიძლიათ გააკეთოთ თუ თქვენი უფლებები დაირღვა?

იმ შემთხვევაში თუ პოლიციელი აჭარაბებს ან გადააჭარბა თავის უფლებამოსილებებს, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას (ცხელი ხაზის ნომერია 126).

გაქვთ თუ არა უფლება სასამართლოში გაასაჩივროთ პოლიციელის კანონსაწინააღმდეგო ქმედება?

თუ თქვენი შეჩერება პოლიციის მიერ მოხდა კანონის მოთხოვნების დარღვევით, უფლებამოსილი ხართ შეჩერებიდან ხუთი დღის ვადაში, შეჩერების ადგილის მიხედვით, სასამართლოში გაასაჩივროთ შეჩერების კანონიერება და დასაბუთებულობა და მოითხოვოთ ფულადი კომპენსაცია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი შეჩერებისათვის. შეჩერების კანონიერებასთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთი პოლიციელს დაეკისრება.

[1] გონივრული ეჭვი - პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვის წარმოქმნა ისეთ ფაქტს ან გარემოებას უნდა ემყარებოდეს, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვის წარმოქმნის საფუძვლიანობაში დაარწმუნებს.

[2] ჩხრეკა - დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ასევე ძებნილი ან გვამი.

[3] თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, პოლიციელს უფლება აქვს ჩაატაროს პირადი ჩხრეკა სასამართლოს განჩინების გარეშე.

[4] ჩხრეკისა და ამოღების დამსწრის გარეშე ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის ან მტკიცებულებათა დაზიანების, განადგურების ან გადამალვის რეალური საფრთხე.

27.08.2013

წყარო:http://www.isfed.ge/main/435/geo/

სამეგრელოს საკითხი

ზვიად გამსახურდია

(ისაკი ჟვანია და სამეგრელოს "ავტონომია")*

თანამედროვე საქართველოში მწვავედ დგას კუთხური პარტიკულარიზმისა და სეპარატიზმის პრობლემა, რომელსაც ჩვენი მტრები ყოველთვის აღვივებდნენ და ართულებდნენ. XIX საუკუნეში შავრაზმელი რუსიფიკატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ აფხაზური, მეგრული, სვანური, მუსულმანურ-მესხური სეპარატიზმისთვის, რისთვისაც ისინი მიმართავდნენ სხვადასხვა მეთოდებს: ამ მცირე ტომებისათვის ანბანის შექმნას, წირვა-ლოცვის შემოღებას მათ ენაკავებზე, ხოლო მესხეთში ხელს უწყობდნენ მუსულმანობის გაძლიერებას, თურქული ენის გაბატონებას, აჭრელებდნენ მესხეთის ტერიტორიას არა ქართული მოსახლეობით, რითაც ნიადაგს უმზადებდნენ საქართველოს საბოლოოდ დანაწევრებას და ასიმილაციას.

მომდევნო პერიოდში ეს ტაქტიკა დაიხვეწა და შეიცვალა. საბჭოთა პერიოდში ნათელი ხდება, რომ იგივე საქმე გრძელდება უკვე ქართველების ხელით, რომელთაგან უმრავლესობა თანამდებობის პირია.

"სამეგრელოს საკითხი", რომელიც თავდაპირველად შავრაზმელებმა: ვოსტორგოვმა, იანკოვსკიმ და სხვებმა წამოაყენეს, ახლებურად განავითარა 20–იან და 30-იან წლებში ზუგდიდის სამაზრო პარტიული კომიტეტის პირველმა მდივანმა ისაკი ჟვანიამ, რომელმაც ბევრი იბრძოლა ამ მიმართულებით და ბოლოს თავისი გამოცდილება შეაჯამა რუსულ ენაზე დაწერილ სპეციალურ წიგნში, რომელიც დღეს ვრცელდება სამეგრელოში (ხელნაწერის სახით).

ამ წიგნის მიზანია საზოგადოების დარწმუნება იმაში, თითქოს სამეგრელო ისეთივე ცალკე ეროვნული ერთეულია, როგორც ოსეთი, აფხაზეთი, აჭარა (!) და ა.შ. და რომ მეგრელები იმსახურებენ ავტონომიას, ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი პატარა ხალხები.

ამასთან დაკავშირებით, ი. ჟვანია წერს: "აფხაზეთი, ოსეთი და სხვა პატარა ხალხები ამიერკავკასიისა იყო არენა ორი ნაციონალიზმის ბრძოლისა: ქართულისა და რუსულისა. სოვეტიზაციამდე ამ ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ სამეგრელოს თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება, უმაღლესი ინტელიგენცია (იურისტები, ექიმები, აგრონომები და ა.შ.), რომელნიც მთლიანად დადგნენ ქართული ნაციონალიზმის მხარეზე"

"ქართველი ნაციონალისტები ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით (იხ. მისი რეაქციული, შოვინისტური წერილი პირველდაწყებით სკოლებში მეგრული ენის შემოღების წინააღმდეგ "პეტერბურგსკიე ვედომოსტი" 1908 წ. ვარიანელის ფსევდონიმით), თედო ჟორდანია უტევდნენ რუსი ნაციონალისტების ღონისძიებებს, ახდენდნენ მობილიზაციას სამეგრელოს თავადაზნაურობისა და სამღვდელოებისას, სამეგრელოს ეპისკოპოსის, "მეგრელი" ბესარიონ დადიანის სახით. ეს იყო ცნობილი ხულიგანი, შავრაზმელი, პოდხალიმი ქართული შოვინიზმისა, მეთაურობდა მეგრელ თავადაზნაურობას, ურცხვად კარიერისთვის თავის შვილს ეუბნებოდა უხერხულია ჩვენს თავს ვუწოდოთ მეგრელებიო".

"ამიტომ ის ქართველები, რომლებიც ნაციონალური საკითხის მცოდნეებად ითვლებოდნენ არ ცნობდნენ სამეგრელოს საკითხს – მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი მცოდნე ნაციონალური საკითხისა – ამხ. სტალინი სამეგრელოს აღიარებდა დამოუკიდებელ ეროვნებად".

ზემოთხსენებული ქართველი "ნაციონალისტების" ამგვარ მიდგომას ი. ჟვანია ფეოდალურ მიდგომას უწოდებს, ლენინური კომპარტიისათვის შეუფერებელს. რადგანაც თავად გაგება "მეგრელისა" (მარგალი) ნიშნავს უდაბლეს გლეხურ ფენას, თავადაზნაურობა სამეგრელოსი თავის თავს მეგრელად არ თვლიდაო: "ყველა პრივილეგირებული ფენა (თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება, ინტელიგენცია) თავისთავს ქართველად თვლიდა. აქედან გამომდინარე, ჟვანიას სიტყვით, ამიერკავკასიის ხენლმძღვანელობა თვლიდა, – რომ რადგან "კულტურული" ზედა ფენა გაქართველდა, არაკულტურული (თუმც უმრავლესობა) უნდა მიჰყვეს კულტურულს და მოხდეს მისი ასიმილირება ქართველებთან. ეს კი არ არისო ლენინურ–სტალინური შეხედულება. ამის შემდეგ ი. ჟვანია განაგრძობს: "საქართველოს ცივილიზებული სამყარო პრ. ჯავახიშვილის, ახვლედიანის, ბერიძის და სხვათა სახით ამტკიცებს: "მომავლის პერსპექტივისათვის უნდა დავთმოთ თანამედროვე სამეგრელო, ვინაიდან ქართული კულტურა უმაღლესი კულტურააო" (ცხადია, ეს სიტყვები გაყალბებულია, – ზ.გ.).

კულტუროფობი და ვულგარული მარქსისტი ი. ჟვანია, ცხადია, არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მისთვის კულტურა ერთგვარი ხორცმეტია, ხელის შემშლელია "სოფლის" სოციალისტურად გარდაქმნაში" და ამიტომ მას ურჩევნია სამეგრელო სიბნელისა და უკულტურობის ჭაობში დარჩეს, ოღონდ არ "გაქართველდეს", დადიანების სასახლის კულტურას მას გლეხის ფაცხის წყვდიადი ურჩევნია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს მას თავისი ბნელი ზრახვების განხორციელებაში, მეგრელების ცალკე ეროვნებად გამოცხადებაში.

შემდეგ იგი მოსთქვამს: "ამ ბურჟუაზიულ–შოვინისტური" პროფესორების გავლენით საქართველოს განათლების სამინისტრომ გააუქმაო მეგრულად სწავლება სკოლებში 1921 წელს, რითაც გადაუხვიაო ლენინ–სტალინის მიმდევრების გეზს.

1925 წელს აგვისტოში კვლავ წამოყო თავი "სამეგრელოს საკითხმა", საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ–ს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოიყო სათანადო კომისიაც. მაგრამ, თურმე, ამავე წელს, ი. ჟვანიას თქმით აჯანყდა "შავრაზმელი" თავადაზნაურული ე.წ. "მეგრული" ინტელიგენცია, ათწლობით თბილისში მცხოვრები, რომელსაც თურმე არავითარი კავშირი აღარ ჰქონია მეგრულ სოფელთან და მეგრელ გლეხებთან, გარდა იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე სისხლს წოვდნენ მეგრელ გლეხებს. აი, ი. ჟვანიას თქმით, ეს ქართველი "ფაშისტები": კონია გამსახურდია, ჟორდანია, თედო სახოკია და სხვანი, შეიკრიბნენ ქ. თბილისში, რუსთაველის თეატრში ცკ–ს მიერ რაიმე გადაწყვეტილების გამოტანამდე და ეს "შავი თავადაზნაურული ხროვა გმობს სამეგრელოს საკითხს, როგორც საქართველოში განხეთქილების, გათიშვის შემომტანს. თბილისში მოქალაქეების წინაშე ცხადდება პოლიტიკური და მორალური ტერორი იმათ წინააღმდეგ, ვინც ბედავენ ხმის ამოღებას სამეგრელოს ავტონომიის შესახებ".

შემდეგ ი. ჟვანია განაგრძობს: "ზემოთ ჩამოთვლილი ფაშისტები იქამდე მივიდნენ, რომ მშრომელი მეგრელები, რომელთაც მოისურვეს მშობლიურ ენაზე სკოლა, სასამართლო, გაზეთი და საქმის წარმოება სოფ. საბჭოებში გამოაცხადეს რეაქციონერებად და პარტიის წევრი გლეხები, რომელნიც ემხრობოდნენ ამ საკითხს, გაარიცხვინეს პარტიიდან ამ გზით შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი. ამ აზრს განსაკუთრებით მიემხრნენ ქართველი ბოლშევიკი უკლონისტები, რომელთაგან ერთერთმა ა. ღამბარაშვილმა, ი. ჟვანიას თქმით, დიდად ავნო მეგრულ სეპარატიზმს.

მიუხედავად ამისა, 1925 წ. 24 აგვისტოს ზუგდიდის პარტიულმა კომიტეტმა მაინც განიხილა სამეგრელოს საკითხი, ხოლო 1925 წლის სექტემბერში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, მათიკაშვილი, სუხიშვილი და ივანოვ – კავკაზსკი, გამოიტანეს დადგენილება მეგრული ენის შემოღებისა სკოლებში, სასამართლოებში და შესაძლებლად ცნეს მეგრული გაზეთების გამოცემა, სამეგრელოს ავტონომიის იდეა კი "დაგმეს" ვითომდაც, ჰო, მაგრამ ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებები განა უკვე არ მოასწავებდნენ ავტონომიას!"

მიუხედავად ამისა, ი. ჟვანია ვითომდაც დიდადაა დამწუხრებული ამგვარი დადგენილებით, რახან ავტონომიას არა მიეცა მწვანე შუქი, მითუმეტეს, რომ შემდგომში ზემოხსენებულმა "ბურჟუაზიულ–შოვინისტურმა პროფესორებმა" ისევე წამოყვეს, თურმე, თავი და "ბოროტი გავლენა" მოახდინეს განათლების სახალხო კომიტეტზე და ისევ ააკრძალვინეს მეგრულად სწავლება სკოლებში". "მეგრელი" კომუნისტებიც დაშინდნენ და გაილურსნენ.

1928 წლის თებერვალში მოსკოვიდან ჩამოვიდა ცკ ვკპ (ბ)-ს ინსტრუქტორი პშენიცინი, რომელმაც მოიხილა სამეგრელოს სოფლები და გამოიტანა "ობიექტური" დასკვნა: "მეგრელ გლეხს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე". ("მშობლიური ენა" პშენიცინისა და ძმათა მისთა ტერმინოლოგიით, მეგრულია).

ცკ–ს მდივანი კახიანი წაახალისა პშენიცინის მხრით გამხნევებამ და გამოიტანა ახალი დადგენილება 1929 წლის მარტს მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად სკოლაში, სასამართლოში საქმის წარმოებისას, გაზეთის გამოცემის საქმეში, ამ დადგენილებაში მეგრულს უკვე ენა ეწოდა და არა ენაკავი. ამაშია ამის პროგრესიო, აღნიშნავს ი. ჟვანია.

მაგრამ, თურმე ისევ წამოყვეს თავი ქართველმა და "მეგრელმა" შოვინისტებმა და აყვირდნენ: არიქა, ჩამოვიდა მოსკოვის იმპერიალიზმის წარმომადგენელი, პშენიცინი, რომელიც ცდილობს გათიშოს ერთიანი საქართველო".

ამ ნაციონალისტურმა "შანტრაპამ" ისევ გაიმარჯვაო, მოსთქვამს ი. ჟვანია და აი, 1929 წლის 3 მაისის დადგენილებით მეგრული გაზეთის გამოცემა ისევ აიკრძალა. მაგრამ "მეგრელი" ბოლშევიკები "ჟვანიას ხაზით" მაინც მტკიცედ დგანან "ლენინურ–სტალინურ პოზიციებზე" ნაციონალურ საკითხში და განაგრძობენ ბრძოლას. მათ ახლა ახალი მშველელები მოევლინენ საკავშირო ცკ-დან – იბრაგიმოვი და მალინსკი. მათ მოხსენებაში ვკითხულობთ: "მართალია მეგრელები და ქართველები ტომობრივად ენათესავებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ურთიერთისაგან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათ 1442 წლიდან 1808 წლამდე დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქონდათ (აქ მათ ღალატობთ ისტორიის ცოდნა, სინამდვილეში სამეგრელოს სამთავრო საბოლოოდ გაუქმდა 1857 წელს – ავტ.) ისინი ენით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მეგრელ გლეხობას არ ესმით ქართული და რამდენადაც ყველა პარტიული, საბჭოთა და სხვა დაწესებულებანი ქართულად აწარმოებენ საქმეს, ფართო მშრომელი მასები მოსწყდნენ მას". (ი. ჟვანიას ტერმინოლოგია).

როგორც ვხედავთ, ყველა მოითხოვს "მასებისათვის ხელმისაწვდომ" დიალექტზე გადასვლას, არავის ახსენდება, რომ მოითხოვოს ნამდვილი მშობლიური სალიტერატურო ენის, ქართული ენის სწავლება მასებისათვის, რომელსაც ისინი მართლაც მოსწყდნენ ისტორიული ბედუკულმართობის შედეგად. მეგრულ ენაზე პოლიტლიტერატურისა და გაზეთის უქონლობა ისეთივე ჩამორჩენილობად მიაჩნიათ, როგორც წარმოების ჩამორჩენილობა – აბრეშუმის ქარხნის უქონლობა, მელიორაციის უქონლობა და ა.შ.

მაგრამ ი. ჟვანიას თქმით, არც ამან უშველა საქმეს, კვლავ ამუხრუჭებენ ცენტრიდან სამეგრელოს ავტონომიას. "რატომ არ არსებობს მეგრული ნაცია?" — კითხვას სვამს იგი, სამეგრელოს ხომ ყველა ის თავისებურება გააჩნია, რისგანაც იქმნება ნაცია: 1. კულტურისა და ყოფის ერთობა; 2. ტერიტორია, 3. ეკონომიკური ურთიერთობა; 4. ენა და ა.შ.

ამ კითხვაზე ბოლშევიკურ პასუხს არავინ იძლევაო, მოსთქვამს ი. ჟვანია. ბოლშევიკური პასუხისა კი რა მოგახსენოთ და ეს კითხვა უფრო მნიშვნელოვან სხვა კითხვას ჰბადებს: რით აიხსნება ასეთი სიყალბე, ი. ჟვანიას გონებრივი ჩამორჩენილობით და სიბნელით, თუ შეგნებული ბოროტი განზრახვითა და საქართველოს უბოროტესი მტრების მხრით წაქეზებით? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რომელ კულტურაზე გვესაუბრება ი. ჟვანია? როდის ჰქონია სამეგრელოს სხვა კულტურა, გარდა ქართული კულტურისა? ან, იქნებ, არსებობს მეგრული დამწერლობა, მეგრული არქიტექტურა, მეგრული ლიტერატურა, მეგრული ფერწერა და ა.შ.?

ასეთ კითხვებზე პასუხების გაცემას თანმიმდევრულად არც აპირებს ი. ჟვანია და მარქსის, ლენინისა და სტალინის იდეების იმედი აქვს, უთანასწორო ბრძოლაში ქართველ "ფაშისტებთან" და "ბურჟუაზიულ–შოვინისტებთან", თუმც მისი მდგომარეობა არც ისე უიმედოა: კახიანის, მახარაძის, ორჯონიკიძის, პშენიცინის, იბრაგიმოვის, მალინსკის და სხვათა გარდა, მან იცის, რომ ჰყავს კიდევ უფრო დიდი და მძლავრი მოკავშირე, რომელიც ჯერჯერობით დუმს. თუმც ეს დუმილი ი. ჟვანიას თანხმობად ეჩვენება და თავისი გუმანის შესამოწმებლად გადაწყვეტს პირადად ინახულოს ეს დიდი მოკავშირე და მოისმინოს მისი აზრი სამეგრელოს საკითხის შესახებ. მაგრამ ი. ჟვანია მორცხვობს, მას ერიდება პირისპირ მარტო შეხვედრა თავის დიდ მოძღვართან და ამიტომ პროვოკატორობაში თავის კოლეგას და სეპარატიზმში თავის თანამებრძოლს, ნესტორ ლაკობას მიმართავს შველისათვის. როგორც იტყვიან, "გულს გული იცნობსო", ნესტორიც უსიტყვოდ გაუგებს თავის "დაჩაგრულ" მოძმეს და ორივენი გაუდგებიან სოჭის გზას, სადაცა ისვენებს "პროლეტარიატის დიდი ბელადი". ისინი სოჭში ჩავლენ 1929 წლის 13 სექტემბერს. პირველი მიღებისთანავე გაუარა ი. ჟვანიას შიშმა და მორცხვობამ. "დიდმა ბელადმა" მისი სამივე კონცეფცია მოიწონა, აი, მისი სიტყვები: "თქვენი მოთხოვნა გაზეთის გამოცემის შესახებ, აგრეთვე გლეხისათვის განკუთვნილი ლიტერატურის მეგრულ ენაზე თარგმნის შესახებ სწორია. გაზეთი დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს: ნუთუ არსებობენ ადამიანები, რომელნიც ამას ეწინააღმდეგებიან? მახსოვს, ჯერ კიდევ 1905 წელს, პროკლამაციები გამოდიოდა მეგრულად. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი განა შეიძლება რამის თქმა: იგივე ითქმის სკოლებზეც. პირველდაწყებით სკოლებში პირველ ოთხ კლასში მეგრულად უნდა ასწავლონ საგნები. რაც შეეხება სამეგრელოს ოლქს, მეგრელ გლეხებს უფლება აქვთ იქონიონ თავიანთი ოლქი და ამ საკითხს მე მხარს დავუჭერ ცკ (ბ)–ში." აქვე მიიღო ი. ჟვანიამ მითითება ჩაის კულტურის გაძლიერების შესახებ და სხვ.

ადვილად შეიძლება სტალინის ზემოთხსენებული სიტყვები, განსაკუთრებით ოლქის შესახებ ი. ჟვანიას ფანტაზიის ნაყოფი იყოს, ვინაიდან მოგვიანებით განხორციელდა მხოლოდ გაზეთი, ოლქზე კი საბჭოთა მთავრობა არ იძლეოდა საქციას. ისიც ცნობილია, რომ მოგვიანებით სტალინმა სთქვა: "ამ ჟვანიამ გადამკიდა სამეგრელოდან გამოსული ინტელიგენცია: გამსახურდია, აბაშელი, სახოკია, და სხვა. მათი აზრი მე უფრო სანდოდ მიმაჩნია, ვიდრე ჟვანიასი. მომაშორეთ თავიდან ეს კაციო". ალბათ ამანაც გადაწყვიტა ჟვანიას ბედი 1937 წელს.

ყოველივე ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ მცირე ხნის შემდეგ უკვე 28 სექტემბერს, სოჭიდან დაბრუნებული მ. კახიანი ეტყვის ი. ჟვანიას: "ბელადმა გვითხრა, ისე მოიქეცით სამეგრელოს საკითხში

გაგრძელება გვ. 12

ფიქრები ლევან ბებურიშვილის წიგნზე

ახალგაზრდა ავტორის, ლიტერატურის კრიტიკოსის, ლევან ბებურიშვილის ნაშრომი „მწერლობის „მოთვინიერება“ გრძელდება“ (გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012), კრიტიკული აზრის დიდად განმაცხოველებელია იმ გარემოში, სადაც კრიტიკა ძლივს ღიმღამობს. ფილოლოგ ავტორს ხელი მოუკიდია იმ საკითხისათვის, რაზეც ჩვენში ან დუმილს ამჯობინებენ, ან მის ქებას შესდგომიან, ან ყასიდად იმხილებიან. 22 წლის ავტორი, ამჟამად დოქტორანტი, ამ წიგნში წერს საქართველოს წყლულებზე. ლევან ბებურიშვილი კრიტიკის ადიდაში აძვრენს იმას,რასაც ქართველი ლიბერალები თავისუფალი მოაზროვნეების მისაბაძ ინტელექტუალურ მონაპოვრად მიიჩნევენ და რაც სინამდვილეში ქვეყნის სირცხვილია. ამ წიგნში ჩანს ქართული მწერლობის ბედზე დაფიქრებული კრიტიკოსის ნემეზისი (აღშფოთება) იმ უმსგავსობათა გამო, რაც წლების მანძილზე გაფესვდა და ღვარძლად მოედო სამწერლო სარბიელს.

წიგნიერ ქართველთა უმეტესობამ თავისუფლებად იგულისხმა სინდისისაგან დახსნა, სიშტერის ნორმატიზება და სიძვის მეხოტბეობა. ლევან ბებურიშვილის მიერ განხილულ მწერალთა და მათ მიმბაძავთა ნაწერების კითხვისას კვლავ რწმუნდები იმაში, რომ ქართველთა ხმამაღალი განაცხადი სულიერებასა და ტრადიციულობაზე არის ლიტონი სიტყვა. იმის წლობით მტკიცება, რომ ქართველობას მხოლოდ ლიბერალიზმის მეოხებით შეეძლო თავისი გზისა და დვრიტის პოვნა, იყო შეგნებული სიცრუე. ქართველს არ შეუძლია სხვისი ჩაძახილის გარეშე ცხოვრება. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ლიბერალი ინდივიდის თავისუფლებას გადაჰყვა ყველაფერი.

რას ხედავს ლევან ბებურიშვილის თაობის ქართველი ახალგაზრდობა? იმას, რომ სიცრუეს და ჭკუამხიარულობას მოუცავს ქვეყანა. ქართული მწერლობა მრავალგზის შელანძღულია, ქართველ მწერალთა კავშირი 90-იანი წლების დამდეგიდანვე სახელგატეხილია. ასპარეზზე გამოდიან ერთობ კონიუნქტურული მწერლები: ლაშა ბუღაძე, აკა მორჩილაძე და სხვები. ამ მწერალთა მიზანი არის მასხრობით და ანგლობით გაამართლონ ის, რაც საქართველოში გარდასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ხდება. ეს არაა ირონია, არაა სატირა. ეს არის პროფანაცია ირონიისა და სატირისა. ირონია და სატირა მოჩვენებითია და ამით იფარება საკუთარი კონფორმისტობა, სისტემის აპოლოგეტობა. ვითომ პოლიტიკას განდგომილი მწერლები, სინამდვილეში, ხელისუფლებისა და მთლიანად სისტემის შენიღბული მცველები და მსახურნი არიან. განუწყვეტელი სიცილით, უმიზნო ირონიით, ცრუ ნონ-კონფორმისტობით ხდება იმის გამართლება, რაც ფესვამოსაგდებია და შესაჩვენები; მოვიდა თაობა, რომელმაც არაფერი იცის ქართველ განმანათლებელთა - ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა ნაღვაწზე.

ლევან ბებურიშვილის ამ წიგნზე გამოხმაურებას ვერ დაწერ შაბლონური ფრაზებით. აქ დიდი დარდია ავტორისა, რომელიც თავის ტოლ-სწორთაგან განსხვავებით, არ გაურბის მძიმე და სამტკივნელ საფიქრალს. ქართველი ჯეელკაცობა, საკუთარ ახალგაზრდულ ასაკს, თავისი უმეცრების, ზნედაცემულობის და უდისციპლინობის გამართლებას ახმარს. წლები მალე გადის და ქვეყანას ემატება უგები, საქვეყნო საქმისათვის ყოვლად გამოუსადეგარი, ღვარძლით სავსე ადამიანების მასა, რომელსაც მხოლოდ ის შეუძლია, რომ სოციალურ ქსელებში უაზროდ ილანძღება, ან ქილიკობს. ესაა შინაური მტერი, რომელიც მზადაა გაჰყვეს პოლიტიკანებს და საკუთარი სიშლეგით კვლავ სიავე დაიტეხოს თავზე.

წინამდებარე წიგნი არის დავა მწერლობაში გამედგრებულ ლიბერტარიანულ ექსტრემიზმთან, თვალისსეირად გადაქცეულ დეჰუმანიზაციასთან. უკვე წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს ავტორის თეორიული მომზადებულობა. ჩანს, რომ ლევან ბებურიშვილს ბევრი უფიქრია და უკითხია.

საუკუნის მეოთხედი გავიდა და პლურალიზმის გარემოში ქართულ მწერლობას მეტად გაუჭირდა. მან ისეთი ვერაფერი შექმნა, რაც კონიუნქტურაზე მაღლა მდგარი იქნება. ლიტერატორობა გადაიქცა თავის არიდებად საქვეყნო უბედურებისაგან. მწერალს აღარ აქვს იდეა, რომელსაც ის თავის გულსა და კალამს შესძღვნის. მწერალი ძველებურად ხელისუფლების მაქებარია და ეს მხოლოდ ბოლშევიზმის ნაკლი არ იყო. ლევანის წიგნიდან კარგად ჩანს, რომ პოსტმოდერნიზმი, რომელიც თითქოს აპოლიტიკური იყო, პოლიტიკის ნაწილად და იდეოლოგიად იქცა. ეს ვითომ აპოლტიკური და განზე განმდგარი მწერლები სინამდვილეში პოლიტიკურად მიკერძოებულნი არიან. სარკაზმულ ღიმილს ჰბადებს ის, რომ პოსტმოდერნიზმი, რომელიც დასრულდა დასავლეთში, საქართველოში ისევ გაბატონებული იდეოლოგიაა. ქართველი ნეოლიბერალები და ლიბერტარიანელები ისევ მის დებულებებს ებღაუჭებიან, რადგან მის წიაღში შექმნეს მათ თავისი კარიერა და ამის იქით გამხედავნი არასოდეს იქნებიან. მათ არასოდეს გააჩნდათ რაიმე საკუთარი იდეა. ისინი იყვნენ და არიან სხვისი ჩაძახილით მოლაპარაკენი. ეს არის გაშეშებული პროვინციალიზმი და პლაგიატიზმი, სექტანტური კაცთმოძულეობა სხვათა მიმართ. მათ ხეირიანად გამოიყენეს წლობით მიმდინარე ბოლშევიზმის ძაგება და თავის ხელობად აქციეს ხელისუფლების ყველა უსამართლობის გამართლება. ფილოსოფია და ლიტერატურა მათ გადააქციეს რეპრესიულ სახელისუფლო დისციპლინებად. ისინი არიან იდეოლოგები ამ სიტყვის ყველაზე უარესი გაგებით იმ დროს, როდესაც ლიბერალიზმი 90-იანი წლებიდან აცხადებდა სრულ დეიდეოლოგიზაციას. ბ-ნი ლევანი თავისი ნაშრომის V თავში წერს პოსტმოდერნიზმის შემოჭრაზე ქართულ მწერლობაში. კამათი უსასრულოდ



შეიძლება იმაზე, პოსტმოდერნიზმი თავად გაჩნდა ქართულ ლიტერატურაში, თუ დასავლეთიდან მოვიდა. ჩემი აზრით, ქართველი პოსტმოდერნიზმამდეც სიმულაციას მისდევდა და რელატივისტი იყო. ეს კარგად ვერ ჩანდა საბჭოთა ცენზურის ბატონობის გამო. პოსტმოდერნიზმის გადავარდნის შემდეგაც ქართველი ისევ ისეთი რჩება. პოსტმოდერნიზმამდელი პოსტმოდერნისტი იყო თამაზ წივწივაძე, ასევე ტარიელ ჭანტურია. წივწივაძის მასხრობები 90-იანი წლების დამდეგს საღდებოდა კრიტიკად. მაგალითად, საბჭოთა დროს გამოსული მისი წიგნი „მართალს ვიტყვი“ მასხრობის ნიმუშია. გვიან დაინახა ქვეყანამ, რომ ეს არ იყო კრიტიკა. ასევე არიან ახლანდელი მწერლები. საკითხავი ისაა, ვინ მოვა ქართულ მწერლობაში ზაზა ბურჭულაძის, ერეკლე დეისაძის, ლაშა ბუღაძის შემდეგ? რას მოიგონებენ ისინი და რაზე იმასხრებენ? ისევ ისე დაიცავს მათ ქვეყნის მთავრობა და ლიტერატურის ინსტიტუტი?

განსვენებულმა შოთა ბოსტანაშვილმა დაწერა: „დღეს - პოსტმოდერნისტული ლიტერატურის სახით - სახეზეა ახალი ტოტალიტარული ლიტერატურა, ტექსტი, რომელიც აღარ ქადაგებს ჭეშმარიტებას“ (მრგვალი მაგიდა თემაზე: „მწერლობის მოთვინიერება“. (9. X. 2009 – 12.00 – 14.00), ლიტმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენცია: ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი (XX საუკუნის გამოცდილება). თბ., შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, („კრიტიკა“, 2009, 4, გვ. 283).

პოსტმოდერნული რომანის თავისებურებანი კარგად დაახასიათა კონსტანტინე ბრეგაძემ თავის ნაკვლევში „პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკა (შუმმა პოსტმოდერნიცა)“, „სჯანი“, 2013, 14, გვ. 58 – 76). აქ საუბარია ამ მიმართულების რომანის უმიზნობასა და უიდეობაზე, ტექსტის თავშესაქცევობასა და დესტრუქციულობაზე.

პარადოქსი ისაა, რომ პლურალიზმმა დაამკვიდრა ახალი ტიპის იდეოლოგია მაშინ, როცა წლების მანძილზე დეიდეოლოგიზაციაზე იყო საუბარი. 90-იან წლებში ამას ამტკიცებდა ქართველ ფილოსოფოსთა დიდი ნაწილი (ვახტანგ ერქომაიშვილი, გურამ თევზაძე და სხვები). ნეოლიბერალიზმმა მოახდინა ყოვლისმომცველი რეიდეოლოგიზაცია და რეპოლიტიზაცია. ამიტომაა, რომ ერთი შეხედვით აპოლიტიკური ლიტერატურული ტექსტი სინამდვილეში პოლიტიკური ტექსტია. ეროტიკული, სკაბრეზული და ფრივოლური ტექსტის მიღმა იკვეთება ლიბერტარიანული პოლიტიკური იმპერატივი. ეს მაშინაც ასე ხდება, როდესაც პროზაიკოსებსა და პოეტებს არ აქვთ გააზრებული იმ მიმდინარეობის არსი, რის მიმდევრებადაც თავს წარმოაჩენენ. მხედველობაში მაქვს პოსტმოდერნიზმი. ლევან ბებურიშვილი ამბობს: „რაც არის ნეოლიბერალიზმი პოლიტიკაში, იმავეს წარმოადგენს პოსტმოდერნიზმი ლიტერატურაში“ (გვ. 69). აქვე ის წერს, რომ ნეოლიბერალები ცდილობენ ისეთი ცნობიერების შექმნას, როდესაც არ არსებობს არანაირი მორალური იმპერატივი, არაფერი საკრალური (გვ. 28).

ნუგზარ მუზაშვილი თავის ნარკვევში „არსებობს, მაგრამ... არ არსებობს“, სავსებით სწორად მსჯელობს: „როგორღაც ისე მოხდა, რომ დასავლური წარმოშობის ისეთი ლიტერატურათმცოდნეობით-კულტუროლოგიური ტერმინები, როგორებიცაა, ვთქვათ, კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, აგერ ჩვენს თვალწინ პოსტმოდერნიზმი და სხვა, ჩვენში მრავალი გაუგებრობისა და ილუზიის წარმოქმნის მიზეზი ხდება ხოლმე“ („კრიტიკა“, 2007, 2, გვ. 8).

ლევან ბებურიშვილის წიგნში განხილულ მწერალთა (აკა მორჩილაძე, დავით ბარბაქაძე, ზაზა ბურჭულაძე, ერეკლე დეისაძე და სხვანი) შემოქმედება არის სწორედ გაუგებრობა და ილუზიონიზმი. ეს არის საკუთარი სისუსტის დაფარვა გენიტალიზმითა და ფრივოლურობით, ქურდული ლაპარაკითა და განუწყვეტელი მასხრობით. ეს პროფანირებული ეროტიზმია. არა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს საიგავო აფრაკობაა. აკა მორჩილაძემ და მისმა მიმბაძავებმა ქურდული კონტრკულტურაც სასეიროდ აქციეს. რამდენი თხზულება შეიქმნა 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში და მხატვრული ღირსების მქონე ეროტიკული ტექსტები მაინც არსადაა. აქ რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ეროტიზმის თემაზე ქართულ ლიტერატურაში. ქეთევან ელაშვილი აღნიშნავს: „ქართული სიტყვის შინაგანმა ბუნებამ ვერ იგუა ეროტიზმის შესატყვისი ლექსიკა - ანუ არ შეიქმნა ამ ნაკადის მეტყველი სისტემა და, შესაბამისად, მკვეთრად აქცენტირებული ეროტიული მწერლობა“. „ქართული მწერლობის წიაღში არ განვითარდა „ეროტიზმის ესთეტიკა“. აქვე ქვემოთ, ქ-ნი ქეთევანი იტყვის, რომ „ბესიკის პოეზია ერთგვარად აქარწყლებსო ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას - ქართულ ცნობიერებაში „ეროტიზმის ესთეტიკის“ არარსებობაზე“. (ქეთევან ელაშვილი. „ეროტიზმის დიაპაზონი ქართულ სიტყვაში“. „ლიტერატურულიძიებანი“, 2008, XXIX, გვ. 252-5). აქვე ვიტყვი, რომ ბოლო დროს ბესიკზე გამოსული ლიტერატურიდან გოჩა კუჭუხიძის ნარკვევი „ბესიკის შემოქმედების აღმოსავლურ-დასავლური ასპექტების ურთიერთმიმართებისათვის“ („ლიტერატურული ძიებანი“, 2010, XXXI, გვ. 29 – 43) შესანიშნავი რამ არის.

ქეთევან ელაშვილმა ეს აზრი გამოთქვა მაშინ, როდესაც უკვე კაიხნის შექმნილი იყო მრავალი ცნობილი ქართველი გენიტალისტი მწერლის ნაწარმოები. მის ნამსჯელში ჩანს, რომ იგი არ აღიარებს ამ მწერლებს და მათ ნაწერებს. ამაში ქ-ნ ქეთევანს სრულიად ვეთანხმები. ის ხსენების ღირსადაც არ თვლის ახლანდელ გენიტალისტ ქართველ მწერლებს. ქ-ნი ქეთევანი წერს: „საუკუნოვანი ტაბუირება ეროტიკული თემატიკისა, რაღა თქმა უნდა დაემჩნა ჩვენს მწერლობასაც, სადაც მიხეილ ჯავახიშვილის გარდა, ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე, ფაქტობრივად ვერვინ გაბედა შეხებოდა ამ ერთობ სარისკო საკითხს“ (იქვე, გვ. 254).

ბესიკის გარდა დავით გურამიშვილთანაა ეროტიკული პოეზია. ქართული ლიტერატურის ისტორიას ახსოვს რუსთველის სიძვის პოეტად გამოცხადება, მისი პოემის შეჩვენება და დევნა სამღვდელოთაგან. მიუხედავად იმისა, რომ სპარსული გავლენით არსებობდა ძველქართული სამიჯნურო ლიტერატურა, ეროტიზმმა ვერ მოიდგა ფეხი ქართულ ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძის დროს საქართველოში იცნობდნენ ემილ ზოლასა და გი დე მოპასანს. და მაინც, უახლეს დროში თვინიერ მიხეილ ჯავახიშვილისა, ვერვინ შეძლო ტაქტისა და გემოვნების შენარჩუნებით ეწერა ამ თემაზე. ტაქტი ყველა დროში აკლდა ქართველს. ლევან ბებურიშვილის წიგნში სწორედ ეს ჩანს, რომ ეროტიკაზე მწერ ჯეელებს ტაქტი დაჰკარგვიათ. სხვადასხვა დროს ლიტერატურის ინსტიტუტში ითქვა რაღაც ახლანდელ გენიტალისტ მწერლებზე, მაგრამ ვერვინ გაბედა სალიტერატურო კრიტიკის მახვილით მოესრა ის მწერლები და პოეტები, რომელნიც ლევან ბებურიშვილმა განიხილა აქ დასახელებულ წიგნში. მაგალითისათვის, თამარ ჩიხლაძე თავის წერილში „ლიტერატურა, ახალგაზრდობა, სექსი და მოდა“, წერს სექსიზმის მოძალებაზე ლიტერატურაში („კრიტიკა“, 2011, 6, გვ. 39), მაგრამ არაა ნათქვამი, ვინაა ასეთი მწერალი. გაგა ლომიძე კლასიკური ლიტერატურის ტექსტებთან მიმართებაში განიხილავს აკა მორჩილაძის ერთ რომანს „აგვისტოს პასიანსი“ (გაგა ლომიძე. „რეალისტური/ პოსტმოდერნული პროზის კომპოზიცია“, „სჯანი“, 2010, 12, გვ. 38-48). ლიტერატურის ინსტიტუტში ვერ გაბედეს გაეკრიტიკებინათ ეს ლიბერალ-გენიტალისტები, რადგან ეს დაწესებულება ხელისუფლების ნაწილია

გაგრძელება გვ. 13

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ქართველი ჰანს ქრისტიან ანდერსენი – გურამ პატრიაშვილი...მწერალი, მსახიობი...

მეოცე საუკუნის მიწურულის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო, კოლორიტული წარმომადგენელი, ზვიად გამსახურდიას ერთგული, ღირსეული თანამებრძოლი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთი მესაძირკვლე გურამ პეტრიაშვილი, წლების მანძილზე იყო ხუნტისა და პუტჩისტური „მთავრობების“ მიერ დევნილი, ხიზანი...

თითქოსდა გამოინათაო საქართველოში ათწლეულობის განმავლობაში ჩამოწოლილ წკვარამ-უკუნში და აწ უკვე მხცოვანმა მწერალმა კვლავ მოაშაურა სამშობლოს...

მოიჩქაროდა შინისაკენ და ალბათ გულში მოიმღეროდა თავისი დიდი წინამორბედის ტაეპებს...

“ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო,სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო“...

ჩამოვიდა, ფეხი კვლავ დადგა მშობლიურ მიწაზე, თითქოსდა გაუსაძლისი დევნილობა მოიხსნა გულის ფიცრიდან, მაგრამ რაა?

ბატონი გურამი დღესაც მისი ბედკრული სამშობლოს, მშობელი ხალხის ბედითა და ხვედრით ცხოვრობს... სამშობლოში კვლავ ქირით დგას... საკუთარი ჭერი და კერა არ გააჩნია, ტელევიზორიც კი!

ამბობენ, ივანიშვილმა კვლავ აღუდგინა ქართული კულტურის მოღვაწეებს მაღალი ფინანსური შემწეობებიო...

ბატონი გურამისათვის კი, ვერც ამჯერად იმეტებენ სახსრებს ... ალბათ იმიტომ, რომ იგი იმ ნომენკლატურიდან არ არის, რომელსაც მოწყალე თვალით უყურებს ნომენკლატორი.

არადა, გურამ პეტრიაშვილი მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის გასაყრისის ერთადერთი დიდი საბავშვო მწერალია, რომელსაც უცხოელები ასეთ შეფასებებს აძლევენ:

„ თუ მწერლის რეინკარნაცია შესაძლებელია, მაშინ გურამ პეტრიაშვილი არის ანდერსენის რეინკარნაცია“ — ჟურნალისტი ოქსანა ფირიაევა (უკრაინული ჟურნალი „კინო, თეტრი“, N6, 2005). უკრაინელმა მწერალმა და კრიტიკოსმა, ივან ანდრუსიაკმა კი ქართველი მეზღაპრის შემოქმედება ოსკარ უაილდს შეადარა (იხ. უკრაინული ყოველკვირეული გაზეთი „ხალხის სიტყვა“ („ნაროდნოე სლოვო“, 30 ივნისი, 2006 წ. „21-ე საუკუნის ოსკარ უაილდი“).

თუ მეხსიერება არ მღალატობს, გურამ პეტრიაშვილი არის ჰანს ქრისტიან ანდერსენის მეზღაპრეთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, რომლის წევრობაც მხოლოდ ათამდე მწერალ მეზღაპრეს ერგო მთელს დუნიაზე...

დიახ, საქართველოში დადის ქართველი მწერალი - ჩვენი ჰანს ქრისტიან ანდერსენი, შეჭირვებული და გულნატკენი... რომელსაც დედა სამშობლოს ხელისუფლება კვლავ დედინაცვლურად ექცევა...

ალექსანდრე სანდუხაძე

მევიოლინე და პატარა ჩიტი

პატარა ქალაქში მევიოლინე ცხოვრობდა.

მოსაღამოვდებოდა თუ არა, მევიოლინე ჩაიცვამდა ძველ ფრაკს, ამოიიღლიავებდა ვიოლინოს და გასწევდა ქალაქის მოედნისაკენ.

დადგებოდა შუა მოედანზე და დაიწყებდა დაკვრას.

რამდენიმე მსმენელი თუ მოიყრიდა ხოლმე თავს მოედანზე.

მევიოლინე წყენას არ შეიმჩნევდა.

დახუჭავდა თვალებს და აამღერებდა ვიოლინოს.

უკრავდა დიდხანს, თავდავიწყებით.

დაკვრას რომ მორჩებოდა, გაახელდა თვალებს და ნახავდა, დაღამებულიყო უკვე, დაფანტულიყვნენ მსმენელნი.

ფარნების მკრთალი შუქით განათებულ მევიოლინეს ერთხანს ფიქრი გაიტაცებდა... მერე ნაღვლიანად გაიღიმებდა და გაუყვებოდა ქუჩებს შინისაკენ...

და მეორე დღეს კვლავ ელოდა საღამოს, კვლავ მიდიოდა მოედანზე.

კვლავ ცოტა ჰყავდა მსმენელი...

მაშინ ეს იფიქრა მევიოლინემ: „იქნებ ყველაფერში ვიოლინოა დამნაშავეო.

წავალ, ისეთ ხეს ვიპოვი, მისგან გამოჭრილმა ვიოლინომ მსმენელი გააცოსო“...

დაეხეტებოდა მევიოლინე ტყეებში. მიუახლოვდებოდა რომელიმე ხეს, დააკაკუნებდა და მიუგდებდა ყურს. მერე შუბლს შეიჭმუხნიდა და ახლა სხვა ხეზე დააკაკუნებდა.

მთელი ქვეყანა შემოიარა მევიოლინემ იმ ხის ძებნაში.

... და ერთხელ ხის ძირას პატარა ჩიტი იპოვა ფრთებმოტეხილი.

აიყვანა და წყაროს წყალი აპკურა.

ჩიტი გონს მოვიდა, მევიოლინემ ჰკითხა, რა დაგემართაო.

– მინდოდა, ცაში ავფრენილიყავი, მაღლა, სულ მაღლა... მაგრამ ფრთები დამეღალა და ჩამოვვარდიო, – თქვა ჩიტმა და ატირდა.

მევიოლინე გაოცდა. ჩიტი ფრთხილად ჩაისვა უბეში და გამოეშურა ქალაქისაკენ.

დიდხანს უვლიდა ჩიტს მევიოლინე. მალამოს ადებდა ფრთებზე. თავს დასტრიალებდა.

ანუგეშებდა, გამოჯანმრთელდები და კვლავ გაფრინდები ცაშიო.

ზრუნავდა ჩიტზე მევიოლინე, თავი აღარ ახსოვდა... ვიოლინოც კი დაავიწყდა.

მისი სახლიდან საკრავის ხმა რომ აღარ ისმოდა, ძალიან უკვირდათ გამვლელებს.

ერთ კაცს უხაროდა მხოლოდ.

ეს კაცი მევიოლინეს მეზობელი იყო. ამ კაცს ჭამა უყვარდა ძალიან, ხოლო მუსიკა ჭამის მადას უკარგავდა. ასე ეგონა, თუ ვინმე მღერის ან უკრავს, ჩემი ჯიბრით უკრავს და მღერისო.

ახლა, მევიოლინე რომ აღარ უკრავდა, მეზობელი კმაყოფილი და ბედნიერი იყო.

მაგრამ ბოლოს შეეშინდა, ვინ იცის, რას ამზადებს მევიოლინე ჩემს წინააღმდეგო.

მიეპარა და ჩუმად შეიჭვრიტა მევიოლინის ფანჯარაში. დაინახა, როგორ დასტრიალებდა მევიოლინე ჩიტს და როგორი სიფრთხილით ადებდა მალამოს მოტეხილ ფრთებზე. დაინახა, როგორ შესცქეროდა მადლიერი ჩიტი მევიოლინეს.

მეზობელმა იფიქრა, ცუდადაა საქმე, როცა ამ ჩიტს მოარჩენს, გახარებული აღარც დღე მომასვენებს და აღარც ღამე თავისი ვიოლინოს წრიპინითო.

ჰოდა, მევიოლინემ და ჩიტმა რომ დაიძინეს, შეიპარა სახლში და მოიტაცა ჩიტი.

დილით ჩიტმა გაიღვიძა და ნახა, გალიაში იჯდა.

ატირდა ჩიტი. მას უკვე ისე უყვარდა მევიოლინე, ფიქრობდა ხოლმე, როგორღა გავფრინდები ცაში, როგორ მივატოვებ მევიოლინესო.

იჯდა ჩიტი გალიაში და ტიროდა.

მევიოლინე სევდიანი დადიოდა ქალაქში და ყველას ეკითხებოდა, პატარა ჩიტი ხომ არ გინახავთო.

– პატარა ჩიტების მეტი რა არის ამქვეყნად. შენ ის გვითხარი, რა ნიშანი ჰქონდა განსაკუთრებულიო, – ეკითხებოდნენ.

– ჩვეულებრივი, პატარა ჩიტი იყო და ცაში უნდოდა აფრენა, მაღლა, სულ მაღლაო... – ამბობდა მევიოლინე.

გამვლელები ხელებს გაშლიდნენ, მხრებს აიჩეჩდნენ და გაეცლებოდნენ.

გადაუწყდა იმედი მევიოლინეს.

იფიქრა, ალბათ, აღარაა ცოცხალი, ვეღარ ვნახავ პატარა ჩიტსო.

იმ საღამოს კვლავ აიღო ვიოლინო და გასწია მოედნისაკენ. დადგა შუა მოედანზე და აამღერა...

უკრავდა მევიოლინე და ბოლოს დაქანცულმა თვალები რომ გაახილა, დაინახა მთელ ქალაქს მოეყარა თავი მოედანზე.

საოცარი ჰანგებით მოხიბლული იდგნენ ადამიანები.

უყურებდა აღფრთოვანებულ სახეებს და მიხვდა მევიოლინე: ტყუილად ვეძებდი საოცარ ხეს ვიოლინოსთვის, საუცხოო ჰანგებს მხოლოდ დიდი წუხილი ბადებსო...

ყოველ საღამოს უკრავდა მოედანზე.

და ყოველ საღამოს უსმენდა მას მთელი ქალაქი.

დაკვრას რომ მორჩებოდა, დიდები მხოლოდ ამის თქმასღა ახერხებდნენ, რა მშვენიერი მუსიკააო, და ცრემლს მოიწმენდნენ. ბავშვები კი, დაბრუნდებოდნენ თუ არა შინ, მიუსხდებოდნენ მაგიდას და ათასფრად ელვარე ვარსკვლავებს ხატავდნენ რვეულებში.

მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება ღამით ხდებოდა.

როცა ყველა დაიძინებდა, ვარსკვლავები სწყდებოდნენ ბავშვების რვეულებს და ცისკენ მიფრინავდნენ.

ასტრონომებს ვერ გაეგოთ, როგორ ჩნდებოდნენ ახალი ვარსკვლავები ცაზე. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ეს რა ამბავია ჩვენს თავსო... იკრიბებოდნენ, სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ. რამდენჯერმე ჩხუბიც კი მოუვიდათ.

ბოლოს მორიგეობა დააწესეს.

მთელი ღამე შეჰყურებდნენ ცას სათითაოდ. მაგრამ არ შეიძლება ერთი პირი ასტრონომსაც არ ჩაეძინოს და სწორედ ამ დროს სწყდებოდნენ ვარსკვლავები მიწას.

ცას ვარსკვლავები ემატებოდა.

ქალაქში კი დიდ–პატარა გამუდმებით ღიღინებდა მევიოლინის მელოდიებს.

მოსვენება დაეკარგა მევიოლინის მეზობელს. ბრაზობდა მევიოლინეზე. ბრაზობდა ქალაქზე, ბრაზობდა მთელ ქვეყანაზე. აღარ იცოდა, სად დამალოდა მუსიკას, ჩამოხმა ბრაზით, სულ გადაირია.

ბოლოს კედელს მიანარცხა ჩიტის გალია, მერე წაავლო ხელი ჩიტს და ქალაქის მოედნისაკენ გაიქცა.

იქ მევიოლინეს უსმენდა ხალხი.

ბოროტმა კაცმა მომაკვდავი ჩიტი წინ დაუგდო მევიოლინეს და ქალაქიდან გადაიხვეწა.

დაიკარგა უგზო–უკვლოდ.

მოედანზე მდუმარედ იდგა ხალხი.

კვდებოდა პატარა ჩიტი და მწარედ ტიროდა მევიოლინე.

* * *

მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა.

პატარა ქალაქის მოედანზე ახლა მევიოლინის ძეგლი დგას. საკრავი ისე მოუმარჯვებია, თითქოს უკრავსო, მხარზე კი ჩიტი აზის.

ამბობენ, ღამით, როდესაც ვარსკვლავი მოსწყდება ცას, მევიოლინე შეირხევა და ვიოლინო ამოიკვნესებსო. მაშინ შეიფრთხიალებს თურმე ბრინჯაოს ჩიტი და მიფრინავს ბნელში.

მიფრინავს ჩიტი, აიტაცებს ჩამოვარდნილ ვარსკვლავს და მიაქვს ცაში.

განთიადისას კი კვლავ უბრუნდება მევიოლინეს.

ამიტომაც არ აკლდება ცას ვარსკვლავებიო.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

დილარ ივარდავა

ის, რაც არ ოდეს დაიბინდება!!!

მეტაფორაა ზვიადისტობა
(პასუხი ვაიპოლიტიკოსებს)

წელი ორასი გახდება მალე,
რაც ქართლი რუსის ჭირში იწრთობა,
ბრძოლა მოგველის დღესაც და ხვალაც–
მეტაფორაა ზვიადისტობა!
პირველი სიტყვა ბრძანა კახეთმა,
სიტყვა – კნორინგის გულის მკვნეტავი,
ის ვნება დროის გადასახედთან
ვინ გაამკრთალა ახლა, ნეტავი?!
მერმე აენთნენ მთაში მთიელნიც,
(ვინღა დაულტო მათაც ეგ დენთი?!
ის გახელება თერგზე ძლიერი–
დღეს მიზოზინებს,
თითქოს ტბას ერთვის!
მამულისშვილნო! ერთად რომ ვიყოთ,
ნუთუ სჭირდება რამე მისნობა?
ტოტლებენიდან, მე ასე ვფიქრობ,
ხომ არ დავიწყეთ ზვიადისტობა!
იმ დროინდელი რუსი რუსადვე
დარჩენილა და არც შეიცვლება,
რის ერთმორწმუნე,მუდამ სულს გვართმევს,
გენის სიკვდილი არ შეიძლება!
ოცდათორმეტის შეთქმულთა ღელვა
ეროვნულია და ჰგავს ზღვის ტრიალს –
ასე გამოდის:
ისინი ყველა
დღეის გაგებით ზვიადისტია!
რაც სამომავლო გზებით გვივლია,
გავმკლავებივართ გაქრობის წრიალს –
წარმოიდგინეთ, დიდი ილია,
დღეის გაგებით ზვიადისტია!
ზვიადისტია აკაკიც, ვაჟაც,
ვისაც მამული თავს ურჩევნია,
შინდისფერ დროშის მნათობთან გაშლა
ზედ გულის ზროსთან რომ დაგვრჩენია!
ზვიადისტია, თურმე ქაქუცაც,
ყველა, ვინც მამულს თავს ანაცვალებს...
კაცი – კაცითა,
ღობე – ქაცვითა,
ერთად შევიკრათ თქვენ გენაცვალეთ!
ნუ კი შეგაკრთობთ აწიც მტრის ტყვია,
ყველას გვესმოდეს ჩვენი მისია,
და იამაყე თუკი იტყვიან:
– ეს კაცი მართლაც ზვიადისტია:
სიცოცხლის ჟინი მივაგოთ მერმისს;
მონობა ბრძოლით თუ მოისპობა,
ყური დაუგდე, უკვდავად მღერის –
ეგ მეტაფორა ზვიადისტობა!

1992 წელი

თქმული მთაწმინდაზე

ამგვარს თქვენ ვერსად
ვერ დაინახავთ;
მკვლელსა და მსხვერპლს რომ
გვერდი–გვერდ ვმარხავთ,
ვერ ვარჩევთ, ვერა,
ოქროსგან ნაგავს
და ნამდვილ სახელს
ვერ ვარქმევთ საგანს!

1989 წელი

აი კაცი

აი, ეს კაცი
რუსთველზე რომ მიიჯგიმება,
თამადა გახლდათ წუხელა და...
ლოცავდა მამულს,
ძნელბედობის ჟამს მან ხომ
ძველი ყოფა ინება,
რომ ჰკითხო რატომ?
დაგიფიცავს სინდისს და ნამუსს.
–მე არაფერში მიმიძღვისო
მწიკვლი ბრალისა,
ხომ ხედავთ როგორ
განვიცდი, ვიწვი,...
არა და არის იუდა და...
ფეხზე ჰკიდია
მისნაირნი რომ
მამულს ჰყიდიან!
კაცი, რომელიც დღეს რუსთველზე
ჯგიმულა დადის,
არამზადაა, ქართველია,
ლექსმწერი, ბარდი!

1992 წელი

სპექტაკლის რეჟისორი

ო, რა სპექტაკლი ვიხილე გუშინ?
მოთმინება კი შეგვრჩა იობის,
დამდგმელი დასი ხითხითებს გულში,
რეჟისორობდა კაცი – გიორგი!
იჭვი თუნდაც კი მისხლის ოდენა
არ შეპარვია არავის მასში,
დამამხობელთა ძმობის ორდენმა
დამაქცევლებს დაუკრა ტაში!
უბედურო და მწუხარე ხალხო,
მე თქვენზე დარდი დამარბევს, ალბათ,
როდემდე უნდა ძლეული გნახო ,
როგორ იწევი დაბლა, სულ დაბლა!

1993 წელი

ტრიპტიქი
(სამი საფლავი)

I

უღვთოდ ჩაქრა იმედების კვარი,
გიხაროდეთ,
გიხაროდეთ სატანებო!!!
მშობლიური მიწა ჯიხაშკარის –
თავის გულში დიდ ტკივილებს ატარებსო!
ზენიტზე დგას აღზევება კაენის,
მეფობს ჟამი დაცემის და ზაკვის,
დღე გათენდა ტანჯვისა და ვაების,
სიმართლის და მზის ღვთაების დაკვლის!
ქვევრის ძირო –
ცრემლ = ვაების ექოვ,
დაბინდულა ქართველების ჭკუა,
ღვთიურ საქმეს წყევლა = კრულვა ერგო,
გამოვბმულვართ გიჟი ცხენის ძუას!

1994 წ. იანვარი

II

არ გაკმარეს უსაშველო ჯვარცმა...
არ დაგაყენეს საფლავში მშვიდად;
სამშობლომ გული გიქცია ნაცრად,
გული, რომელიც მონობას შლიდა!
შენ ქრისტესავით ამაღლდი ზეცით,
მტერთაგან წამით არაძლეული...
ჩეჩნეთის მიწამ, ვით რწმენის ცეცხლი –
გულში ჩაიკრა შენი სხეული!
თავისუფლების დარჩი სიმბოლოდ,
რვალი ხარ, რვალი – არ გამრუდდები!
შენ წმინდანივით ბოლოს და ბოლოს
ხომ ივერიას დაუბრუნდები!

26 მაისი 1994 წელი

III

თურმე გასამდეს უნდა საფლავი –
ბედი დაჰყვაო ბარათაშვილის,
აშენდებაო ირგვლივ რაც არი
წყეულ ქართველთა ხელით დაშლილი.
გაცისკროვნდება ქართლი პირწმინდად,
სულ მალე ალბათ,
სულ ახლო წლეულს –
ფეხზე ამდგარი წმინდა მთაწმინდა
გულში ჩაიკრავს შენს ტანჯულ სხეულს!
ქრისტესმიერ ძმას გადაეხვევი,
მერაბთან ერთად იფრენთ რაშებით,
თქვენ – საქართველოს ბედის მეხრენი
იყავით, ხართ და... მუდამ დარჩებით.

1994 წლის ოქტომბერი

შოთა ლეკავა

ჩემო გალაკტიონ შენი მერი

სიზმრად გნახე გალაკტიონ
ისევ იწყებ სმას
თუთუნსაც არ ეწეოდი
ისევ იწყებ წვას
თუ გიყვარდი არ ვიცოდი
არ ვიღებდი ხმას
გეკუთვნოდა ჩემი გული
რატომ მივეც სხვას
გიცნობდი თუ არ გიცნობდი
ვერ ვბედავდი თქმას
და ჩემს გულში საკმეველი
კვლავ განაგრძნობს წვას
ვერსად ნახავ ასეთ გულის
ნაკვერცხალის მსგავსს
პოეზიის სიყვარული
დაუტოვე ხალხს
და მე შენი სიყვარულის
გალაკტიონ მწამს
ძენს სიყვარულს არ გავატან
წვიმასა და ქარს.

ჩემი ეზოს „მსხლების ბაღში“

ჩემი ეზოს „მსხლების ბაღში“
ჭრიჭინები ჭრიჭინებენ
ჭრიჭინები ჭრიჭინებენ
ეზოს ჭრიჭინობელები
ალბათ მალე გახდებიან
პრემიების მფლობელები
და ვუწოდე ჩემს ჭრიჭინებს
ჭრიჭი–ჭრიჭი „ნობელები“.

გაუმარჯოს ჩემს იმერეთს

იმერეთში ტაშს უკრავენ
მგონი სტუმრებს ელიან
არა ბოშო ხაჭაპურებს
აცხობენ და მღერიან.
ცხელ კეცებში ტაშის დაკვრით
მჭადს აჯენენ შქერიანს
გაუმარჯოს ჩემს იმერეთს
ბუხრის კვამლს და კერიას.

და საქართველო იყოს ქართული!

ჩემო ქვეყანავ ოაზისი ხარ,
თოვლის მაქმანით შემოვლებული,
ოდესღაც დიდი, ოდეს ძლიერი,
ეხლა კი – საზღვრებშემოკლებული.
ვინ არა გვმტრობდა, ვინ არ გვებრძოდა,
ზოგს შური სძლევდა, ზოგსაც სიხარბე,
როცა ერთ მუშტად შევიკვრებოდით,
ვერას გვაკლებდა მტერთა სიმრავლე.
ეხლა კი – ეხლა, ჭრილობებიდან,
ვხედავ როგორ გდის სისხლის მდინარე,
რას მივაწერო, დაუძლურდი თუ
როცა გაგწირეს – იყავ მძინარე?!
უფრო ღალატმა მტრის და მოყვარის,
ორად გაგხლიჩა, დგახარ ურვილი,
შენი შემყურე ღმერთს ვევედრები,
რომ შემისრულოს ერთი სურვილი:
ღმერთო მოგვეცი ჭკუა იმდენი,
რომ არავისგან ვიყოთ მართული,
ჩვენი ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნოდეს
და საქართველო იყოს ქართული!

ირა ქოროღლიშვილი–ბუხაიძე

დასაწყისი გვ. 8

როგორც უმჯობესი იყოსო“. ასე რომ, სტალინი, როგორც ჩანს, ყოყმანობდა, უკვირდებოდა საქმის ვითარებას და ბოლოს საქართველოს ცკ–ს გადააბარა ამ საქმის გადაწყვეტა. შემდგომში ოლქის საკითხი ჩაიშალა, ჩაიშალა ფოთის ოლქის ჩამოყალიბებაც, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა სამეგრელო, გურია და სვანეთი. სამაგიეროდ, 1930 წლის პირველ მარტს ზუგდიდში გამოიცა პირველი მეგრული გაზეთი 17 000 ეგზემპლარად. ი. ჟვანია ლეგენდებს ავრცელებს ამ გაზეთის გავრცელების მასშტაბებზე, მაგრამ თავად აღიარებს, რომ ეს გაზეთი არავის უნდოდა ჩხოროწყუსა და სენაკში (აბაშაზე საერთოდ დუმს), ვინაიდან იქ ამბობდნენ, ქართული ყველამ ვიცით და მეგრული გაზეთი არ გვჭირდებაო. პროცენტული რაოდენობა გაზეთის მკითხველებისა ასეთია: ჩხოროწყუ – 2,2 პროცენტი, აბაშა – 2,2 პროცენტი, მარტვილი – 7,8 პროცენტი, სენაკი – 1,8 პროცენტი, ფოთი – 3,3 პროცენტი.

გაზეთი უმთავრესად გალსა და ზუგდიდში ვრცელდებოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს ამასობაში გაძლიერდა ინტელიგენციის ოპოზიცია – ამასთან ერთად თავად სამეგრელოდან გამოსულ კომუნისტთა ოპოზიციაც. ისევე, როგორც ინტელიგენციის ოპოზიციას სათავეში ედგა კონსტანტინე გამსახურდია, კომუნისტთა და თანამდებობის პირთა ოპოზიციას მეგრული ავტონომიისადმი სათავეში ჩაუდგნენ სამეგრელოდან გამოსული კომუნისტები, აგრეთვე ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ბესო ლომინაძე, რომელთაც მძლავრი ლახვარი ჩასცეს სეპარატისტულ მოძრაობას იმით, რომ გამოუთხარეს ძირი ი. ჟვანიას, როგორც სამეურნეო ხელმძღვანელის ავტორიტეტს, თუმც ისინი უფრო “ნაციონალიზმს“ უწუნებდნენ ი. ჟვანიას, ჩოხის კულტს და კლასთა ბრძოლის შესუსტებას და სხვა. ამიტომ, ი. ჟვანია, ყველა მათ “ტროცკისტებსა“ და “ნახევრად–ტროცკისტებს“ “პროვოკატორებს“ უწოდებს. იგი კვლავ ისვრის ბრალდებებს “ბურჟუაზიულ“, “თავადაზნაურულ“ ორიენტაციაში და მოჰყავს მაგალითი თავად ნ. დადიანისა, სამეგრელოს თავადაზნაურობის მარშლისა, რომელიც წერდა გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსს, გ. დადიანს: “მე და თქვენს მეუფებას ისევე როგორც ყველა ჩვენს თანამედროვე “მეგრელს“, მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სახლებში ხელშინაურნი ვერ ბედავენ ბატონების თანდასწრებით მეგრულად საუბარს, მეგრელს ხომ გლეხებს უწოდებენ დაბალი წოდების გამოსახატავად (მარგალი – მდაბიორი)“. აქედან გამომდინარე, ნ. დადიანი წერს: “მეგრულ ენაკავზე ლოცვანისა და სახელმძღვანელოების თარგმნა იქნება ანტიქრისტიანული აზრებისა და ღვთისმგმობელობის ხელოვნური გაღვიძება“. მეგრელი გლეხის და მისი ენის უკეთესი დახასიათება არ შეიძლება თავადაზნაურობის მარშლისაგან – აღნიშნავს ჟვანია. აქ იგი თვითვე აღიარებს, რომ “მეგრული“ გლეხის ენაა და არა ნაციისა, აბა ვინ არისო უფრო ახლოს თავადაზნაურობასთან, ლომინაძე თუ ჩვენ.

იქვე ი. ჟვანია საინტერესო ეთნოგრაფიულ “თეორიას“ ავითარებს. “სამეგრელოს საკითხი, ეს გლეხთა საკითხიაო“, – ამბობს იგი, – გლეხი მეგრელები, ისევე როგორც სხვები — აფხაზები, ოსები, ლეკები და სხვანი, პატარა ეთნოგრაფიული ეროვნებანი, გამოირჩევიან თავისი ყოფით და ენობრივი თავისებურებებით. ამიტომ მეგრელ გლეხებსაც ისევე თბილად უნდა მოექცეთ, როგორც სხვა პატარა ხალხებს“.

აქ კი ნამდვილად შეეჯახა ი. ჟვანია თავისი დიდი მოძღვრისა და ბელადის კონცეფციას ეროვნების გაგების შესახებ, ვინაიდან ასეთი აბსურდი სტალინსაც არ უთქვამს, რომ ამა თუ იმ ნაციაში ერთი კლასი შეიძლება ერთ ეროვნებას ეკუთვნოდეს, მეორე კლასი — მეორეს, მესამე კი — მესამეს. ი. ჟვანია მხოლოდ გლეხების “მეგრელობას“ ამტკიცებს დაბეჯითებით, ამავე ქვეყნის სხვა ფენების “მეგრელობაზე“ კი სდუმს. თავადაზნაურობას იმავე ქვეყნისას ქართველ “ფაშისტებს“, “ბურჟუაზიულ შოვინისტებს“, “ტროცკისტებს“ და ა.შ. უწოდებს. ასე რომ, მისი ლოგიკით, თურმე ზუგდიდში მიწის დამმუშავებელი გლეხი მეგრელია, ხოლო მედუქნე, რომელიც დახლთან დგას, ან ოფიციანტი, რომელიც რესტორანში მსახურობს, აღარ არის მეგრელი (აღარას ვამბობთ თბილისში წასულ “მეგრელ“ მოსახლეობაზე).

ამდენი კამათი ტვინნაღრძობ ი. ჟვანიასთან ალბათ არც ღირდა, მაგრამ ვაი რომ იგი უმემკვიდრეოდ არ გადაგებულა, სეპარატისტულად განწყობილი პირნი დღესაც არსებობენ სოხუმში, გუდაუთაში, ოჩამჩირესა და გალში, რომელთაც თავის ფარულ “სახარებად“ უქცევიათ ი. ჟვანიას ნაბოდვარი და მას ავრცელებენ კიდევაც ხალხში რუსულ ენაზე, თუმც ავიწყეებათ, რომ მასების სიბნელე 20-იან და 30-იან წლებისა შეუდარებლად უფრო დიდი იყო, ვიდრე დღეს, ამიტომ მათი პროვოკაციული მოქმედება ვეღარ დაგვირგვინდება ისეთი წარმატებებით, როგორც 50 წლის წინათ. თუმც იმხანად “სამეგრელოს საკითხს“ აქტიური მომხრეებიც ჰყავდა საქართველოს ოფიციალურ წრეებში. მ. კახიანმა განაცხადა პლენუმზე 1929 წლის ოქტომბერში: “ზუგდიდის პარტ-ორგანიზაციის მოთხოვნა სამეგრელოს საკითხზე თავადაზნაურობის პოზიციას კი არ ასახავს, არამედ გლეხებისასო“, ხოლო საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობაზე 1929 წელს, დელეგატმა წულუკიძემ (რაჭის სამაზრო კომიტეტის მდივანი) წაახალისა “ზუგდიდელი ამხანაგები“ თავის პატარა ავტონომიისათვის ბრძოლაში და აპლოდისმენტებიც მიიღო. (იხ. სტენოგრამა VI ყრილობისა, გვ. 24).

რაც შეეხება შ. ელიავას, მას მერყეობა ახასიათებდა ამ საკითხში. მისი პოზიციიდან გასაგები ხდება, ჩვენის აზრით, ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რად არ დაუშვა მაინც საბოლოოდ საბჭოთა მთავრობამ სამეგრელოს ავტონომია. შ. ელიავა ამბობდა: “დავუშვათ და სამეგრელოს საკითხი გადაწყდა ისე, როგორც ამას მოითხოვენ ჟვანია და მისი მიმდევრები. მაშინ ეს იქნება აგრესიული ზომა ქემალისეული თურქეთის წინააღმდეგ. ვინაიდან იქ 300 ათასზე მეტი ლაზი ცხოვრობს, მეგრულად მოლაპარაკე“. მაგრამ ელიავა აქ მარტო თურქეთს როდი დაგიდევდათ, ვინადიან სამგრელოსათვის ავტონომიის მინიჭებით იქმნებოდა საფრთხე ლაზების გაერთიანებისა საზღვრებს გაღმა-გამოღმა, რაც თანაბრად საზიანო იყო როგორც თურქეთისთვის, ასევე “სსრ კავშირისთვის“, ე.ი. რუსეთისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის ძირითადი მიზეზი სამეგრელოს ავტონომიის შეფერხებისა და ე.წ. “აჭარის ასსრ“-ს შექმნაც ემსახურება მიზანს ე.წ. ბუფერული ზონის შემქნისას ორ ლაზეთს შორის, რომელთაც ასხვავებს მხოლოდ სარწმუნოება.

საკავშირო მთავრობის წრეებში, სტალინის გარდა, როგორც ჩანს, სამეგრელოს ავტონომიას მხარს უჭერდა მ. კალინინიც, რომელმაც მე-16 პარტყრილობის დელეგატებს შორის მყოფ შ. ელიავას “ცივი წყალი გადაასხა“ შემდეგი სიტყვებით: “ჩვენ სამეგრელოს მივცემთ ოლქს“, მაგრამ თბილისში დაბრუნებულ დელეგატებს კვლავ დახვდათ სიურპრიზი ოლქის გამოცხადების აკრძალვის სახით. ვინაიდან იმხანად საერთოდ აიკრძალა ახალი ოლქების გამოცხადება და უფრო დარაიონებაზე აიღო კურსი კომპარტიამ.

ი. ჟვანიას აქვს თავისებური “ლოგიკა“, რომელიც უდავოდ გამართლებულია ველიკოდერჟავული შოვინიზმის თვალსაზრისით და არამცდაარამც სამეგრელოს და სრულიად საქართველოს მოსახლეობის ინტერესებით. იგი სვამს კითხვას: “განა აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ავტონომია არ განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას?“

შემდეგ ი. ჟვანია იგივე “ლოგიკით“ განაგრძობს: “სწორედ საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდება საქართველოში უფრო მეტად, თუ სხვებთან ერთად გვექნება სამეგრელოს ავტონომიაც“. ოღონდაც, მივუგებთ ჩვენ, თუ “საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში“ აქ იგულისხმება საქართველოს დანაწევრება, მისი ეროვნული ერთიანობის მოსპობა და მომავალში ნიადაგის შემზადება ქართველი ერის სრული ასიმილაციისათვის, მაშინ ი. ჟვანია მართალია, ასე რომ, თუ აფხაზეთის ავტონომიის გამოცხადებით საქართველოს ჩამოსცილდა დაახლოებით მისი მეექვსედი ნაწილი, სამეგრელოს ავტონომია მას თითქმის ნახევარს ჩამოაცილებდა, ე.ი. საქართველოს საზღვარი მოვიდოდა სამტრედიასთან. ასე, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერება ჟვანიასნაირების “ლოგიკით“ საქართველოს ეროვნულ თვითმყოფადობისა და ტერიტორიული მთლიანობის მოსპობას ნიშნავს და მისი შენარჩუნების უკუპროპორციულია (საინტერესოა აგრეთვე, რომ ი. ჟვანიას ნომენკლატურით “აჭარლებიც“ ასეთივე ცალკე ხალხია, როგორც აფხაზები და მეგრელები. ვოსტორგოვი უკეთეს მემკვიდრეს ვერ ინატრებდა, ისიც მეგრულ ჩოხაში გამოწყობილს).

ი. ჟვანია ემდურის საქართველოს სახელგამს: ორ წელიწადში სულ ორი ბროშურა მოგვცაო მეგრულ ენაზე. ერთ-ერთი მათგანი არის წიგნი “ჭითა ჩხორია“ (“წითელი სხივი“) რომელზედაც დაწერა რეცენზია კონსტანტინე გამსახურდიამ და გაუგზავნა მთავრობას. (იხ. “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982 წ. 3, გვ. 143)

ამ რეცენზიაში ავტორი წერს: “ყოველივე ჰიპერბოლის გარეშე წინამდებარე წიგნის “ჭითა ჩხორიას“ გამოსვლა ვოსტორგოვის ლეშმა რომ გაიგოს, სამარეში (სიხარულით) გადატრიელდება სამგზის“.

“ასეთი ანტიქართული, ქართული ენისათვის დამღუპველი ამბავი დიდი, დიდი ხანია საქართველოში არ მომხდარა “

“მაგალითისათვის, დღევანდელი ჰოლანდია მე-13-14 საუკუნეებამდის ქვემო გერმანიის განუყოფელი ნაწილი იყო და ფეოდალების წაკინკლავების წყალობით იგი გარმანიას გამოეთიშა“

“რომანოვების რუსეთის ბნელი ხელიც იქითკენ გაემართა, რომ ქართული ენისა და ეროვნების ფარგალი შეემცირებინა და ამგვარად სამარადჟამო სიდამბლე მოეგვარათ ქართული კულტურისათვის. ამისათვის უჩიჩინებდნენ აფხაზებს, ხოლო სვანები, რუსეთის გათახსირებულმა, პედერასტმა ეპისკოპოსებმა ენგურში ჩაჰყარეს და მე-7 საუკუნეში მონათლული ხალხი თავიანთ ჭკუით, ხელმეორედ მონათლეს. ამისათვის მუშავდებოდა “კავკასიის კალენდრის“ მახინაციებით სავსე სტატისტიკა“.

“და ყოველივე ამის რეზონდეტრი ის იყო, რომ ქართველი ხალხი საქართველოში უმცირესობად გამოეცხადებინათ“.

“მაფალუისტების (მეგრელი ნაციონალისტების) დაბნელებული გონება იმავე არგუმენტს იშველიებს, რომელსაც პურიშკევიჩები და ვოსტორგოვები ხმარობდნენ: ესო და მეგრელ გლეხებს ქართული არ ესმის, ქართული წერა-კითხვა ჯვარში არ იციანო.

აკი ჩვენ ყველას გვინდა ხუთწლიანი გეგმის შესრულებამდე საქართველოში არცერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ დარჩეს? ვთქვათ ჯვარელმა ან გალელმა გლეხმა გაზეთი “კომუნისტი“ ვერ წაიკითხა, მაგრამ “ჭითა ჩხორიაც“ ხომ იმავე ანბანითაა დაწერილი?“

“სად არის ამ უებრო პეეტრების ლოგიკა?“ – წერდა კ. გამსახურდია.

ი. ჟვანიას ზიზღი ინტელიგენციისადმი იქამდე მიდის, რომ იგი სიტყვა “ინტელიგენტს“ საგინებლად ხმარობს და გვარწმუნებს: მართალია ქართველი და მეგრელი ინტელიგენცია მტერია სამეგრელოს ავტონომიისა და არ მიესალმებაო ჩაის ინსტიტუტის ზეგდიდში გადატანას, მაგრამ მას მიესალმებიანო ქართველი მუშები და გლეხები. თუმც კონკრეტულად ი. ჟვანია ასეთი მუშებისა და გლეხების ვინაობას ვერ ასახელებს და არც ჩვენ გვსმენია რაიმე ასეთების არსებობის შესახებ, რომელნიც ესალმებოდნენ მეგრულ ავტონომიას და ჩაის ინსტიტუტის ზუგდიდში გადატანას. ქართველი მუშებისა და გლეხებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამოირკვა, რომ თვით ზუგდიდის რაიკომის ბიუროს წევრების უმრავლესობაც კი არ იზიარებდა სამეგრელოს ავტონომიის იდეას. ამის შესახებ გაიგზავნა წერილი ცკ (ბ)-ში სტალინთან და საქართველოს ცეკაში, აგრეთვე ზუგდიდის რაიკომში. ჟვანიამ სასწრაფოდ მოიწვია თათბირი და დაგმო ეს ვერსია, როგორც “ტროცკისტების“ და “მემარჯვენე ოპორტუნისტების“ მიერ შეთითხნილი ცილისწამება.

ი. ჟვანია გარეგნულად ყოველნაირად ემიჯნება “მაფალიუზმს“ ე.წ. “მეგრულ ნაციონალიზმს“, თავის მიმდევრებსაც ცდილობს ჩამოაცილოს ეს ლაქა (მაგ. ჭანტურიას), მაგრამ მისი იდეების ანალიზისას ცხადი ხდება, რომ იგი კომუნისტური იდეოლოგიით და პარტიული მანდატით შენიღბული მაფალიუსტია და სხვა არაფერი.

ი. ჟვანია იცავს მეგრულ ენას ოპოზიციონერების ბოკუჩავასა და პირტახიას კრიტიკისაგან, თითქოს მეგრულ ენას არ გააჩნია განყენებული და ჩვეულებრივი აზროვნების გადმოცემის საშუალებები. ეს თავადაზნაურობის ბრალდების

გაგრძელება გვ. 14

21-ე საუკუნის სეპარატისტის იური ღვინჯილიას პროკლამაცია

სამეგრელოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

გვახსოვს რა, რომ ჩვენ, სამეგრელოს ხალხი ვართ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური, ისტორიული, კულტურული მემკვიდრეები, და რათა შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა, ისტორია, კულტურა, ლაზურ-მეგრული ენა, შევქნათ პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პირობები, აღვადგენთ სამეგრელოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, გაუქმებულს 1867 წელს რუსეთის იმპერიის ოკუპაციის შედეგად, სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიის საზღვრებში 1804 წლის მდგომარეობით /ქ.გალი, ქ.ოჩამჩირე მდინარე კელასურამდე ჩათვლით /.

ვსარგებლობთ რა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებით, ღმერთის და მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ვაცხადებთ:

სამეგრელოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენას!

დასაწყისი გვ. 9

და პოლიტიკური განზრახულობით მხარს უჭერს აი ამ სახის ნაწერების დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში. პლურალიზმის მიუხედავად ლიტერატურის ინსტიტუტი ისევ ხელისუფლების მიერ დადგენილ პოლიტიკას იცავს და მას მისაღებად მიაჩნია ლიბერალი გენიტალისტების მომრავლება ქართულ მწერლობაში. „ჩვენი მწერლობის“ მე-10 ნომერში (2013 წლის 17 მაისი) გამოქვეყნებულია თამთა ცეცაძის მიერ ჩაწერილი დიანა ძიძიგურის საუბარი იმაზე, რომ ლიტერატურას უხამსობა მოეძალა. ოღონდ, ქ-ნი დიანა არსად ახსენებს რომელიმე გენიტალისტ მწერალსა და პოეტს.

ლევან ბებურიშვილის წიგნის რედაქტორს, რუსუდან ბურჯანაძეს თავის წინათქმაში სხვაგვარად უხამდა თქმა იმაზე, რომ ჭირი მოედო ქვეყანას, რომ ხელისუფლება მხარს უჭერს სალიტერატურო იდიოტობას, რომ ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილისათვის აღარაფერს ნიშნავს მამულიშვილობა, ქართული წესისა და ადათის მიდევნა. სრული პლურალიზმის დროს ქართველობამ წარმოაჩინა თავისი უძლურება საკუთარი ქვეყნის პატრონობაში. თსუ-ს ენისა და ლიტერატურის კათედრებმა უმკაცრესად უნდა გაილაშქრონ ამ ჭირის წინააღმდეგ. საქართველო მეტად სუსტი და სიავეში მყოფი ქვეყანაა და მან თავს არ უნდა მისცეს ასეთი ფრივოლურობის ნება.

სხვადასხვა წლებში ლიტერატურის ცენზიან წარმომადგენელთა მიერ დაიწერა გამოხმაურებები დავით ბარბაქაძის გენიტალისტურ პროზაზე, სახელწოდებით „ტრფობა წამებულთა“, რომელიც 90-იანი წლების შუიდან იხილა მკითხველმა. ბარბაქაძეს მყისვე მიბაძა ჩიტირეკია კალმოსნების ლაშქარმა და რა დაიწერებოდა, თქმა აღარ უნდა. ქართულენოვანი ინტერნეტის გაჩენა 90-იანი წლების ბოლოს აღინიშნა გენიტალისტური პროზისა და პოეზიის დამკვიდრებით. ერეკლე დეისაძის „საიდუმლო სირობის“ გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე იყო გამოსული დავით ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“. დეისაძეს მრევლი საცემად დასდევდა და ის იმალებოდა. ბარბაქაძის ნაწერის გამო კი ჩქამი არ გაუღია, არც მრევლს და არც არავის. წარმოვიდგინოთ, მორალისტობის რა კორიანტელს დააყენებდნენ ლიბერალები, ზვიადის მომხრე მწერალს რომ დაეწერა გენიტალისტური რომანი ან მოთხრობა. როგორ თავს გამოიდებდნენ ლიტერატურის პროფესორები ეროვნული მოძრაობის საძაგებლად. სხვას არ შეარჩენდნენ ამას. თავად კი ერეკეებიან, როგორც მოესურვებათ. მათი ნაწერები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. სახელ-გვარის გარეშე რომ გამოვიდეს ამათი ნაკალმევი, ერთი ავტორისა გეგონება ყველა ეს ტექსტი. არსად ჩანს ავტორთა თვითობა, ფიქრის სიღრმე და ტრაგიზმი. სწორად მსჯელობს ბ-ნი ლევანი, რომ „თანამედროვე ლიტერატურის დიდი ნაწილი ერთი ზერელე მწერლის ხელიდან გამოსულ ტექსტებს ჰგავს. იქნებ ვინმემ აგვიხსნას, რა სტილური თავისებურებებით განსხვავდება ლაშა ბუღაძის პროზა ბესო ხვედელიძის პროზისაგან, ანდა დ. ქართველიშვილის ნაწარმოებები თეონა დოლენჯაშვილის ნაწარმოებებისაგან?“ (გვ. 75).

განა მხოლოდ მწერლობაში არის ასეთი უიდეობა. ასევეა სათეატრო ხელოვნებაშიც. თეატრებში იდგმება სიძვის სპექტაკლები. აქაც სიტყვების რახარუხია: „ვირტუალური ტრაგედია“, „ტრანსცენდენტალური პერფორმანსი“ და ა. შ. მწერლობა და თეატრი აღარაა დიდ განმანათლებლურ პაიდეიასთან ზიარებაში. ქართულმა თეატრმა დიდი წვლილი შეიტანა 1992 წლის უბედურებაში. შემდგომ წლებში კი თეატრი იქცა პოლიტიკის ნაწილად, ხელისუფლების იდეათა დამცველად.

წიგნის დასაწყისში ლევან ბებურიშვილი ეხება დიდად საჭირბოროტო საკითხს. ესაა მწერლის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 90-იანი წლების დამდეგიდან დამკვიდრდა აზრი, რომ მწერალი არ უნდა ერეოდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს კომუნისტურ რეციდივად და საბჭოთა ტოტალიტარიზმის გადმონაშთად იქნა მიჩნეული. ნეოლიბერალი მწერლები კი არსებული პოლიტიკური სისტემის დამცველებად გადაიქცნენ, რამაც დაგვანახა ზემოაღნიშნული აზრის მცდარობა. გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარ საქართველოში მწერალი არ შეიძლება იყოს მოსეირე და თავს არ უნდა არიდებდეს საერთო საქმეს. ქართველი მწერალი ვერ იქნება ასოციალური საქვეყნო ჭირის ჟამს.

რომ შეეკითხო ზაზა ბურჭულაძეს, ლაშა ბუღაძეს, აკა მორჩილაძეს, ერეკლე დეისაძეს, დავით ბარბაქაძეს და სხვებს პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიაზე, დარწმუნებული ვარ, ვერაფერს იტყვიან. რომ ჰკითხო მათ, მიეკუთვნებიან თუ არა რომელიმე ლიტერატურულ მიმდინარეობას, ან ქმნიან თუ არა თავად რაიმე მიმდინარეობას ქართულ მწერლობაში, ასევე ვერაფერს იტყვიან. პოსტმოდერნიზმი მათთვის არის ძახილი თავაშვებულობისაკენ, ლიტერატურული კეთროვნებისაკენ. კიდევ დიდი ხანი რომ გავიდეს, ისინი მაინც არ გასცდებიან თავის თვალსაწიერს. ისევ ისე და ისევ იმაზე დაწერენ, რაზეც აქამდე უწერიათ. მათი წარმოსახვა არ გასცდება სქესობრივ ფიზიოლოგიასა და დეფეკაციას. ლიბერალი მწერლების მოგონილია ტუალეტში დაწერილი ლექსები და მოთხრობები. ისინი ხელისუფლებამ გამოაჩინა. ამათი ნაწერები არის შეთანხმება ხელისუფლებასთან. ესაა პათოგენურობის გაბრწყინება. ესენი არიან ახალი ყაიდის სადისტები ლიტერატურაში, კოპროლალიით შეპყრობილი მწერლები. მათ კალამი ზურგში ჩასაცემ ლახვრად უქცევიათ. მწერალი არ გადის ხალხში. ის ემალება ყველას. მწერალი არაა ნონ-კონფორმისტი და რებელიზმის (მოჯანყეობის) იდეის მცველი. მწერალი შოუმენია და ჯამბაზი. მას არ აღელვებს თავისი ქვეყნის უბედურება და ამავე დროს ტელეეთერს გამოკერებულია. ლიბერალ მწერალს უხარია ქართველთა უხეირობა, ესახელება ქვეყნის ასეთი არნახული დაცემა. მისი კოსმოპოლიტობა სინამდვილეში მისვე ფეხებზემკიდიობისა და ანგარების დასაფარი ოინია. ყველაზე დიდი უბედურება პოსტსაბჭოთა საქართველოსი ისაა, რომ ქართველობა იყო და არის კოლექტიური შევარდნაძე და კოლექტიური სააკაშვილი. ბოლო წლებმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. ვერც ერთ საკითხზე ვერ იქნა მიღწეული კონსენსუსი. ქართველობა არის ერთადერთი ხალხი, რომელმაც სრული პლურალიზმის გარემოშიც ისევ მონობა არჩია. ქართველი შეეჩვია უსაზრისო ცხოვრებას. მან უარი თქვა კავკასიელობაზე, თავის ვინაობასა და ფესვებზე. არა აქვს ქართველს პანკავკასიური შეგნება. ყასიდი მოთქმით წერენ რუსეთ-ჩეჩნეთის ომებზე, აფხაზეთისა და ქართლის ჩრდილოეთის დაბრუნებაზე. განა მართლა აფიქრებთ ეს საკითხები. ზვაობას იხელებენ, ჭიას იხარებენ. თავს იტყუებენ მთელი ცხოვრება, რადგან არ იციან ცხოვრების საზრისის მოძიება, არ შეუძლიათ ერთურთის მოსმენა. ლიბერალებმა სტალინური რეპრესიები თავის სამუდამო ალიბად აქციეს

და გაიბოგინეს. ნებისმიერ კრიტიკას ისინი საბჭოთა აზროვნების ვერდაძლევას უწოდებენ და 20 წელზე მეტი თავს აჩვენებენ, რომ რაღაც აქამდე უნახავი იციან.

საქართველოში ყველა დაწესებულება მიმართულია იმისკენ, რომ ქართველი შეეგუოს უწმინდურებას და ის ცხოვრების ერთადერთ წესად მიიჩნიოს. ამიტომ იქცა ყოველივე ქართული ბილწობის სინონიმად. ქართველმა თავისი ავაზაკობის თავისუფლებას მამული შესწირა და კიდევ სხვებს აგინებს წლობით.

ნამდვილი კრიტიკა სულ სხვა რამ არის და ამას ვხედავთ ლევან ბებურიშვილის წინამდებარე წიგნში.

ბ-ნი ლევანი აღნიშნავს, რომ ლიბერალები აკრიტიკებენ გალაკტიონს. აქ ერთი რამ მინდა დავამატო: გალაკტიონის, ილიას და სხვათა განქიქება ბევრჯერ გასმენილა ლიბერალთა მხრიდან, მაგრამ ესეცაა, რომ ისინი ცდილობენ დიდ ლიბერალებად და თავის იდეურ წინამორბედებად წარმოაჩინონ გალაკტიონი, ვაჟა-ფშაველა, ილია. თუ დასავლეთში პოსტმოდერნისტმა ფილოსოფოსებმა მოახდინეს ჰაიდეგერისა და ნიცშეს პროფანირება, საქართველოში ლიბერალებმა მოახდინეს ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის და ილია ჭავჭავაძის პროფანირება. ჰაიდეგერსა და ნიცშეს ისინი ვერ შესწვდნენ.

ქართული ლიბერალიზმი ფალსიფიკატად იქცა და ასე რომ იქნებოდა, ეს 1994-96 წლებშივე ჩანდა ლიბერალთა ტრიუმფალიზმში ეროვნული მოძრაობის დასამარების გამო. მაშინვე გამოიკვეთა დიდი მარცხის სილუეტი, რასაც მახვილი თვალი უთოოუდ შეამჩნევდა. ლევან ბებურიშვილს თავისი წიგნის 42-ე გვერდზე მოჰყავს როსტომ ჩხეიძის კრიტიკული განსჯა თანამედროვე ლიბერალ მწერლებზე. მაგრამ თავად როსტომ ჩხეიძე იმავე ლიბერალთა დასის წარმომადგენელია. როსტომ ჩხეიძე ადრე, გაზეთ „ჩვენ მწერლობაში“ თეონა დოლენჯაშვილის მოთხრობებს ბეჭდავდა და დადებითად აფასებდა იმას, რაც არაფერი ისეთი არ იყო. როსტომ ჩხეიძის ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ (2013, 5) არის ექსპრეს-ინტერვიუ ნეოლიბერალ მწერალთან და კრიტიკოსთან, მალხაზ ხარბედიასთან (გვ. 7). როსტომ ჩხეიძე არას კითხულობს იმაზე, რომ რედაქტორმა მ. ხარბედიამ ნაწილ-ნაწილ დაბეჭდა ერეკლე დეისაძის „საიდუმლო სირობა“ ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ სალიტერატურო დანართში. დეისაძის ეს ნაწერი როსტომ ჩხეიძისთვის მისაღებია. ეს ექსპრეს-ინტერვიუ არის მისი რევერანსი გალაღებულ ნეოლიბერალ მწერალთადმი. ჩხეიძეს ერთი ფეხი ლიბერალების დასში უდგას და მეორე ფეხის დადგმას ეროვნულ ძალთა შორის ლამობს. ნამეტურ გაიბოგინეს ნეოლიბერალმა მწერლებმა. ამ ერეკლე დეისაძეს, ამ ზაზა ბურჭულაძეს და მათ მიმბაძავებს არავინ ჰყავთ, რომ შეუძახონ მათ? რაებს სწერთ თქვენს დედებსა და მამებზე? რას ფიქრობთ და რა გამოგიფენიათ?

ბ-ნ ლევანს მოჰყავს ამონარიდი(გვ. 17) დიდი კრებულიდან „საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“ (2005). აქ გია მირზაშვილი ნახევარგვერდიან შენიშვნაში (გვ. 336) წერს, რომ „უგემოვნო, უტიფარი, უნიჭო, უბირი ადამიანია საქართველოს სიმბოლო. შემცბარი, უგუნური, ბოღმიანი გამოხედვაა საქართველოს სიმბოლო...“. ეს ითქმის საბჭოთა საქართველოს გასაშავებლად, მაგრამ იგივე ამონარიდი მიესადაგება იმ ლიბერტარიანელ მწერლებს, რომელთა ნაწერებსაც ლევან ბებურიშვილი აკრიტიკებს თავის წიგნში. უნიჭობა, უტიფრობა, ბოღმიანი გამოხედვა ამათი ინახოს! დიახ, ისინი არიან ნეოლიბერალური საქართველოს სიმბოლო. წლობით ტელეეკრანს გამოკერებულნი ისინი უბნობენ იმაზე, რაც არ იციან არც თეორიულად და არც ისტორიულ ჭრილში. 90-იანი წლების შუიდან ნეოლიბერალმა და პოსტმოდერნისტმა სნობურმა ინტელექტუალებმა წლობით იბოგინეს. ამათთვის სნობობაც კი დიდი კომპლიმენტია. 2004 წლიდან კი მათი ზეობის ხანა დადგა. ხელისუფლება მათ დიდ ავალას აძლევდა. ამ ინტელექტუალთა შორის იყვნენ ფილოსოფოსნი, ისტორიკოსნი, მწერალნი, პოეტნი. რა შექმნეს მათ ქვად დასადები? რა გარდაქმნეს მათ თავისი სიტყვით? სად რა ხნული გაავლეს და ვინ დგას მათ განაკვალში? მათ გავლილზე დარჩა მხოლოდ სიცრუე და კაცთმოძულეობა. ამისკენ მიდიოდნენ ისინი 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში? ეს ხომ ქართული ნეოლიბერალიზმის კრახია? ქართული ლიბერალური პოლიტეია ვერ დამკვიდრდა. ქართველთა აგორა ვერ იშვა. რამდენი დაიყბედეს ღია საზოგადოებაზე, აზრთა გაზიარებაზე, ჰუმანიზმზე ნოდარ ლადარიამ, გია ნოდიამ, ლაშა ბაქრაძემ, გიგა ზედანიამ და სხვებმა. ისინი არასოდეს არავის უსმენენ. ისინი არად აგდებენ და ქვეყანას უმალავენ დასავლეთის დასავლელ კრიტიკოსებს. ისინი დასცინიან ყველას. ღია საზოგადოება არის ილუზია. მისი ილუზორულობა სულ უფრო აშკარა ხდება მასებისათვის. ადამიანის აბუჩად აგდებად იქცა ლიბერალთა გამოცემული წიგნები: „დემოკრატიის განვითარება საქართველოში“, „ცნობარი აქტიური მოქალაქისათვის“ და მისთანანი. ნეოლიბერალთა რადიკალიზმი და იმის მტკიცება, რომ ყველაფერი 2004 წლიდან დაიწყო და მანამდე არა ყოფილა რა, არის წაქეზებულ პროვინციელთა შაბაში და მეტი არც არაფერი. ლევან ბებურიშვილის წიგნში (გვ. 19) მოყვანილია გიორგი მაისურაძის მსჯელობა, რომ „ქართული ისტორიოგრაფიის, ლიტერატურისმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოსოფიის დონე არათუ საერთაშორისო სტანდარტებთან ახლო ვერ მიდის, არამედ უბრალო კრიტიკასაც ვერ უძლებს“.

რომელი საერთაშორისო სტანდარტების სახელით უარიყოფა წარსულის ნამუშაკარი? ეს ხომ კრიტიკანობაა? რა ვერ უძლებს უბრალო კრიტიკას? განა საბჭოთა დროს არ შეიქმნა სახელოვან ქართველ ისტორიკოსთა შრომები? საბჭოთა ქართულ ლიტმცოდნეობას ხომ ჰყავდა თავისი მეტრები? საბჭოთა ქართულ ფილოსოფიაშიც იყვნენ სოლიდური კომპეტენციის მქონე მეცნიერნი - ზურაბ კაკაბაძე, ანგია ბოჭორიშვილი, კოტე ბაქრაძე, მერაბ მამარდაშვილი. ჩვენი თვალსაჩინო თანამედროვენი არიან ზურაბ კიკნაძე და ბაჩანა ბრეგვაძე. არა, ნოდარ ლადარიას, გიგი თევზაძის, გიგა ზედანიას, გია ნოდიას და ქართული ლიბერტარიზმის სხვა იდეოლოგთა შრომები ხომ დგას საერთაშორისო სტანდარტებთან ახლოს? მაჩვენეთ რა შექმნა ლიბერტარიანელ ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა დასმა საქართველოში? სასათბურე პირობები ჰქონდათ შექმნილი. შევარდნაძის დროიდანვე გრანტებს იღებდნენ. ბევრი მათგანი „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი და პრეზიდენტ შევარდნაძის სტიპენდიატი იყო. უცხოეთშიც იარეს სამოსწავლოდ. ისინი გაიზარდნენ შევარდნაძის უბეში და ადრევე შეითვისეს მაშინდელი დროის ყველა უკეთურება. სააკაშვილის მოსვლის შემდეგ მათ დაეკისრათ ხელისუფლების ფილოსოფიური, იდეური გამართლების მისია. მიიღეს კათედრები, ადმინისტრაციული პოსტები უნივერსიტეტებში, სამინისტროებში. მათ იარეს უცხოურ მივლინებებში. რა შექმნეს მათ? რაიმე დაიდო მათგან დემოკრატიაზე დაწერილი კონფორმისტული და ეპიგონური წიგნების გარდა? კომპარტიის ნომენკლატურა შეიცვალა მეტად გაახალგაზრდავებული ლიბერალური ნომენკლატურით. მეფის ოხრანკისგან ნადევნ, კატორღაგამოვლილ პირველი თაობის ბოლშევიკებს 1917-30 წლებში ჰქონდათ რწმენა. ქართველი ლიბერალების პირველივე თაობა კი არის საიგავო ლაჩარი, პოლიტიკური მედროვე, უსინდისო მომხმარებელი. მას არ ჰქონია და არც ექნება ლიბერალიზმის რწმენა. თავის განათლებას ის თავისივე ანგარებისა და სიმდაბლის გამართლებას ახმარს და სულ ესაა. რომელიმე მათგანს ამ

გაგრძელება გვ. 18

დასაწყისი გვ. 12

განმეორებაა ო, რომელიც მეგრულ ენას "არასულიერ" ენად სთვლიდაო. ყოველივე ამას იგი "ველიკოდერჟავნიკულ" შოვინიზმს უწოდებს (ოღონდ სიტყვა "ქართულს" არ ხმარობს). ბოლოს ი. ჟვანია ბოკუჩავას ამარცხებს და პარტიიდან გარიცხავს.

რამდენადაც სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ავტონომიის გამოცხადებისა, საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა იძულებული იყო ეღიარებინა, რომ "თავად მეგრელებს არ სურთ სამეგრელოს ოლქი". ამან მთლად გააცოფა ი. ჟვანია. იგი წერს: "როდესაც 1893 წელს სამეგრელოს თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ თავის ყრილობაზე გამოიტანა დადგენილება მეგრელი ხალხის სახელით სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ, იგი ქრისტეს სარწმუნოების სახელით მოქმედებდა, რათა მეგრელები ათეისტებად არ ქცეულიყვნენ, ამიტომ აკრძალა უწმინდესმა სინოდმა მეგრულ ენაზე სწავლება. მაშინ ამ საქმეს ხელმძღვანელობდა "მეგრელი" თავადი გრიგოლ დადიანი, გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი. მაშინ გასაგები იყო თუ ეს ხროვა რად ახრჩობდა მეგრელ მშრომელ ხალხს". დღეს კი გაუგებარია, – განაგრძობს ი. ჟვანია, – რად იმეორებენო იგივეს ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელები.

ჩვენთვის კი გასაგებია ყოველივე. დაინახეს რა ხალხისა და ინტელიგენციის ერთსულოვანი ოპოზიცია სამეგრელოს ავტონომიისადმი, ოფიციალური პირები უკუქცევის გზას დაადგნენ და გული მოუკლეს ჟვანიებს თავიანთი უარით.

საინტერესოა, რომ ი. ჟვანია მარტო მეგრული სეპარატიზმის აღორძინებას როდი აპირებდა, არამედ სვანურ სეპარატიზმსაც უყრიდა საფუძველს. ეს მოჩანს პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმის მასალებიდან, კერძოდ, ი. ჟვანიას გამოსვლიდან ამ პლენუმზე. უარყო რა ფოთის ოლქის შექმნის შესაძლებლობა, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა სამეგრელო, გურია და სვანეთი ერთ ადმინისტრქციულ ერთეულში, ი. ჟვანიამ წამოაყენა ახალი თეზა სვანეთ-სამეგრელოს ოლქის შესახებ, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ "სამეგრელო და სვანეთი მუდამ წარმოადგენდნენ ერთ ეკონომიკურ და გეოგრაფიულ მთლიანობას, რაც უძირითადესი პრინციპია ამ მხარის დარაიონებისათვის".

პლენუმი კატეგორიულად მოითხოვდა სვანეთ-სამეგრელოს ოლქის ცენტრად ქ. ზუგდიდის გამოცხადებას, ვინაიდან ზუგდიდი იყო და არის სვანეთის და სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის გეოგრაფიულ-ეკონომიკური, კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი. ეს გაერთიანება ი. ჟვანიას სიტყვით ხელს შეუწყობდა ჩაის მეურნეობის, ქაღალდისა და სხვა წარმოების განვითარებას და ა. შ. ამაზე მან, როგორც ჩანს, სვანეთშიც ბევრი აგიტაცია გასწია, ვინაიდან მიიღო სვანეთის აღმასკომისაგან სპეციალური "მანდატი". სვანეთის მიზანში ამოღებაც არ გახლავთ შემთხვევითი, ვინაიდან შავრაზმელი რუსიფიკატორები XIX საუკუნისა უსლარი, ვოსტორგოვი და სხვანი სვანური ანბანისა და სვანური წირვა-ლოცვის შემოღებაზეც ოცნებობდნენ. მათმა ღირსეულმა მემკვიდრეებმა ღირსეულად გააგრძელეს მათი საქმე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, "მაფალუიზმის" იდეების ქადაგების შემდეგ ი. ჟვანიას არ ავიწყდება "ინტერნაციონალისტის" ნიღბის გაკეთება და ფარისევლურად აცხადებს, რომ "ზუგდიდის პარტორგანიზაცია" ბოლშევიკურად ამხელდა და აძევებდა ყოველთვის ე.წ. "მაფალუისტებს", ისეთ მეგრელ ნაციონალისტებს, როგორიც იყვნენ ექიმი ფ. შენგელია, თ. თორდია, მ. დადიანი და სხვა. მაგრამ – დასძენს ჟვანია, – მას შემდეგ რაც ზუგდიდის რაიკომის ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს ის ხალხი, ვინც ზრუნავდა სამეგრელოს ოლქზე, ეს მაფალუისტები აღადგინეს და მშვიდად მუშაობენო თავიანთ ადგილებზე. საქართველოს სსრ მთავრობის წევრთა პოზიცია ასე თუ ისე გამოვლინდა სამეგრელოს საკითხში, ხოლო ლ. ბერიას პოზიცია გაურკვევლად და ბუნდოვნად რჩებოდა. მისი პოზიციის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგი ფაქტებიდან გამომდინარე. საქართველოს კპ-ს პირველ მდივნად თავის დანიშვნის შემდეგ ლ. ბერიამ მოსთხოვა ჟვანიას ოფიციალური ანგარიში სამეგრელოს საკითხის შესახებ და მოითხოვა მისგან ინფორმაცია, თუ რომელი რაიონებისაგან აპირებდა ი. ჟვანია სამეგრელოს ოლქის შექმნას.

ი. ჟვანიამ დაწერა ანგარიში, რომელშიც ჩამოთვალა ეს რაიონები: ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, ნაწილობრივ მარტვილის, აბაშისა და ფოთის. თან დაურთო აგრეთვე ოქმები და ანგარიშები ბიუროს სხდომებისა და პლენუმებისა. აგრეთვე წერილები სხვადასხვა ინსტანციებში. ამის შემდეგ ბერიას არავითარი რეაქცია არ ჩანს, თუმც ჟვანიამ მას და მახარეძეს კიდევ გაუგზავნა წერილები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ბერიას რეაქციაზე ყველაზე უფრო ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამის შემდეგ მალე გაანთავისუფლა ჟვანია ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნობიდან, ხოლო შემდეგ 1937 წლის "წმენდაში" მოაყოლა და მოსპო (ცხადია, ეს მისი პატრიოტიზმის შედეგი კი არ იყო, ასე სჯობდა მისი კარიერისათვის: დისკრედიტირებული საქმის და დისკრედიტირებული კაცის გაწირვა).

ამით დაესვა წერტილი ყბადაღებულ "სამეგრელოს საკითხს", მაგრამ როგორც ვთქვით, არა სამუდამოდ, უკანასკნელ ხანებში სამეგრელოს ზოგიერთ რაიონებში (რომლებიც დღეს ე.წ. აფხაზეთის ასსრ-ში შედიან) თავი წამოყო ისევ სეპარატისტულმა განწყობილებებმა. რა არის ამის მიზეზი?

ჩვენის აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია უკულტურობა, უმეცრება, ჰუმანიტარული განათლების სისტემის დაბალი დონე საქართველოში, განსაკუთრებით პერიფერიებში. სხვაგვარად ვერ შეაფასებ ვინმე ჯოჯუას წერილს გუდაუთის გაზეთ "ბზიფში" და დგებუავას წერილს ხობის გაზეთში.

დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის თავისი ეროვნული ვინაობა, თავისი ერის ისტორიული წარსული, ვინაიდან არვინ ზრუნავს მისთვის ამგვარი ცოდნის მიწოდებაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამეგრელოს ყველა რაიონს აქვს საკუთარი გაზეთი, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ გაზეთებს მოკლედ, პოპულარულ ფორმებში მაინც განემარტოთ მოსახლეობისათვის, თუ რას ნიშნავს ტერმინი "საქართველო", "ქართველი", "მეგრელი", "იმერელი" და სხვა. ან დაებეჭდოთ მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ. უფრო მეტიც, არა თუ რაიონების, თბილისის მოსახლეობის უმრავლესობას, ალბათ, არ გააჩნია წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა იყო სამეგრელოს სამთავრო, ლევან დადიანის კარი. ბევრმა არ იცის მაგალითად, რომ ქართული კულტურა ყოველთვის იყო ერთადერთი კულტურა სამეგრელოში, ხოლო ქართული ენა გაბატონებული იყო თვით ცალკე სამთავროს გამოყოფის შემდეგაც, როგორც მთავრის კარზე, ისე ეკლესიაში, ისე წარჩინებულ ოჯახებში, რომ მეგრელობა აკად. ბერძენიშვილის თქმით შუასაუკუნეებში კულტურულად არც კი არსებობდა. ქართული იყო სახელმწიფო და სამწიგნობრო ენა სამეგრელოს სამთავროსი. მეგრული ენა უფრო ხალხის სალაპარაკო ენა იყო.

მეგრულის ესოდენ წამოწევა დღევანდელ სამეგრელოში გამოიწვია ეკლესიისა და თავადაზნაურული წოდების, ინტელიგენციის ხელოვნურმა განადგურებამ, კულტურის დაცემამ, განათლების შეფერხებამ.

მაგალითად, კითხვაზე: რომელ ენაზე ლაპარაკობდა ცოტნე დადიანი? თანამედროვე საქართველოს თვით განათლებული კულტურული ადამიანების უმრავლესობაც ალბათ მოგიგებთ, რომ იგი ლაპარაკობდა მეგრულ ენაზე, ამასთანავე ყველა დარწმუნებულია, რომ ცოტნე დადიანი "მეგრელად" თვლიდა თავს ასეთ უმეცრებას კი ინვევს საქართველოს ისტორიის, როგორც საგნის, ფაქტიური გაუქმება ჩვენს სკოლებში, ჩვენი ისტორიის პოპულარიზაციის მცირე მასშტაბები; რაც ძალზე შორს მიმავალ მიზნებს ისახავს, ამ კოლექტიური უმეცრების ორგანიზატორები ხელმძღვანელობენ ჯორჯ ორუელისეული ლეგენდარული სახელმწიფოს უმთავრესი დევიზით: "უმეცრება ძალაა". მართლაც და დიდი იარაღია უმეცრება, როდესაც გინდა მთელი ერი გადააგვარო, დაუკარგო მას თვითცნობიერება და დაავიწყო თავისი ეროვნული ვინაობა, კუთხეებად დაანაწევრო, ყოველივე ამას უმეცრების დანერგვის გარეშე ვერაფრით შესძლებ.

მეგრული სეპარატიზმი წვეთი წყალივით ჰგავს აფხაზურ და მუსულმანურ-მესხურ სეპარატიზმს. სამივე შემთხვევაში ერთი და იგივე საქმესთან გვაქვს საქმე. ვინც კარგად იცნობს საქმის ვითარებას, მისთვის ცხადია, რომ ამგვარი სეპარატისტული იდეების მატარებელი ყოველთვის უკულტურო, ბნელი ადამიანები არიან. რომლებიც თავის უმეცრებაზე აგებენ თავის "დოქტრინებს". მაგ. ერთ-ერთი მუსულმანი – მესხი (სარვაროვი) ამტკიცებს, თითქოს მესხებმა I საუკუნეში მიიღეს ისლამი და რომ ისინი I სუკუნეებშივე მუსულმანები იყვნენ, მაგრამ საკმარისია ადამიანმა მიიღოს ელემენტარული განათლება, რომ იგი ამგვარ სეპარატიზმს გმობს და ემიჯნება. მაგალითად ნამდვილ მუსულმან მესხთა შორის საშუალო და უმაღლესდამთავრებულნი ერთხმად აღიარებენ, რომ ისინი ეროვნებით ქართველები არიან. წერა-კითხვის არ მცოდნენი და უწიგნურნი კი როგორც წესი, თურქებად თვლიან თავს, ვინაიდან ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისგან ეროვნება და რელიგია. სიტყვა "თურქი" მათთვის მაჰმადიანის სინონიმია. ასევეა აფხაზეთშიც. ნამდვილი და კეთილსინდისიერი აფხაზი მეცნიერები აღიარებენ, რომ არასოდეს აფხაზეთს არ უარსებია, როგორც დამოუკიდებელ ეროვნებას, რომ არ არსებობდა აფხაზური კულტურა, დამწერლობა, აფხაზური ეკლესია, რომ აფხაზეთის ისტორია, იგივე დასავლეთ საქართველოს ისტორიაა, რომ აფხაზეთის კულტურა ისტორიულად იგივე ქართული კულტურაა, რომ აფხაზებს არასოდეს ჰქონიათ სხვა სახელმწიფო და სამწიგნობრო ენა გარდა ქართულისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე კულტურის ძეგლები ქართული კულტურის ძეგლებია და რომ ადიღეურ აფსუური ელემენტი და მისი ენა XVII საუკუნიდან წამოეძალა დღევანდელ აფხაზეთს, რაც გამოიწვია საქართველოს სამეფოს დაცემამ და დაკნინებამ, კუთხეებად დაქუცმაცებამ. დღეს უკვე სადაო აღარ არის, რომ აფხაზეთი ქართული, ქრისტიანული კუთხე იყო XV საუკუნემდე, ხოლო XV—XVII საუკუნეებში ე.წ. "მთის ჩამოწოლის" ანუ ჩრდილოეთ კავკასიური ტომების ჩამოსახლების შედეგად მოხდა ქრისტიანული ქართული აფხაზეთის კვლავ წარმართობად მიქცევა, ამავე დროს მოხდა ეთნიური შეცვლა, ქართული აფხაზეთისა ადიღეურ, არაქართულ აფხაზეთად (ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა).

ოსმალებმა გამოიყენეს (ადლერის მხრიდან) დასავლეთის მთიანეთის აფსუები აღმოსავლეთ-სამხრეთი აფხაზეთის დასამორჩილებლად და ქართული ფეოდალური აფხაზეთის კვლავ მისაქცევად, მაგრამ აფხაზეთის თავადაზნაურობა კვლავ ძველი ტრადიციების ერთგული დარჩა. მან შეინარჩუნა ქრისტიანობა და ქართული ენა, იგი ქართველობდა განსხვავებით აფსუების მდაბიო წოდებისაგან, რომლისთვისაც უცხო იყო ქართული ელემენტები. დღევანდელი გაბატონება ადიღეური ელემენტისა გამოწვეულია, აგრეთვე თავადაზნაურობისა და ეკლესიის მოსპობით, რომელიც იყო მატარებელი ქართული ელემენტისა. ამას უარყოფენ მხოლოდ მტრის მიერ დაქირავებული პროვოკატორ-სეპარატისტები, რომელთაც მძლავრი მხარდაჭერა აქვთ მოსკოვის ზოგი "ამხანაგის" მხრიდან.

დღევანდელ მეცნიერებაში გარკვეულია, რომ თანამედროვე ქართული და მეგრული წარმოადგენენ ერთი საერთო პროტოქართული (მარის ტერმინოლოგიით ე.წ. იაფეტური) ფუძე-ენის ორ განშტოებას, რომელთაგან ერთი (ქართული) გახდა სამწიგნობრო ენა, ხოლო მეორე (მეგრული) შემორჩა დასავლეთ საქართველოში, როგორც ხალხის სალაპარაკო ენა, ისევე როგორც იტალიაში ე.წ. ლოგუდორული და კამპიდანური, გერმანიაში შვაბური, ზემო საქსონური და ა. შ., რომელნიც უფრო მეტად განსხვავდებიან გერმანულისაგან, ვიდრე მეგრული ქართულისაგან.

ამასთან ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ დავაკნინოთ მეგრულის მნიშვნელობა ქართული ენის განვითარებაში, მეგრული ქართველური ენაა, მასში შემორჩენილია უძველესი პლასტები პროტოქართული ფუძე-ენისა, აგრეთვე ძველი ქართულისა, აი, რას ამბობდა მაგალითად, აკაკი წერეთელი: "მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს და მეგრულ ენაში კი შემონახულან მარგალიტად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი". მე მგონი ახალ დროში კონსტანტინე გამსახურდიამ, სიმონ ჩიქოვანმა, შალვა დადიანმა, ლეო ქიაჩელმა და სამეგრელოდან გამოსულმა სხვა მწერლებმა შესანიშნავად აღასრულეს აკაკის ეს ანდერძი თავიანთ შემოქმედებაში.

ალბათ ჟვანიასათვისაც ვინმეს რომ ესწავლებინა თავის დროზე საქართველოს ისტორია, იგი თავის სეპარატისტულ ბოდვებს არ აჰყვებოდა. თუმც საქმეს ის ართულებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ სამივე ტომის ხალხშიც შეიძლება შევხვდეთ უმაღლესდამთავრებულ და ასე თუ ისე განათლებულ ადამიანებს, რომლებიც შეგნებულად აყალბებენ ისტორიას და სარგებლობენ რა მასების სიბნელით, შთაუნერგავენ მათ სეპარატისტულ იდეებს. ასეთი შენიღბული პროვოკატორები მტრის ნაქეზებით მოქმედებენ და მისგანვე ზერგგამაგრებულნი სარგებლობენ სრული დაუსჯელობით. საჭიროა მათი გამოვლენა და მხილება.

ამავე დროს ზოგიერთი ფსევდოინტელიგენტი ჩვენში, რომელიც ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს არ იშურებს საქართველოს სადიდებლად, ხანგამოშვებით ასეთ "თეორიებსაც" ავითარებს: "რა ესაქმებათ მეგრელებს ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან, რა მეგრელების საქმეა საქართველოს ტკივილები, მეგრელების გაკეთებული ქართული საქმე ვის უნახავსო". თუმც ასეთები უპირატესად ის მედროვენი არიან, ორ სკამზე ჯდომას რომ ცდილობდნენ და ორ ბატონს რომ ემსახურებოდნენ, და ასეთ "თეორიებსაც", ალბათ ჩვენი მტრების დავალებით ავითარებენ. სწორედ ასეთნი ცდილობენ შეათავსონ "პატრიოტული მოღვაწეობა" მტრის აგენტობასთან. მსგავსი ვაიპატრიოტების მიზეზით, სამეგრელოს ენგურსგაღმა ნაწილში სამურზაყანოში, მეგრელთა შორის უკვე შეინიშნება დაბნეულობა და უკმაყოფილება, რაც შეიძლება მეგრულ სეპარატიზმში გადაიზარდოს, რაც საბოლოო ლახვარი იქნება საქართველოსათვის. ქართული ეროვნული შეგნება ხომ ყველაზე დაბალ დონეზეა სწორედ დღევანდელი "აფხაზეთის" ასსრ-ს მკვიდრებში. სამურზაყანოც ხომ "აფხაზეთად" ითვლება 1921 წლის შემდეგ. თუმც იქ აფხაზური მოსახლეობა 1 პროცენტსაც ვერ აღწევს, ხოლო ის დაუფარავი ანტიქართული აგიტაცია, რომელსაც ჩვენი მტრები ეწევიან აფხაზეთში, იქაურ მეგრელობაზე უდიდეს გავლენას ახდენს და გზას უხსნის მათ "გააფხაზებისა" და "გამეგრელებისაკენ".

1981-1989 წ.

*** წერილი გადმობეჭდილია გაზეთიდან "ლიტერატურული საქართველო", 1989 წლის 3 ნოემბერი**

რუსეთ -უკრაინის ომის პერიპეტიები

თითქოს უკრაინაში რუსეთმა კვლავაც გაიმარჯვა - სრულად განმეორდა აფხაზეთის სცენარი და ასე შემდეგ... მაგრამ მოდით სხვა რაკურსით შევხედოთ. თუ კარგად დააკვირდებით ძალიან ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს რუსეთის იმპერიის დემონტაჟი. ჯერ იყო და აღმოსავლეთ ევროპა გაანთავისუფლეს, მერე ბალტიისპირეთმა უშველა თავს, საქართველომ დროებით კი დაკარგა ტერიტორიის ოცი პროცენტი, მაგრამ დანარჩენმა საქართველომ, როგორც იქნა უგანა რუსულ ჩექმას, აზერბაიჯანმა მართალია ფრთხილად, მაგრამ გეზი თურქეთთან ინტეგრაციაზე აიღო, შუა აზიაში, თურქმენეთი გაშპა - აშკარად სამუდამოდ, ჩეჩნეთში და დაღესტანში ჩატარდა "გენერალური რეპეტიციები", უკრაინამ დაკარგა ყირიმი, მაგრამ აშკარად სამუდამოდ კარგავს რუსეთის იმპერიის მშობელ ქალაქს (ასე ეძახიან თავად), კიევს, ეს კი ამ რამოდენიმე ხნის წინ თითქმის წარმოუდგენელი გახლდათ. ამავე დროს უკრაინა-რუსეთის ომმა ხელი შეუწყო უკრაინელების, როგორც ერის საბოლოო ფორმირებას, ხოლო დაღვრილი სისხლი ეს ისეთი დუღაბია, რომელიც უკრაინელებს, საბოლოოდ გადააქცევს პოლიტიკური სუბსტანციის ერად. ახლა... როგორც ხედავთ პროცესი მიდის და რუსეთი იძულებულია ნელ-ნელა შეეგუოს ახალ რეალობას(როგორც მათ საგარეო მინისტრ ლავროვს უყვარს გამოთქმა),რა თქმა უნდა რუსეთში ხვდებიან ამას, ამიტომაც იბრძვიან, როგორც კუთხეში მომწყვდეული მხეცნი, მაგრამ დრო-ჟამი მაინც თავისას გაიტანს, დაიღვრება კვლავაც ზღვა სისხლი, მაგრამ ბოროტების იმპერიას გადარჩენა არ უწერია და თუ რუსეთში ბოლომდე ვერ გაისიგრძეგანებენ ყოველივეს, ამ ერს (რაც ნამდვილად არ მინდა სხვათა მიზეზთა გამო) ბიზანტიელთა ბედი ელით!

ნოდარ კობერიძე

ათონელი ბერების წინასწარმეტყველება - რა ელის უკრაინას და რუსეთს

2014-09-03

ითვლება, რომ ათონელი უხუცესი ბერების ბაგეებით ჩვენ მოგვმართავს უფალი და ბერების სიტყვები არის ჭეშმარიტება. ბევრს მათი წინასწარმეტყველების ეშინია, მაგრამ მას ვერ დაემალები. უხუცესები ალაპარაკდნენ ევროპის შუაგულში გაჩაღებულ ომზე - რა მომავალი ელის უკრაინას და რუსეთს.

ბერებმა უკრაინას უწინასწარმეტყველეს უმძიმესი

პერიოდი, რომელიც აუცილებლად დასრულდება ძლიერი სახელმწიფოს შექმნით: ,,უკრაინას ელოდება მძიმე პერიოდი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება - ღვთის ნებით მას უწერია ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, მსგავსი კიევის რუსეთისა, რამეთუ სულიწმინდა არის კიევთან და ეს განაპირობეს ადამიანებმა. გასული ათწლეულები იყო ამ დიდი ხალხის ლეტალური ძილის პერიოდი", - ნათქვამია წინასწარმეტყველებაში.

ათონელი ბერების სიტყვებით, რუსეთს დიდი იზოლაცია და კრახი ელოდება, ხოლო მათი მეფე ტახტს მხოლოდ 2 წელი შეინარჩუნებს. ,,რუსეთი, მიუხედავად მისი სურვილისა, ააღორძინოს ახალი იმპერია, კრახს განიცდის. მას ელოდება იზოლაცია და ავტოკრატია, მაგრამ რუსი მმართველი ტახტს მხოლოდ 2 წელი შეინარჩუნებს და წავა სამარცხვინოდ. თავად რუსეთი განაგრძობს არსებობს, მაგრამ უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიწების გარეშე. უმრავლესობა რუსული პროვინციებისა, განთავისუფლდებიან მოსკოვის ,,მზრუნველობისგან" და რუსეთის სახელმწიფოს შემდაგენლობაში დარჩებიან, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები", - ამბობენ ბერები. არსებობს ინფორმაცია, რომ ბერები უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს აფრთხილებდნენ იმ უამრავ ნიშანზე, რომელიც არსებობდა მასთან დაკავშირებით. პრობლემების ფონზე, იანუკოვიჩი არაერთხელ ყოფილა ბერებთან საბერძნეთში და მათგან მიიღო საშინელი პროგნოზი: ,,ბერები უკრაინის მეოთხე პრეზიდენტს უწინასწარმეტყველებდნენ 2014 წელს პოლიტიკიდან წასვლას და უფრო მეტიც, მას ჰქონდა წინასწარმეტყველება მიწიერი საქმეებიდან განდგომის შესახებ".

წყარო: Факты.ICTV

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ქალბატონ ანგელა მერკელს

ქალბატონო ანგელა მერკელ

ამ წერილის დაწერა გვაიძულა თქვენმა ორჭოფულმა, უზნეო ორმაგი სტანდარტებით ქმედებამ უკრაინის სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

ჩვენ არ შევუდგებით იმის ახსნას თუ რა ხდება დღეს უკრაინაში, თქვენ ეს ჩვენზედ უკეთესად იცით.

ჩვენს აღშფოთებას იწვევს თქვენი ლოიალური დამოკიდებულება იმპერიალისტური რუსეთის ფედერაციისა და მისი ველიკოდერჟავნიკული ხელმძღვანელობის მიმართ, რომელიც აშკარა აგრესიას ეწევა რუსეთის მონობის უღლისაგან თავდახსნილი, თავისუფლების მოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ.

თითქოსდა წარსულს ჩაბარდა ცივი ომის ეპოქა, ორ ბანაკად გაყოფილი მსოფლიო, რუსეთის კოლონიალიზმისაგან თავდახსნილი ქვეყნები ესწრაფვიან თავშესაფარი და უსაფრთხოების გარანტიები ჰპოვონ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით.

მაგრამ საავალალო ისაა, რომ მათთვის ამ გზაზე დღემდის გადაულახავ ბარიერად იქცა გერმანიის სახელმწიფო, რომელიც საეჭვოდ აფერხებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების განევრიანებას ამ სტრუქტურებში.

ჩვენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოსახლეობას გვეგონა, რომ დასავლური ცივილიზაცია დაფუძნებული იყო საერთაშორისო სამართალზე, ზოგადსაკაცობრიო მორალსა და სამართლიანობაზე, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მრავალჯერ გავწბილდით!

ვხედავთ, რომ ვერაა ყველაფერი რიგზე", „რაღაც ჰყარს დანიის სამეფოში"...

დროგადის, დროიცვლება, შესაბამისად გვეგონა, რომ შეიცვლებოდა დასავლური სამყაროს დამოკიდებულება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისადმი სასიკეთოდ.

მაგრამ აშკარაა, ასე არ არის!

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ერთი ნაწილი და კერძოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ნაცვლად იმისა, რომ გაეტარებინა რადიკალური ქმედებები რუსეთის იმპერიალისტური ახირებების წინააღმდეგ, ხშირ შემთხვევაში წაყრუებისა და თვალების დახუჭვის პოლიტიკას აგრძელებს.

ჩვენ კარგად გვახსოვს გასული საუკუნის მოვლენები, როდესაც ნაცისტურმა გერმანიამ „საკუთარი მოქალაქეების დაცვის" საბაბით მოახდინა, ჯერ ჩეხეთის საზღვრისპირა რეგიონის სუდეტის ანექსია და ოკუპაცია, შემდეგ მთლიანად ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დაპყრობა. საბედნიეროდ, ნაცისტური გერმანიის დაცემით ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფომ მოახერხა თავისი ისტორიული ტერიტორიის დაბრუნება და იქიდან გამოაძევა ნაცისტური გერმანიის მეხუთე კოლონა - გერმანულენოვანი მოსახლეობა და სამართლიანადაც!

ისტორია მეორდება, დღეს ნაცისტური გერმანიისაგან ნასწავლი ხრიკებით, ამავე „საბაბით" რუსეთის ერთმოძულე იმპერია ცდილობს კვლავ თავის საცეცებში მოაქციოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. გუშინ ამ „საბაბით" რუსეთის იმპერიამ საქართველოს წაგლიჯა თავისი ძირძველი მიწები აფხაზეთი და შიდა ქართლი -ცხინვალის რეგიონი. ამჯერად რუსეთის იმპერიის აგრესია მიმართულია აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი სახელმწიფოს უკრაინის წაინააღმდეგ.

და ამ გაუგონარ უსამართლობასა და ბოროტებას ცივილიზებული სამყაროს ერთი ნაწილი კვლავ გულგრილად შეჰყურებს, შემოიფარგლება მხოლოდ გაურკვეველი და საეჭვო „სანქციებით".

თქვენივე გულგრილობა და წაყრუება, ხვალ და ზეგ თქვენსავე სახელმწიფოს დააყენებს ამ დილემის წინაშე, იქნებ რუსეთს სულ აღარ დასჭირდეს „ბერლინის კედლის" აღმართვა და რუსულმა სამფეროვანმა დროშამ იფრიალოს ქალაქ ბონის რატუშის თავზე?

ეიფელის კოშკსაც მოიხდენს რუსული ტრიკოლორი! გაფრთხილდით!

გამოიჩინეთ ადამიანური თანაგრძნობა და ნუ მიატოვებთ რუსეთის იმპერიის ყოფილ კოლონიებს კვლავ იმპერიალისტური რუსეთის ბოროტებასთან პირისპირ!

ქალბატონო ანგელა მერკელ, ვიქნებით პირდაპირი და პირუთვნელი და გეტყვით შემდეგს:

ჩვენთვის არაა გასაკვირი თქვენი ლოიალური, მეგობრული დამოკიდებულება რუსეთის იმპერიასთან და მის დღევანდელ მმართველთან.

მიუხედავად იმისა რომ დღეს აღარ არის „გერმანიის ახალგაზრდობის თავისუფალი კავშირი" - FDJ -საბჭოთა კომკავშირის ფილიალი, თქვენ მანიც რჩებით გდრ „ეფდეიოტლერად"!

თუ გავრცელებულ ხმებსაც დავუჯერებთ, თქვენთვის, არც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაშინდელი საიდუმლო პოლიცია ყოფილა უცხო...

ჩვენში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ასეთი მყარი ფრაზეოლოგიური გამოთქმა დამკვიდრდა - „არ არსებობს ყოფილი"...

ქალბატონო ანგელა მერკელ, თქვენ ვერასოდეს გახდებით, რკინის ლედი მარგარეტ ტეტჩერი, პირიქით თქვენეული პოლიტიკა თქვენვე გაქცევთ მის ანტიპოდად!

ალექსანდრე სანდუხაძე

(ეს მიმართვა ითარგმნა გერმანულ,რუსულ და უკრაინულ ენებზე და შესაბამის საიტებზეც დაიდო).

რ ე პ ლ ი კ ა

ასე ხდებოდა ისტორიის გაყალბება

ბესიკ ქუთათელაძე გმირი ყოფილა. კი მაგრამ არ რცხვენიათ იმ ხალხს,ვინც ბესიკ ქუთათელაძის სახელს ანიჭებს რომელიღაც სკოლას? ან მისი ნათესავები არ გრძნობენ თავს უხერხულად? რომელი ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა ბესიკ ქუთათელაძე? აბა, ვკითხოთ ხალხს. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მას საკუთარი შვილივით ეპყრობოდა და უდიდესი ნდობა გამოუცხადა. მან კი რა გააკეთა? მან ტელევიზიის ანძა „მხედრიონს" ჩააბარა და მეორე დღეს პატაკის ჩასაბარებლად ჯაბა იოსელიანს ეწვია. ბესიკ ქუთათელაძემ უღალატა ზვიად გამსახურდიას, უღალატა თავისუფლების იდეას და გადავიდა რუსეთისა და ქართველი ბანდიტების მხარეს. მოგვიანებით „ზვიადისტების„ დასასჯელად ყარყარაშვილთან ერთად შვეულმფრენით ჩაფრინდა ზუგდიდში და იქ ტყვედ აიყვანეს. რამდენიმე დღეში კი გამოუშვეს.ყარყარაშვილი კი იყო გამოსაშვები,მაგრამ ქუთათელაძე - არა! ყარყარაშვილი მტერი იყო, ბესიკ ქუთათელაძე კი კლასიკური ტიპის მოღალატე. ამის შემდეგ გორთან ახლოს რუსების სამხედროებს იარაღის გადმოცემაზე მოელაპარაკა და ბოლოს რაღაცაზე ვერ მორიგდნენ. შეტაკებისას ბესიკ ქუთათელაძე სასიკვდილოდ დაიჭრა. აი, ეს არის ამ კაცის მთელი ისტორია. ის თანამდებობები კი ზვიად გამსახურდიას მიერ არის მასზე გაცემული და მან კი გასცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი მეტად გადამწყვეტ მომენტში. სირცხვილი ყველას,ვინც ასე სამარცხვინოდ აყალბებს ისტორიას. თუ მოღალატე გმირია,მაშინ გმირებს რა დავარქვათ?

გოგი ჩიქავა

უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ემიგრაცია

სამთო მომზადების სკოლას ბესიკ ქუთათელაძის სახელი მიენიჭა

"ინტერპრესნიუსი"

სულთათანა

გაზეთ „განმათავისუფლებლის" რედაქცია გაუნელებელი მწუხარებით იხსენებს აპრილის თვეში გარდაცვლილ აფხაზეთიდან დევნილ ჟურნალისტსა და პოეტს

მარეხ ბაღიშვილს

და შესთხოვს უფალს მისი ტანჯული სულის სამოთხეში დავანებას.

მცდელობები კონსტანტინე გამსახურდიას (1891-1975) შემოქმედების მნიშვნელობის დაკნინებისა და მისი მიზეზები

ამას წინათ სოციალურ ქსელ Facebook-ში, hot book challeng (გამოწვევა “ცხელი“ წიგნების გამო), გავეცანი ეროვნული ხელისუფლების წევრის, იგორ ჩხეიძის ვაჟის, დავით ჩხეიძის ასეთ ჩანაწერს:

“ხშირად არის დავა მიხეილ ჯავახიშვილი უფრო დიდი მწერალია თუ კონსტანტინე გამსახურდია. შედარება იმთავითვე არასწორია, საკითხის დასმა არის არასწორი თავისთავად, მაგრამ ჩემთვის როგორც მკითხველისთვის უფრო ახლოა კონსტანტინე გამსახურდია. არ ვიცი რატომ, ხშირად მეზედმეტება სიტყვები, მეყალბება კვანძის გახსნები, ნაძალადევი მედიდურობა... მაგრამ “დიდოსტატის მარჯვენა“ იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც წავიკითხე უნივერსიტეტში ჩაბარებამდე. უკვე მერე წავიკითხე მ.ჯავახიშვილი “ჯაყოს ხიზნები“, “თეთრი საყელო“, “კვაჭი კვაჭანტირაძე“... გასაგებია, შეიძლება მ.ჯავახიშვილის წიაღსვლებით უფრო ღრმად მიდის, “ტიპაჟები“ უფრო კარგად ჰყავს ამოცნობილი, მაგრამ ფსიქოლოგიურობა არ არის ჩემთვის ლიტერატურის შეფასებისას განმსაზღვრელი. კ.გამსახურდია პოეტია: ენის, სახის, მუსიკის (რაშიც ეხმარება მეგრული ენის მუსიკალურობა)... შეიძლება ზედმეტობაში გადადის ხშირად, მაგრამ არასდროს არ ეშვება მიწაზე (რაც ლიტერატურაში, ალბათ, მთავარია); ამიტომ “დიდოსტატის მარჯვენამ“ [უფრო ვიდრე მოგვიანებით წაკითხულმა “მთვარის მოტაცებამ“ და “დავით აღმაშენებელმა“ (თავისი უკვე საოცრად დახვეწილი ენით)] მომნუსხა.“

საქართველოს უახლესმა რთულმა ისტორიამ ალბათ ისიც განაპირობა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება (სხვათა შორის, საბჭოთა, სტალინური და პოსტ-სტალინური კრიტიკის ქარცეცხლგამოვლილი) ახალი კრიტიკის ასთვალა არგუსის მზერაში მოხვდა. თავიდან ამას პოლიტიკური მიზეზები ქონდა: იგი გადატრიალების მომხრე ინტელექტუალებისთვის თითქოს დამნაშავედ გამოცხადდა “ეთნიკური ნაციონალიზმის“, “პროვინციული ფაშიზმის“ მოძრაობის (მათი ტერმინებია 90-იანების ეროვნულ-გამნათავისუფლებელი მოძრაობის აღსანიშნავად) რაღაცნაირი იდეოლოგიური სათავის მიცემისთვის. თანაც მან ხომ ასეთი მიუღებელი შვილი აღზარდა. ამიტომაც ქართული ლიტერატურის ეს კლასიკოსი დამხობილ პრეზიდენტს თითქოს უკან მიაყოლეს. საქართველოს კვალობაზე ერთმა საკმაოდ მაღალი რანგის ინტელექტუალმა, რომელიც ადრე მისი მკითხველი ყოფილა, პირად საუბარში თქვა: ჩემზე ისეთი გავლენა მოახდინა, აზერბაიჯანელებს მოლოტოვის კოქტეილი შევუგდეო. (!) მსგავსი აბსურდი იშვიათად მსმენია. სად წაიკითხა მსგავსი რამ ან სადაა აქეთკენ რაიმენაირი მოწოდება მწერლის ტექსტებში. და სხვებმა, ვინც მის წიგნებს კითხულობდნენ, რატომ არ მოიმოქმედეს იგივე?

უკანასკნელ ხანებში სასულიერო პირები თეოდორე გიგნაძე და ლევან მათეშვილი მას არაქრისტიან, არამართლმადიდებელ მწერლად რაცხავდნენ თავიანთ ქადაგებებში. მეტად რთული ამოცანაა განსაზღვრო, რა არის მართლმადიდებელი მწერალი. ალბათ ჰაგიოგრაფი? ასეთი ნაწარმოები რომ წარმოვიდგინოთ, იგი ისეთივე მკაცრი წესებით და აკრძალვებით იქნება შესრულებული, როგორიც ხატი. სავარაუდოდ მათ არ ეპიტნავათ ზოგიერთი გროტესკული სასულიერო პირის ნეგატიური სახე “დიდოსტატში“. გარდა ამისა, ისინი ვერ არჩევდნენ მწერლის და მისი ცალკეული გმირის პოზიციას, რომლებიც თავიანთ სოფისტურ პარადოქსებში მკრეხელურ აზრებს გამოთქვამდნენ:

არადა თავად მწერალი ხშირად პასუხობდა კრიტიკოსებს, ჩემი გმირების ცოდვებს მე ნუ ამკიდებთო.

შედარებით ლიბერალური ინტელექტუალების წრემ, რომლებიც დასავლურ კულტურას ეზიარნენ, ასევე თავიანთი კონიუნქტურიდან გამომდინარე იხელმძღვანელეს: მათთვის ის, რაც იდეალისტურია, ანუ როგორც ამ პოსტინგის დასაწყისში მოტანილ ციტატაშია “არასდროს არ ეშვება მიწაზე,“ ყოველთვის სახიფათოა, იგი ფაშიზმის ლატენტურ საფრთხეს შეიცავს. იდეალიზმის საფრთხეა ეთნონაციონალისტური მითოპოეტიკის აღზევება რაციონალურობის უარყოფის ხარჯზე, რასაც მათი შეხედულებით, შეუძლია ფაშიზმამდე მიგვიყვანოს. ჩაითვალა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ქართველი ლიბერალისთვის უფრო მისაღებია, რადგან მას თითქოსდა მეტი რაციონალურობა ახასიათებს. აქედანვე წამოვიდა “გადაპრანჭული მწერლების“ თეზა, (რომლის ინსპირატორიცაა თავისთავად ძალიან კარგი გერმანისტი ნოდარ კაკაბაძე, ასევე მწერალი ნაირა გელაშვილი და სხვები) რამაც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ფასეული არაფერი დატოვა - მათთვის შეუწყნარებლად მანერულ ენასთან ერთად.

იყო ძალიან კონკრეტული და არც თუ საამაყო მოკლევადიანი პოლიტიკური მიზანდასახულობებიც: მაგალითად 2009 წელს უცნობს (გია გაჩეჩილაძე) “საკნის“ პროექტში კედელზე ფლომასტერით მიწერილ ქართველი პროზაიკოსების ხუთეულში კონსტანტინე გამსახურდია არ შეუყვანია. “სიტყვის ოსტატი კარგი, ვთქვათ არის, მაგრამ მეტიც არც არაფერი“ - ასეთი კომენტარი გააკეთა უცნობმა. აქ 2 ფაქტორია გასათვალისწინებელი. მან ერთის მხრივ ამა ზვიადის მოწინააღმდეგე ინტელიგენციას, რომელიც საკანს ხშირად სტუმრობდა, მეორეს მხრივ ალბათ ფიქრობდა, ამავე სახელისა და გვარის პოლიტიკოსი, რომელიც აქტიური იყო 2007 წლის გამოსვლებში, ნამეტანი არ აღზევდესო. მანამდე მიხეილ სააკაშვილმა სახელი შეუცვალა კ. გამსახურდიას გამზირს და ისევ პეკინი ქუჩა უწოდა. რატომ გააკეთა ეს? ცხადია, მწერლის მოსახელე ოპოზიციონერი პოლიტიკოსის (ანუ ჩემს) გამო, რომელიც თვალში არ მოსდიოდა. “რატომ შევუწყოთ ხელი მის გაპიარებას, ისედაც შეიძლება რუსები დაეხმარონ და მერე საფრთხეს შეგვიქმნის“ - ჰიპოთეტიურად ასეთი იქნებოდა მისი უვარგისი მრჩევლების ლოგიკა. ასე შეუძლიათ საქართველოში ჭრან და კერონ.

არის კიდევ ერთი რამ, რაც სხვა ქვეყნებშიც ახასიათებთ - კერძოდ როგორლაც გაზომონ შემოქმედნი და დაადგინონ, “ვინ უფრო დიდია“. ასე მაგალითად, საფრანგეთში გასულ საუკუნეში მუსიკის მოყვარულები ხშირად კამათობდნენ, კლოდ დებიუსი უფრო დიდი კომპოზიტორი იყო თუ მორის რაველი. ასეთივე სურათი იყო გერმანიაში - გარკვეულ წრეს რიხარდ ვაგნერი სულაც არ მიაჩნდა კომპოზიტორად, არამედ მხოლოდ იოჰანეს ბრამსს თვლიდა დიდ ხელოვნად. თუმც ვაგნერიანელები ასე აგრესიულნი სულაც არ ყოფილან ბრამსის მიმართ. ასეთივე კამათი შესაძლოა რუსეთში ყოფილიყო ტოლსტოისა და დოსტოევსკის შესახებ. გემოვნებაზე არ დაობენ, თუმცა ყველაფერს თავისი როლი და ადგილი აქვს კულტურულ ცხოვრებაში, მის განსაზღვრას კი ნაკლები ემოცია, მეტი მიუკერძოებლობა და განათლების შედარებით მაღალი დონე ესაჭიროება.

კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდია

ქართველი ავიატორის სახელის უკვდავსაყოფად

9 სექტემბერს დიდი ქართველის (ამერიკაში ემიგრირებული), ავიატორის, ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილი) დაბადების დღეა. ალექსანდრე ქართველი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის მიერაა შექმნილი 15-მდე სამხედრო თვითმფრინავი. პირველი- F-47 ითვლება ამერიკის ლეგენდად, რადგანაც მან მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკა გადაარჩინა.

ქართველებს ნამდვილად გვაქვს საამაყო, ასეთი დიდი გენიოსები რომ გვყავდა. დიდი მადლობა თავდაცვის სამინისტროს და ბ-ნ მინისტრ ირაკლი ალასანიას, რომელმაც საქართველოს ძალიან ლამაზი დღე აჩუქა.

ავიაშოუ, ყოველ წელს, 9 სექტემბერს გაიმართება და მიეძღვნება დიდი ავიატორის, ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილი) დაბადების დღეს. დიდი მადლობა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს და საავიაციო ბრიგადას.

ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილი) საერთაშორისო საზოგადოება (ISAKK)

ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის გამოძიებაც ჩიხშია შესული?

ლაფანყურის სპეცოპერაციის, 9 თვის ბარბარე რაფალიანცის, თავთუხაშვილისა და ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის საქმეები დღემდე გაუხსნელია. ტელეკომპანიების „რუსთავი-2-სა და მაესტროს“ ყოფილი ხელმძღვანელი და რუსთავის მერობის კანდიდატის მკვლელობასთან, ხალხში გავრცელებული ხმებით, დაკავშირებული არიან ოთარ ორჯონიკიძე (ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი და ლაფანყურის სპეცოპერაციის მონაწილე), ლადო დათაშვილი და გიგა ბოკერია. მკვლელობის მოტივად კი სახელდება კიწმარიშვილის მიერ ბევრი საიდუმლო ინფორმაციის ფლობა და მათ შორის სამეგრელოში შეიარაღებული არეულობის ინსპირირება ოქტომბერ-ნოემბრის თვეში გიგა ბოკერიასა და „ნაციონალების“ გეგმით.

ცნობისათვის, სამეგრელოში 6 სექტემბერს დაფუძნდა ე.წ. „სრულიად საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტის“ ადგილობრივი ორგანიზაცია. ზუგდიდში დაფუძნებული ორგანიზაციის პოლიტიკური პლატფორმაა საქართველოს ნეიტრალიტეტი. დამფუძნებლები კი არიან ზურაბ ქელეხსაშვილი: „ ჩვენ ვკრებთ დავით აღმაშენებლის ლაშქარს და ეს უნდა შეიკრიბოს...რადგან ქვეყანა დასაღუპად განწირულია“, ტარიელ შუბითიძე, რამაზ ჩაჩიბაია,ლალი ხეცურიანი, ელზა ლომიძე და სხვ.

მართალია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მათ არავინ აფინანსებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ისინი გამოყენებული იქნან „ნაციონალების“ ასე ნანატრ დესტაბილიზაციისათვის სამეგრელში, რომლის მცდელობა „ნაციონალებს“ არაერთხელ ჰქონდათ.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს შევახსენებთ, რომ ეროსი კიწმარიშვილი საკუთარი სახლის გარაჟში, მანქანაში მოკლეს ამა წლის 15 ივლისს და ოფიციალურ ვერსიად თვითმკვლელობა დასახელდა.

შევარდნაძე მარადისობაა!

მიმდინარე წლის 7 ივლისს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს მოსისხლე მტერი, რუსეთის სატრაპი და ემისარი ე.შევარდნაძე. იმ ფარისევლებს, რომლებიც „აღშფოთდნენ“ ჩვენი, ეროვნული ძალების ე.წ. „ანტიქრისტიანული“ ქმედებით შევარდნაძის დაკრძალვის დღეს, შევახსენებთ შემდეგს:

ჩვენი პროტესტი შევარდნაძის სამხედრო პატივით დაკრძალვის გამო გამოწვეულია საქართველოში 22 წლიანი უსამართლობის ბოგინით, სამშობლოს მოღალატისა და გამყიდველი შევარდნაძის დაუსჯელობით...

ჩვენი ეს ქმედება გამოწვეულია თქვენივე გულგრილობით, სამშობლოს ღალატთან კონფორმიზმითა და თანაზიარობით...

თქვენ დუმდით, ფეხზე გეგკიდათ, ან უშუალოდ თანამონაწილეობდით 1991 წლის 22 დეკემბრის სისხლიანი დილის გათენებაში...

თქვენ დუმდით, ან ხელში გეჭირათ ავტომატი და ცელავდით 1991 წლის 22 დეკემბრის 8 საათსა და 10 წუთზე მთავრობის სახლთან მდგომ ქართველებს...

თქვენ დუმდით ან ტყვიას გვახლიდით, როდესაც ჩვენ ამ დილით მთავრობის სასახლის კიბეებიდან ტყვიის ქარ-ცეცხლში ვცდილობდით კიბეებზე დაცვენილი ქართველების გადარჩენასა და მთავრობის სახლში შეყვანას...

თქვენ დუმდით ან თქვენივე ნასროლი ტყვიით დაიღუპა იმ წუთებში ქართველი ფეხმძიმე ქალბატონი ციცინო ქევხიშვილი...

თქვენ დუმდით ან თქვენი ნასროლი ტყვია დაეხალა შუბლში საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ვარაზ ვარაზიშვილს, რომელიც ცდილობდა ბრძოლის ველიდან დაჭრილი უიარაღო ქართველების გაყვანას...

თქვენ დუმდით ან თანამონაწილეობდით 1992 წლის 6 იანვრიდან დაწყებული თბილისის ქუჩებში მშვიდობიანი ასიათასობით მომიტინგის სისხლიანი კალოს გალეწვაში...

თქვენ დუმდით ან ლომის წილს იდებდით სამეგრელოს ექვსგზის სისხლიან ეგზეკუციაში...

თქვენ დუმდით ან გათხვრილი იყავით წალენჯიხაში ავაზაკთა მიერ დანთხეული ქართველების სისხლის ტბორებში...

თქვენ დუმდით ან გვერდში ედექით შევარდნაძეს იმ დროს, როდესაც ის კმაყოფილი შესცქეროდა ზუგდიდში ასფალტზე დაყრილი უდანაშაულო ბიჭების დაცხრილვას...

თქვენ დუმდით ან ავტომატმომარჯვებული უკან მისდევდით საქართველოს ეროვნულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას...

თქვენ დუმდით ან ლომის წილს იდებდით საქართველოს აკუწვაში და სინით მიართვით რუსეთის პირსისხლიან იმპერიას საქართველოს მარგალიტი აფხაზეთი და საქართველოს გულისგული - შიდა ქართლი...

თქვენი და თქვენი კუმირის შევარდნაძის სულზეა ასიათასობით ქართველის იძულებითი დევნილობა და ჯოჯოხეთად ქცეული მათი ცხოვრება...

თქვენს კისერზეა აფხაზეთსა და შიდა ქართლში დაცემული ათიათასობით ქართველის სისხლი!

და ბოლოს...

ჩვენი ასეთი „შეუწყნარებლობა“ გამოწვეულია იმითაც, რომ თქვენი კუმირი 2004 წელს არ წარსდგა ეროვნული სამსჯავროს წინაშე, არამედ თავისივე გამოზრდილმა რენეგატებმა მიანიჭეს „ხელშეუხლებლობა“ , რისი უფლებითაც მან 10 წელი ინებივრა კრწანისის რეზიდენციაში...

არადა, მაშინ რომ ეზეიმა სამართლიანობას, დღეს არ იქნებოდა ასეთი სამართლიანი რისხვა და გულისწყრომა ჭეშმარიტი ქართველებისა აწ-გარდაცვლილი იუდა-შევარდნაძის მიმართ...

2004 წელს რომ ეზეიმა სამართალს, აწ-გარდაცვლილ შევარდნაძეს გამოათრევდნენ საპყრობილედან და გაამზადებდნენ ჩასამარხად, რასაც ბუნებრივი სიმშვიდით შეხვდებოდა ერი...

მაგრამ, ყოველივე ამის ნაცვლად, ბიძინა ივანიშვილის ხელდასმულმა მთავრობამ ირაკლი ღარიბაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის მეთაურობით საქართველოს ხელისუფლების უზურპატორი, ქართველი ერის გენოციდის მომწყობი და ტერიტორიების გამსხვისებელი ე. შევარდნაძე სამხედრო პატივით დაკრძალა კრწანისის რეზიდენციაში, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა.

პოლიციის ძალუმი წინააღმდეგობის მიუხედავად, ეროვნულმა ძალებმა მაინც შეძლო საქართველოს გამყიდველი და ტირანი შევარდნაძის საპროტესტო შეძახილებით გასვენება, ღარიბაშვილის პოლიცია კი, დემოკრატიის - სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების გამოცდაში, სამარცხვინოდ ჩაიჭრა!

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შევარდნაძის დაკრძალვის დღეებში საქართველოში არ იმყოფებოდა (სავარაუდოდ, პატრიარქმა თავი აარიდა შევარდნაძის პატივით დაკრძალვის პროცესიას ერის ნეგატიური განწყობიდან გამომდინარე), შევარდნაძის ცხედარი წინა დღით, სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს. თუმცა, შევარდნაძის დაკრძალვას, უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებიანად, სულ ორასამდე კაცი დაესწრო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, ზვიად განმათავისუფლებელი პარტიისა და ეროვნული ფრონტის ლიდერობით, მეტრო ავლაბრის ტერიტორიასთან საპროტესტო პლაკატებით დილიდან განლაგდნენ. მეტროსთან მობილიზება იწყეს პოლიციისა და უშიშროების 200-მდე თანამშრომელმა.

ჭიკაიძის პოლიციამ იმ დღეს დაადასტურა, რომ იგი ე.შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის მემკვიდრე რეჟიმია და მათზე უარესიც; შევარდნაძისა და სააკაშვილის პოლიციური რეჟიმი ტროტუარებზე მიმდინარე საპროტესტო აქციების დარბევას მაინც ერიდებოდა, ხოლო ჭიკაიძის პოლიციამ, შეკრებისა და მდუმარე აქციის ჩატარების უფლება აღუკვეთა 70-ამდე მომიტინგეს და ძალისმიერად შეზღუდა მათი უფლებები. პოლიციელები ცოცხალ კედლად აეფარნენ საპროტესტო აქციას იუდა შევარდნაძის ცხედრის ჩამოტარების დროს, თუმცა მომიტინგეებმა მაინც შეძლეს ენერგიული პროტესტის გამოხატვა და პოლიციელთა წინააღმდეგობის დაძლევაც. ტირანი და ქვეყნის მოღალატე შევარდნაძე “იუდას” ძახილით გააცილეს ჯოჯოხეთში!

ბატონო გიორგი მარგველაშვილო, რადგან მაინც პრეზიდენტი გქვიათ ვალდებული ხართ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოთ თქვენ სიტყვებს; შევარდნაძის გამოსათხოვარ გამოსვლაში თქვენ, სხვა მრავალ სიცრუესთან ერთად, ერთი ყურისმომჭრელი სიცრუეც თქით, რომ თითქოს შევარდნაძემ, როგორც „დიდმა ჰუმანისტმა“ კონსტიტუციურად გააუქმა დახვრეტის მუხლი. სინამდვილეში კი, შევარდნაძის კომუნისტური რეჟიმის დროიდან მოქმედი დახვრეტის მუხლი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესმა საბჭომ გააუქმა. შევარდნაძემ კი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების უზურპაციისთანავე, 1992 წელს ხუნტის პარლამენტს მიაღებინა სპეციალური ნორმატიული აქტი სიკვდილით დასჯის შესახებ, ვინაიდან ხუნტის მიერ გაუქმებული ეროვნული ხელისუფლების კონსტიტუციის შემდგომ აღდგენილ 1921 წლის კონსტიტუციაში, სასჯელის ეს უმაღლესი ზომა, არ არსებობდა.

ტირანმა შევარდნაძემ, სწორედ ამ სპეციალური ნორმატიული აქტის საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯა ჯაბა იოსელიანზე ტერაქტის მოწყობაში უკანონოდ დადანაშაულებულ პეტრე გელბახიანსა და ირაკლი დოკვაძეს, რომლებმაც 4 წელი გაატარეს სიკვდილმისჯილთა საკანში და ამ ხნის განმავლობაში, საკნის ყოველი გაღებისას ისინი დახვრეტის აღსრულების განახლებული განცდის ქვეშ დგებოდნენ. ამგვარმა ულმობელმა მრავალწლიანმა სტრესმა გამოინვია ახალგაზრდა გელბახიანის გულის შეტევით სიკვდილი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ. ხოლო, სააკაშვილის რეჟიმის მიერ შეთითხნილი ბრალდებით კვლავ დაკავებული ირაკლი დოკვაძე კი, ღარიბაშვილის ხელისუფლების დროსაც, პატიმრობაში რჩება; ასობით რეციდივისტისა და მკვლელის შეწყალების მიუხედავად, დოკვაძეს (რომელსაც არავინ მოუკლავს) არა და არ შეახეს ამინისტია.

პრემიერ-მინისტრის შეფასება, ტირანი და სამშობლოს გამყიდველი, შევარდნაძის მიმართ კი ასეთი იყო:

ირაკლი ღარიბაშვილი: „ედუარდ შევარდნაძემ გადადგა ის ნაბიჯები, რომლებითაც საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შესაძლებლობები გაუჩნდა“.

ქეთევან ჭანტურია

გვირაბის ბოლოს შუქია!

უჭირს დღეს საქართველოს, უჭირს...არ ვარგივართ და მიტო უჭირს. ჩამორჩა ქართველები, დროის მაჯისცემას ჩამორჩა, პროვინციული ფაშიზმი მოგვეძალა და ჩავიხრჩეთ თლათ ამ წუმპეში; ტეხნალოგიური სივრცეების ათვისებაა საჭირო, ახალი გორიზონტების გაცნობიერება.. არ შვებიან! ევროპაში არ უნდენ გააღონ ფანჯარა, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უჯერიან, მ ე არ მიჯერიან!! ვერ დავემსგავსეთ, ვერა და ვერა, მოწინავე დემოკრატიულ ქვეყანას, ვერ შევიშნოვეთ გეერო, ვერა!

აგერ ახლა გაზი გადაგვიკეტა თურქმენეთმა და სხვა ფუნდამენტალისტებმა..ატყდა ერთი ამბავი. ვერ გაუძლო გაჭივრებას საქართველომ. ბიჭო, ვეუბნები და ვერ გავაგებიე ამ ხალხს, ეს გაჭივრება კია არა, პროგრესია, ნიხსლაა, მეოცდამეერთე საუკუნის სუხთქვაა. მივდივართ ფეხაკრეფით, როგორც რუსები იტყვიან, „ვ ნოგუ სო ვრემენემ“, მივდივართ და ვერ შევაგხვიე ამ ხალხს...აღარაა გაზი არსად, არცერთ ცივილიზებულ ქვეყანაში; დარეკა იმ დღეს ბარბარამ - რად გინდათ გაზი, სადღაა გაზი? - მთელი დღე ქუხნიდან არ გამოვდივარ და გაზი არ მჭირიაო. დარეკა კოლის ცოლმა, ანდრეოტის, ჩემო ბატონო, ცოლმა, ბეიკერის და გენშერის ცოლებმა... ფაცაციას ცოლმაც გამოაგზავნა ფაქსი, გიმალაიში ყოფილა წასული ნათესავებთან და იქედან! უთხრეს ყველამ ჩემს ქალს - ტყვილა ნერვიულობ ამ გაზზე, ეგ განვლილი ეტაპია. შენ ჭკვიანი ქალი ხარ და გააგებიე მაგ ბნელებს, ბოდიში მომიხდია უხეში გამოთქმისათვის და ტარაკანებივით რომ იწამლებიან დუხოვკებში; ნუღარ მოიწამლებიან, ისუნთქონ სუფთა ხაერი, ღრმად ისუნთქონ, დაადგენ იმ დიდ და ნათელ გზას, აბულაძის „მონანიებაში“ რომაა, იმ გზას, ტაძართან რომ მიგვიყვანს, მერე გვირაბში რომ შეგვიყვანს და ბოლოს გვირაბის გაღმა შუქი რომ გამოჩნდება. ახლა ჯერეთ გვირაბში ვართ და ფეხს ვიდგამთ, ვბანცალებთ, როგორც თოთო ბავშვი.

ხოდა, შემეკითხებით, რაა გამოსავალი ამ ტუპიკური სიტუაციიდან? არის გამოსავალი, არის! საქართველოს ვინ არ ესხმოდა თავს, რა არ ესხმოდა და გადარჩა მაინც! თურქეთი და სპარსეთი, ირანიო და სხვა... ახლა ირანი, რომ უყურებთ თქვენ, თვითან მეახლა რაფსანჯანი აქეთ, მეც ვეახელი აერაპორტში; სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო, ნათქვამია..ვინც ჩამოვა, იმის ქუდიც უნდა დაიხურო (ასე ითქმება აწი!) აბა! უნდა შეგეძლოს ეგ, უნდა დაძლიო პროვინციალიზმის სენი, ბაცილა! დაძლია ციურიმ, ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა, დაძლია და... დაიხურა ჩადრი, კულტურული გოგოა და მიტომ, უკომპლექსოა და მიტომ, სადაც საჭირო იყო, დაიხურა და სადაც საჭირო იყო, გაიხადა, ბოდიში, მოიხადა ქუდი! ასეა საჭირო, როგორც მის ქვეყანას სჭირდება, ისე მოიქცა; ასევე ნატო, კიდევ ერთი მეგობარი ქალი, ახალგაზრდა, ხომ ექსკლუზიურია ეს ინტერვიუ, აააა? პატარა გადაუვუხვიეთ თემას, ლირიული, უფრო სწორად. რომანიული გადახვევა გამოგვივიდა. ხოდა, გამოსავალი არის, ბატონო, არის! დავიბარებთ ხვალიდან კვირაიას კაბინეტში მინისტრებს, ისინი მოიყვანებენ მეცნიერებს, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, მწვანეებს, შავებს, ბიზნესმენებს, „ნანულის მანდილოსნებს“, სტალინის და პანტელეიმონის პარტიის ლიდერებს, ბანკირებს და ..ამუშავდება ბერკეტები, ენერგომატარებლები, და სანამ თლათ არ გადინდა ყველა ტვინი აქიდან, შემუშავდება ჩვენს მიერ განსახორციელებლად დაგეგმილი პროგრამა-მინიმუმი. იგი ერთ ძირითად პოსტულატს ემყარება: რა არის საქართველოს მთავარი მაცოცხლებელი, როგორც იტყვიან, საკვები? რაა და სიმინდი და ლობიო, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, „მუცლისბოძიო“, რომ იტყვიან ხალხში, პრესაში, ჩვენი ინტელეგენცია რომ იტყვის, ბ-ნი თამაზი რომ იტყვის, გამყრელიძე, ჭაბუა რომ იტყვის, ლანა რომ იტყვის, პარიზიდან ახალი ჩამოსული ლანა...ჰო, მუცლის ბოძიო...ლობიოს სიკეთეს ვერ ოუხვალ, რასაა ის რომ არ გასიამოვნებს, მერე მეტეორიზმი, ბოტულიზმი, და რა გინდა რომ არ ახასიათებდეს! ბუნებრივი რომ ყველაფერი კარგია, ეს იცოდნენ ქართველთა წინაპრებმა - თქვენმა წინაპრებმა, ჩემმა წინაპრებმა - ბაგრატიონის შტოს წარმომადგენლებმა; სად სადღაც გადაკარგულიდან, მით უმეტეს ისლამური ქვეყნიდან მონავალი და სად ბუნებრივი, მშობლიური აირი, სამშობლოს კვამლისა არ იყოს! „სამშობლოს კვამლიც ხომ ტკბილია“ , გრიბაედოვამდე რომ თქვა ქართულად ჩვენმა ბ-მა ჯანსუღმა, ჩარკვიანმა!

ამას ყველაფერს გამოყენება სჭირია. ცოტა უხერხული კია, ნუ მათქმევინებთ ყველაფერს, ცოტას თვითონაც მიხვდით, ყველა საიდუმლო, ზოგი სამხედროც, კი არ უნდა გამოიტანო ხალხში, მაგრამ მე მაინც გეტყვით დარჩენილი ტვინების საშუალებით როგორ მივალთ კონსესუნამდე: გამოყოფილი გაზების ასათვისებლად დამონტაჟდება ინდივიდუალური მოხმარების მეხანიზმები, ინდივიდზე დაყენებული მილების სახით, უახლესი დიზაინის თბოდანადგარები. თან, რომ იტყვიან, შვებას იგრძნობს ინდივიდი, თან სითბო გამოიყოფა, ბუნებრივი სითბო, მერე დატრიალდება ტურბინები, აირი ელექტროენერგიად გარდაიქმნება. ამაზეც არ დავკმაყოფილდებით, ინდივიდიდან ოთახებზე გადავალთ, მერე სადარბაზოებშიც დამონტაჟდება და შემდგომ ქალაქებსა და რეგიონებსაც მოედება ეს სისტემა. შეიქმნება რეგიანალური თბოდანადგარები...ეს ყველაფერი უქმად უნდა დაკარგულიყო, ეს საწვავია, ეს ჩვენი სიმდიდრეა, ეს ტეხნალოგიური აზრის ტრიუმფია, ეს ჩვენი ინტელეგენციის მონაპოვარია!

ყველაფერი ეს კი კულტურის გადარჩენით დაიწყო. რომ არ ყოფილიყო ჩემს მიერ ნამოწყებული კამპანია კულტურის ათვისების შესახებ, არაფერი გამოვიდოდა, რომ არ ყოფილიყვნენ ისეთი ნიჭიერი, ინტელიგენტი, სუფთა, კრისტალურად სუფთა ახალგაზრდები, როგორებიც არიან დათო მაღრაძე, ლაშა თაბუკაშვილი, თემურ ხაჩიშვილი, იმედისმომცემი მოქალაქე ჟვანია, მზარდი მეცნიერი მანანა გიგინეიშვილი, სხვათა შორის, ჩემი დიდი მეგობარი, იქამდე მეგობარი, რომ ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც კი მაყენებს, და სხვა და სხვა.. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი.. რომ არ ყოფილიყო ეს ადამიანები, არ გვექნებოდა ეს ყველაფერი, ვერ ავცდებოდით იზოლაციონიზმის მარწუხებს, ვერ გავიდოდით დიდ შარაგზაზე, „შარაგზის ყაჩაღებსაც“ ვერ დაგვიძახებდნენ, აბა როგორ უნდა დაეძახებიათ! ახლა გვეძახიან და კიდევ ბევრ რამეს დაგვიძახებენ, ამ გაზის გამოგონების შემდეგ განსაკუთრებით! დაგვიძახებენ, რისი ღირსიცა ვართ, იმას. ნათქვამია; რასაც მოიმკი, იმას დასთესო, თუ როგორ არის? ქარიშხალი რომ დავთესეთ დეკემბერში, რაღაც ნამდვილად უნდა მოგვემკო, და მოვიმკეთ კიდეც. აი, თუნდაც ეს ახალი ტიპის ბუნებრივი გაზი! ამას ყველაფერს მოფრთხილება უნდა, ეს ჩვენი მონაპოვარია! გახსოვდეთ, გვირაბის ბოლოს შუქი მოჩანს. მკლავები დაიკაპიწეთ, დიდ შარაგზაზე გავდივართ!!

ციცი გაბისკირია

დასაწყისი გვ. 13

ლიბერალებიდან თუ შერცხვა სააკაშვილის მმართველობის ასეთი კომპრომეტაციის გამო? ესენი კიდევ იმოძღვრებიან და იქით ედავებიან სხვებს. რომელიმეს გააჩნია ფილოსოფოსის ეთოსი? სინდისმა ვინმე შეაწუხა უმიზეზოდ დახოცილი და ნაწამები ხალხის გამო? სადმე გამოვლენილა მათი როგორც ლიბერალების ჰუმანიზმი და თანალმობა? აი ამ აკა მორჩილაძეს, ზაზა ბურჭულაძეს და სხვებს კრინტი სადმე დასცდენიათ სააკაშვილის აწ გარდასულ კრიმინალურ მმართველობაზე? მაშ რაღაა ლიბერალიზმი, თუ ესეც არ შეუძლიათ? არა, ეროვნულ მოძრაობას ხომ სულ დასცინიან ესენი და თუ სადმე შეცდომა იყო ეროვნულ მოძრაობაში, მასზე მითითებით ამართლებენ ისინი თავის ინდიფერენტიზმს ეროვნულ-პატრიოტული საკითხებისადმი. 90-იან წლებში ქართველ ლიბერალთა მსჯელობას აიოლებდა ყოველივე ქართულის დამახინჯება. წარიწყმიდა ქართული სუფრა, ქართული წესები. კარგი ცხოვრებით გალაღებული ქართველნი შუბლით შეენარცხნენ სინამდვილეს. სიმახინჯემ, სიზანტემ, სიცრუემ დიდად გააიოლა ქართველი ლიბერალების ასევე მახინჯი, ზანტი და ცრუ მსჯელობა. მათი კრიტიკა კრიტიკანობა იყო. მათი ლაპარაკი საბჭოთა ტოტალიტარიზმზე პოლიტიკური სპეკულაცია იყო და არა ახალი ფილოსოფიური აზრის აღმომშობი სიტყვა. ეს იყო ახალი ტიპის ვერბალური კომბინატორიკა საკუთარი უიდეობისა და ანგარების დასაფარად. დრომ პირუთვნელად განსაჯა და თავისი სახელი უწოდა ყოველივეს. დრომ გამოაჩინა ის, რაც საგანგებოდ დაფარული იყო ლიბერალების ლამაზი სიტყვებით. ბევრმა ლიბერალმა მოიარა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნები. მერე? რაიმე იდეით განიმსჭვალნენ? კულტურტრეგერები როდესმე ყოფილან? მაშ რას იჩემებენ ლექტორობას? ისინი არიან ამ ცხოვრების ტურისტები და საკუთარ უბედურ ქვეყანაშიც ტურისტებად ცხოვრობენ. ეს ტიპური ქართული ამბავია, რომ კაცი ქვეყანას იკლებს კრიტიკის აუცილებლობაზე ლაპარაკით და ამ დროს უმცირეს კრიტიკას ვერ იტანს, ისტერია ეწყება და სხვათა კილვას იწყებს.

შევარდნაძის დროს გამომავალ სალიტერატურო ჟურნალებში წერდნენ მავანნი და ისე მოჩანდა, რომ ქვეყანას ჰუმანისტები ეზრდებოდა. სააკაშვილის მოსვლისას ისინი ხელისუფლების კარზე დაეყუდნენ და დღემდე იცავენ იმ 9-წლიანი ჯალათური მმართველობის ყველა დანაშაულს. ისინი არასოდეს ყოფილან ჰუმანისტები, არამედ იყვნენ და დარჩნენ ქვეყნის მოძულეებად, კალმოსან მტარვალებად.

ზუსტია ლევან ბებურიშვილი, როდესაც წერს, რომ ლიბერალები ფილოსოფოსობანას თამაშობენ (გვ. 77). მას მოჰყავს ლევან ბერძენიშვილის ნათქვამი, რომელშიც საზრისი და მნიშვნელობა არაა. ბერძენიშვილი პატრიოტიზმის განმარტებაზე ლაპარაკობს და აქედან ჩანს მისი კონფორმიზმი და უცოდინრობა, რომელიც შენიღბულია ვერბალური იმპროვიზაციით. ბერძენიშვილი პატრიოტიზმის ამერიკულ განმარტებაზე ასე მსჯელობს: „პატრიოტიზმი ზუსტად იგივეა, რაც ლოიალობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი“ (გვ. 78). თუ ეს ასეა, მაშინ ლიბერალიზმის დასაბამთან მდგომი ევროპელი პროტესტანტი დისიდენტები არ ყოფილან პატრიოტები, რადგან ისინი არ იყვნენ ლოიალურნი პანევროპული კათოლიკური მონარქიისადმი. ასევე არ ყოფილან პატრიოტები აშშ-ს დამფუძნებელი მამები, რომელთაც ბრიტანეთის იმპერიას და მეფის ტახტს ომი გამოუცხადეს. ლევან ბერძენიშვილმა სადღაც ყური მოჰკრა მსჯელობას ლოიალობაზე და ახლა ცდილობს, რომ ქვეყანას ეს მიაწოდოს, როგორც უმაღლესი ლიბერალური ჭეშმარიტება. ლოიალობას (ლოყალტყ) რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ის ნიშნავს ერთგულებას, მომხრეობას და აქ ის არის სიტყვის პარტისანსჰიპ (თავდადებულება) , მაგრამ ლოიალობა ასევე ნიშნავს ფორმალურ, კორექტულ, გარეგნულ დამოკიდებულებას რაღაცისადმი, როდესაც ერთგულება საჭირო არაა. ლევან ბერძენიშვილის ნათქვამით კი ის ერთმნიშვნელოვნად კონფორმისტულად გაიგება. ლოიალობა აქ ევფემიზმია, რომელიც კონფორმიზმს გულისხმობს. კონფორმიზმმა კი აზრი დაუკარგა ყოველივე საუკეთესოს, რაც ლიბერალიზმს გააჩნდა და რასაც დასავლური ცივილიზაცია თავის ზეობას უნდა უმადლოდეს. სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ლოიალობა არაა ზუსტად იგივე, რაც პატრიოტიზმი. თუ ეს ასეა, მაშინ ლიბერალთა ყველა მსჯელობა ლიბერალურ ეთიკაზე არის ცრუ. ესე იგი თავს აჩვენებენ ლიბერალად, ლოიალურნი არიან და გულში სულ სხვა ფიქრი აქვთ. ამდენის გაგება კი აღარ აქვს ლევან ბერძენიშვილს.

ის ძველი ლიბერალები, აი ისინი, ვის ცხოვრებასაც მაქს ვებერი სანაქებოდ იკვლევდა, კათოლიკურ ინკვიზიციას გაურბოდნენ, რელიგიურ ომებში, საკათედრო თეოლოგიურ დისპუტებში მონაწილეობდნენ. მათ უკან დაახევინეს ვატიკანს და ათასწლოვან კათოლიკურ მონარქიას. ისინი თავს სწირავდნენ მრწამსის გამო. ინკვიზიციის საწამებლებში იგვემებოდნენ და კოცონზე ადიოდნენ. ისინი იყვნენ ჭეშმარიტი ერეტიკოსები და დისიდენტები. მათ შექმნეს პოლიტიკური ევანგელიზმი, პროტესტანტული თეოლოგია, ნაცია-სახელმწიფოს სუვერენიტეტის იდეა. მათ შექმნეს ახალი შრომითი კოდექსი და წარმოიშვა ფეოდალიზმთან მოდავე ბურჟუაზიული კლასი. აი, აქედან დაიწყო ლიბერალიზმი. ეპოქა შექმნეს იმ ძველმა ლიბერალებმა და წარუშლელი კვალი გაავლეს ისტორიაში. განა ქართველი ლიბერალები თავს შესწირავენ იდეას? გამზადებულზე მოვიდნენ და მაინც ვერაფერი შექმნეს. მათ აქვთ გრანტები, თანამდებობები, სახელისუფლო ფრომოუშინგი. ნახევარი ცხოვრება ტელესტუდიაში გაატარეს და ქვეყანას მოძღვრავდნენ. რაა მათი კრიტიციზმის ნაყოფი? რა შექმნეს მათ ან ბიბლიის პოლიტიკურ განმარტებაში, ან ქრისტოლოგიაში? მარტო ესაა, რომ ანონიმურად პოსტავენ გვერდზე „ღმერთო, ტაბურეტკა მესროლე“. რატომ იმალებიან? განა ქართული ეკლესია ინკვიზიტორი ყოფილა როდესმე? ნუ არა, ვიღაცას მისდევდა ტაბურეტით ხელში ბეჩავი და უმეცარი ქართველი მღვდელი? მერე ამას დევნას ეძახიან? სადამდე მხდალია ქართველი, ეს ჩანს ანონიმური, სამასხრო ფეისბუკის გვერდების მომრავლებაში. არაფერი შეუძლიათ და მხოლოდ ბილწსიტყვაობენ. რატომ არ ძალუძთ ლიბერალებს თავისი სახელით თქვან, რომ აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ შემიძლია? რას ჰმატებს ქართულ ლიბერალიზმს ქილიკი მონაზონი ქალებისა და მღვდლების უცოდინრობაზე? ჯერ ახლა იმალებიან ლიბერალები და აქ რომ რელიგიური ომი ყოფილიყო, ისეთი, როგორიც იყო პროტესტანტ ლიბერალებსა და კათოლიკე მონარქისტებს შორის ევროპაში, მერე ხომ მთლად მიწაში ჩაძვრებოდნენ ეს ლიბერალები. ამათი ჩასვრა და წახდენა მერე გეხილათ! წარმოვიდგინოთ, რომ ნოდარ ლადარიას, ზაზა ბურჭულაძეს, ლაშა ბუღაძეს და სხვებს მოსწეოდათ ლიბერალობა ცარიზმის დროს 1890-იან წლებში, ან 1905- 07 წლების რევოლუციის დროს. ესენი დაიცავდნენ პოლიტიკურ მრწამსს? ქართველი ლიბერალების დიდზე დიდი უმადურობა ისაა, რომ ისინი არას ამბობენ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ღვაწლზე. ზვიადის განაკვალმა მოიყვანა ისინი. რომ არა ზვიადის ბრძოლა, ან ნოდარ ლადარია, ან ლაშა ბუღაძე და სხვები შეძლებდნენ ასე ბრძოლას? დღეს, გამზადებულზე ადვილია ლიბერალობა და უცხოური ფონდების ხელშეწყობით ჟურნალების გამოცემა. გაკოტრებული ქართველი ლიბერალების ბოლო არგუმენტი არის ლგბტ-ს უფლებათა დაცვა. რამდენს ლაპარაკობენ ამაზე. ქართველი ლიბერალობა, არც დიალოგის შემძლეა, არც სხვისი აზრის მომსმენი. ეს არის პრივილეგირებული მიზანთროპების სექტა, ჩაკეტილი, გაუცხოებული ყველასგან და ყველაფრისაგან. მათთვის ლიბერალობა არის მონოპოლია, სამთავრობო ეზოთერიკა, ელიტარების დიდი მონოლოგი. მათ გარდა არავინ კითხულობს მათივე გამოცემულ ჟურნალებს. ხალხისაგან შორს არიან და ურთიერთობის ერთადერთი წესი მათთვის არის ტელეეთერი. სხვა დროს საგანგებოდ დამალულნი არიან. იმის მაგივრად, რომ ლიბერალების სიტყვა ხელს უწყობდეს კონსოლიდაციას, ერთიანი ეროვნული შეგნების დამკვიდრებას, ის სთესს განხეთქილებას, სიძულვილს, სეგრეგაციას, ექსტრემულ დეჰუმანიზაციას. თუ მათ სექტას არ ეკუთვნი, რაც არ უნდა ღირებული აზრი გამოთქვა, მაინც არად ჩაგაგდებენ. ეს არის სეგრეგაცია ღია საზოგადოებისა და გამჭვირვალობის სახელით. ამავე დროს სექტის წევრთა მიერ დაწერილი არგამოსაჩენი წიგნები მუდმივად ანონსირებულია. მათ ეკუთვნით ვებ-გვერდები (www.artside.ge და სხვა)ამას ვკითხავ მათ: რა აზრი აქვს ელიტარად მიგაჩნდეს თავი იმ ქვეყანაში, რომლის გაწყვეტაც გულში გაქვს ამოჭრილი? ელიტარი ინტელექტუალი თუ ხარ, ცოცხალ კარიკატურად როგორ იქეცი? ისინი ამბობენ რომ იქმნება „მეტატექსტი“, „მეტაპროზა“, „მეტაპოეზია“, „ტექსტ-გაჯეტი“. ეს მხოლოდ სატყვების რახარუხია. ან კიდევ: „ერეკლე დეისაძის უპრეცედენტო ნარატიული სტრატეგია“, „დეისაძემ შემოგვთავაზა ლიტერატურული დისკურსის განსაკუთრებული მოდელი“. არა, ყველა ჭკვას გადასცდა? ყველა გამოშტერდა? აქ აღარ ვახსენებ იმათ, ვინც ეს დაწერა. ერეკლე დეისაძემ რა მოდელი შემოგვთავაზა? რა სტრატეგია?

რელიგია ქართველი ლიბერალებისათვის არის გასართობი. რელიგია მათთვის არის საკუთარი თავმოთნეობის და სნობობის გახელების მიზეზი. საიმისო გაბედულება არ აქვთ, რომ თქვან, - ჩვენ ვართ ათეისტები. ლიბერალ-კაპიტალიზმის იდეოლოგიამ რელიგია ჰუმანიტარული ტექნოლოგიის ნაწილად აქცია და ამიტომ ქართველი ლიბერალები ვერ გაბედავენ ანტირელიგიურ კრიტიკას. მათი მხრიდან რელიგიის ფილოსოფიურ კრიტიკაზე აღარას ვამბობ. ამდენს ისინი ვერ შესწვდებიან. მათი ნეოლიბერალობა არის რელიგიით შენიღბული მატერიალიზმი და აკადემიური ფრაზებით შემოსილი კონსიუმერიზმი.

როცა ყველგან მარცხიდა სახელგატეხილობა იკვეთება, აი შემდეგ, იწყება ფამილარობა და ლაპარაკი, რომ „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“. ეს ინფანტილიზმი არის მუდმივი გამართლება ქართველისათვის, რომელიც კი ეპოტინება დიდ იდეებს, მაგრამ ყოველთვის უმწიფარია და ხელნაცარავი, ხუმრობას იწყებს თავის მარცხიანობაზე. ეს ინფანტილიზმი შეზავებული საშინელ ამპარტავნებასთან, ქართველთა ერთ-ერთი სენია. ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ იყო ესა თუ ის კაცი დიდი ბავშვი, არის სისულელე. ნოე ჟორდანიას დროს სწორად თქვა მიხეილ ჯავახიშვილმა, რომ ქრისტე რომ მოვიდეს ქართველებში, ცოტა ხანში მასაც ეტყვიან, - ბიჭო, იესო, რასა იქმ, შე ჩემა ნალავ? წამო, ღვინო დამალევინეო.

ლევან ბებურიშვილის წიგნში მოხმობილია ირაკლი ჩარკვიანის ნამსჯელი ზემოთ დასახელებული კრებულიდან, რომ ქართველი კაცი ქალურია და ისტერიული და მას მეძავის ზნე აქვს. ეს ადრეც თქმულა კონსტანტინე კაპანელის და სხვათა მიერ. ირაკლი ჩარკვიანი კაი გულის კაცი იყო და სული მისი იშვებდეს იმ ქვეყნად, მაგრამ დიდი ცოდნა მას არ ჰქონია. ის სასეიროდ უფრო ამბობს ქართველის ნაკლს, ვიდრე საჭირისუფლოდ. ისიც ქართველ ნეოლიბერალთა ბანაკს ეკუთვნოდა და იმავე ილუზიებითა და შაბლონებით იყო დამძიმებული. არც ის იყო ავტონომიური კრიტიკოსი, ისევე როგორც სხვა, უფრო მეტად ცოდნიერი ქართველი ნეოლიბერალები. ქართველთა სააუგოდ უთქვამთ ნიკო ნიკოლაძეს, ვაჟა-ფშაველას და სხვებს. ისინი ამას წუხილით ამბობდნენ და არა სასეიროდ. ამ დიდ კრებულში („საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“, 2005) ბევრია ისეთი მაგალითი, როდესაც გზაარეული ადამიანი თავს ინიღბავს აკადემიური ფრაზებით და კიდევ სხვათა სამოძღვროდ იზიდება. აქაა ჯანრი კაშიას წერილიც. რა უნდა თქვას კაშიამ, რომელიც ევროპაში, იოანე პეტრინის ფსევდონიმით წლობით ცილს სწამებდა ეროვნულ მოძრაობას? აქ ჩამოვიდა კაშია მოგვიანოდ და სააკაშვილის მაგინებლად დადგა. რაა მისი სარწმუნო? მან რა უნდა თქვას პატრიოტიზმზე?

კრებულის რედაქტორის, ზურაბ კიკნაძის ჩანაფიქრი და მცდელობა მეტად კარგია. მას სწადდა წარმოეჩინა ორიენტირები და გამოესახა დიდი დიალოგის გზით ნაპოვნი ჭეშმარიტებანი. ეს არ გამოვიდა აქ მომსჯელე ავტორთა მეტისმეტი კონფორმიზმისა და კონიუნქტურული დაღის გამო. რამდენია ამ კრებულიდან შევარდნაძის ძველი მხარდამჭერი და როდესაც აქ პატრიოტიზმის სემანტიკა განიხილება, რომელიმეს უთქვამს, როგორ ესმოდა მას პატრიოტიზმი 1992 – 2003 წლებში? რომელიმემ თქვა აქ, რომ 1992 წელს მოხდა დიდი კატასტროფა და საქართველოს დაშლას დაედო დასაბამი? ამას არ იტყვიან აქ მომსჯელე გია ნოდია, ზაზა ფირალიშვილი, დავით დარჩიაშვილი და სხვები. თავად ქართული ლიბერალიზმის რეპრეზენტაციულმა ფიგურებმა მოახდინეს ლიბერალიზმის ყველა საუკეთესო იდეის დისკრედიტაცია. ამდენი ადგილი დაეთმო ამ კრებულში პატრიოტიზმის განხილვას და კრინტი არსადაა დაძრული 1992 – 93 წლებზე. სად არ გადასწვდნენ, ვინ აღარ დაიმოწმეს და არც არაფერი ამით. ტექსტები ვერბალურად ეფექტურია, მაგრამ უსაზრისო და ფილოსოფიურ ავტონომიურობას მოკლებულია. ამ 544-გვერდიან კრებულში დიალოგი ვერ შედგა თავად ერთი დასის წარმომადგენელ ნეოლიბერალთა, თავგადაკლულ მედასავლეთეთა შორისაც. კრებული მთლად წაახდინა ზეკონფორმისტი გია ნოდიას დამასრულებელმა წერილმა, სადაც ის სააკაშვილისა და შევარდნაძის ბრძოლაზე წერს. რაც არ უნდა თქვას მან, მაინც სიყალბე გამოვა. აქ მინდა გავიხსენო ამ საუკუნის დამდეგს ნაირა გელაშვილის მართებული ნათქვამი, რომ ჩვენ არ ვართ მზად თავისუფლებისათვის, გვაქვს არასტაბილური ფსიქიკა და ავტორიტარულობით, მონოლოგურობით, ზნეობრივი არათანმიმდევრულობითა და დიალოგის შინაგანი შეუძლებლობით ვხასიათდებით (კრებული „ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება. საქართველო. XXI საუკუნის დასაწყისი. „კავკასიური სახლი“, 2001, გვ. 4).

რამდენი ითქვა დიალოგზე 1989 წლიდან და არსად ისე არაა შეუძლებელი დიალოგი, როგორც წიგნიერ ქართველთა შორის. ქართველს არ შეუძლია თანამოსაუბრის მოსმენა. ის ვერ უძლებს მკაცრ და თანმიმდევრულ მსჯელობას. ის ან მალემრწმენი და ზერელე აპოლოგეტია, ან ყველაფრის თავგამოდებით მავერანებელი. მისი არგუმენტაცია ცილისწამების, ტაკიმასხრობის, შაბლონებისა და ილუზიებისაგან შესდგება. ქართველი შეეთვისა უსაზრისო ცხოვრებას და ნებისმიერი ფილოსოფიური რეფლექსია იწვევს მის ბრუტალურ გახელებას. ქართველი თავს არიდებს შემეცნებით სატანჯველს. ის შინაგანად პასკვილანტი და ფელეტონისტია. ის კრიტიკანია და არა კრიტიკოსი. ყოველივე ეს კარგად ჩანს, როდესაც ლევან ბებურიშვილი განიხილავს ორიგინალურ მწერლებად შესახელებულ ეპიგონებს. ამ მწერალთა ნაწერი, რომელიც ბ-ნ ლევანს მოჰყავს თავის წიგნში, სწორედ რომ კრიტიკანობა და ტაკიმასხრობაა. ეს არის მოსეირე ლიბერალების მიერ ისედაც შეგინებული სახლისა და კერის კიდევ ერთხელ შეგინება. ისინი განზე განმდგარნი არიან ყველა საქვეყნო ჭირისაგან, თავი ელიტარებად მიაჩნიათ და შორიდან ისწავლებიან. მათ სძულთ საქართველო უფრო მეტად, ვიდრე გარეშე მტრებს. მათი ლიბერალური რეცეპტები სინამდვილეში ქართველთა გენოციდის გამართლება და გაგრძელებაა. ეს 1992 წლიდან მომდინარეობს. ქართული ლიბერალიზმის ბოლო არის პარაზიტიზმი, მანიად ქცეული კონსიუმერიზმი და მიზანთროპია. ასევე პარაზიტიზმი იყო დუბლირებული ეროვნული პარტიების მხრიდან შევარდნაძის ძაგება 1995 – 2001 წლებში. მათთვის შევარდნაძის ყოფნა ქვეყნის სათავეში ხელსაყრელი იყო იმ აზრით, რომ ეს ფარავდა ეროვნული ძალების დეზორგანიზაციას, შიდა მტრობასა და ახლომხედველობას. შევარდნაძის წასვლა კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა მათ უცოდინრობას. ეს სავალალო სინამდვილეა, რომელიც

ვერ დაბრალდება გარეშე ფაქტორებს. ახლა რომ გამოდის ჟურნალი და წიგნი, ამდენი არ გამოსულა არასოდეს საქართველოს ისტორიაში. ამდენი მწერალი არასოდეს ყოფილა. ასობით პოეტი და მწერალია. მერედა, რა ხეირი დაეყარა ქვეყანას ამ სიმრავლით? სადმე ძალუმობს ქართველთა იდეური დასი? სადმე არის, რომ კალამი მახვილს ედარებოდეს ამ ავ დროებაში? ფულის იმედი აქვთ საქართველოში. სიმართლისა და მართალყოფნის იმედი კი არა. წერა იქცა მათრობელად, როდესაც თავს იტყუებენ და ჭიას იხარებენ. წერას არა აქვს არანაირი მიზანი. ერთი დღის გასართობია პოეზიაც და პროზაც. ამიტომ მრავალი წიგნი სინამდვილეში ჟურნალ-გაზეთია. აგერ, განახლდა ჟურნალ „არილის“ გამოცემა. გამოდის ჟურნალი „ახალი საუნჯე“. რამდენი ახალი ჟურნალიც გამოვიდა, სულ ერთი და იგივე ხალხია იქ. წამლავს ისედაც მოწამლულ ქვეყანას ამდენი ორღობის მაყვირალი და სიძვის მოციქული მწერალი. განა მკითხველი უფრო თავისუფალი ხდება ზაზა ბურჭულაძის, აკა მორჩილაძის, ერეკლე დეისაძის, დავით ბარბაქაძის, შოთა იათაშვილის ნაწერების კითხვით? განა ის სწავლობს ფიქრს ცხოვრების საზრისზე, ქვეყნის ბედზე? კინტოური არზაქარობაა მათი მწერლობა და პოეტობა. ჭიანაჭამი ლიბერტინაჟია (თავისუფალი აზროვნება) ეს მათი დიდად ნაქები, ნომინირებული და პრემირებული თხზულებანი. სხვა უბედურება კიდევ ისაა, რომ ერეკლე დეისაძეს, ზაზა ბურჭულაძეს, შოთა იათაშვილს ჰყავს ბევრი მიმბაძავი. ისინი ინტერნეტს იკლებენ თავისი სამსიძაო ნაწერებით. განა ორი და სამი, არამედ ასობით არიან მწერლის სახელსა და ტელესტუდიის ბრძნობას დახარბებულნი. სიძვით შეიშალა ისედაც სუსტი სულის მქონე ქართველობა და ფიზიკურადაც გადაგვარდა. 2005 – 08 წლებში ქალაქში ხშირად დაინახავდით მანქანებს, რომელთა სანომრე ნიშნები იწყებოდა სიტყვით - SEX. ნეოლიბერალიზმს საქართველოში გამოუჩნდა თავისი კალე ფედოსიშვილები. ის მელექსე კალე ფედოსიშვილი რევოლუციის ფანატიკოსი იყო. ანგელოზად გამოჩნდა იგი ახლანდელ მწერლებთან შედარებით, რომელნიც სიძვის ფანატიკოსები არიან. ხელისუფლებისაგან მომდინარეობს დაუწერელი დირექტივა, რომ წერონ და წერონ სიძვაზე, რომ გააბუჩონ ყველაფერი, რაც სააკაშვილამდე არსებობდა.

1992 წლიდან ლიბერტარიზმი ზეობს საქართველოში. გამოყენებული იქნა ყველა ადმინისტრაციული და პროპაგანდისტული შესაძლებლობა. შედეგი კი მეტად მცირეა. კლასიკური ლიბერალიზმის ვერც ერთი პრინციპი ქართველის გულში ვერ დამკვიდრდა. ქართველი თავისი შეგნებით იყო და არის გაქანებული კონფორმისტი. ქართველი დარჩა წამგლეჯი, სიმულანტი. საქართველოში ლიბერალიზმმა ბატონყმობა დააკანონა. აი ესაა მისი დიდი მიღწევა.

ნიკო ნიკოლაძე 1887 წლის ოქტომბერს, თავის „საკვირაო საუბრებში“ წერდა: „ჩვენი საზოგადოება სრულიადაც არ წასულა შორს იმ მონური ურთიერთობებისა და ბატონყმური შეხედულებისაგან, საიდანაც წარმოიშვა და გაიზარდა!“ (ნიკო ნიკოლაძე. თხზულებანი, ტ. 9, საგამომც. ცენტრი „ქუთაისი“, 2006, გვ. 107).

რატომ ვერ შეძლო ხელისუფლების მიერ ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ქართულმა ლიბერალიზმმა ახალგაზრდობა აღეზარდა და კვალი გაევლო? რატომ არ ძალუძს ქართველ ლიბერალს დამოუკიდებელი ფილოსოფიური განსჯა და ის მუდამ ეპიგონია? ეპიგონობის მაგალითია ბ-ნი ლევანის წიგნში ნახსენები გიორგი მაისურაძის კრებული „ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“. ეს არის კარლ პოპერის ცნობილი ნაშრომის დასახელების „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ გადასხვეფერება. ღირს იმის განხილვა, რა ეწერება მაისურაძის ამ კრებულში? ქართველ ლიბერალებს არ შეუძლიათ ლიბერალიზმის ლიბერალი კრიტიკოსების ნააზრევის შემოტანა. 2008 –09 წლების დიდი კრახის შემდეგ დასავლეთის აკადემიურ წრეებში დაიწყო ლიბერალ-კაპიტალიზმის რევიზია და კრიტიკულად შეხედეს იმას, რაც წინა ათწლეულებში უმაღლეს ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული. ქართველი ლიბერალები კი ჩარჩნენ 90-იან წლებში. მათთვის არაფერი მომხდარა. ისინი ვერაფერს ხედავენ. ცუდია ის, რომ ამ ლიბერალთა ოპონენტებიც 90-იან წლებში ჩარჩენილან და ვერას ხედავენ. ისინი აკრიტიკებენ ლიბერალებს ეკლესიის სახელით, ილია ჭავჭავაძის იდეების სახელით. ლიბერალები კი ილიას ნაღვაწს იჩემებენ და ეკლესიას აკრიტიკებენ. ეს ცოტაა სადღეისოდ. ახლა სხვაგვარი არგუმენტაციაა საჭირო. ამის გააზრება რომ არ შეუძლიათ ლიბერალებსა და მათ ოპონენტებს, ამიტომაა, რომ აზროვნება საქართველოში, გარდა იმისა, რომ ორივე ფეხით მოიკოჭლებს, ორივე თვალითაც ელამია და მხოლოდ იმას ხედავს, რასაც მოიგუნებებს. სამღვდელოებაც ვერ კამათობს ლიბერალებთან. ეს აღარაა საკმარისი, რომ ლიბერალებთან დავაში მღვდელმა მიუთითოს იოანე ოქროპირზე, მაქსიმე აღმსარებელსა და სერაფიმ საროველზე. არც ესაა საკმარისი, რომ ანტიქრისტეს მოსვლაზე იუბნო მათთან დავაში. ფილოსოფიური განსჯაა აქ დიდად საჭირო.

ლევან ბებურიშვილი სწორად წერს გიორგი მაისურაძის უცოდინრობაზე საეკლესიო საკითხებში. ბ-ნი ლევანი წერს: „ოღონდ რომის პაპი არ გამოიყვანოს დამნაშავედ და ყველაფერს „ბნელი“ მართლმადიდებლების იმპერატორს აბრალებს ავტორი“ (გვ. 55).

საქართველოში 90-იანი წლებიდან ასე დამკვიდრდა, რომ ლიბერალიზმის ბურჯად მიჩნეულ პაპს ქებას აღუვლენენ და მართლმადიდებლობას კი ქვას აყრიან. გემოს ჩატანებით წერენ ბიზანტიის ბასილევსების კარზე მომხდარ ინტრიგებზე, იმის წარმოსაჩენად, თუ რა საძაგელია აღმოსავლური ქრისტიანობა და კრინტს არ დაძრავენ ინკვიზიციაზე, 30-წლიან ომზე ვატიკანსა და პროტესტანტებს შორის. ლიბერალები უახლესი დროის მართლმადიდებელ პატრიარქებს უშიშროების აგენტებად რაცხენ. ბ-ნი ლევანი აღნიშნავს: „ნეოლიბერალები კატეგორიულად აყენებენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდაქმნის მოთხოვნას, თუმცა იშვიათად აკონკრეტებენ, რა იგულისხმება ამ გარდაქმნაში...“ (გვ. 90).

ამ გარდაქმნაში იგულისხმება ის, რომ ქართულმა ეკლესიამ სცნოს პაპის უზენაესობა, ან ის, რომ ქვეყანა გადავიდეს პროტესტანტიზმზე. შევარდნაძის დროიდან დაიწყო ამაზე ლაპარაკი. აქვე ლ. ბებურიშვილს მოჰყავს ზაზა შათირიშვილის ნამსჯელი ეკლესიაზე. არა, შათირიშვილი ნეოლიბერალთა მოდასე კათოლიკეა. ის კათოლიციზმის პოზიციიდან უტევს საქართველოს ეკლესიას, როდესაც ის ლაპარაკობს „სტალინურ მართლმადიდებლობაზე“. ეს არაა ფილოსოფიური მსჯელობა. ასე შეიძლება იმაზე ვილაპარაკოთ, რომ იყო ნაპოლეონური კათოლიციზმი, ფაშისტური კათოლიციზმი მუსოლინის დროს იტალიაში და ფრანკოს დროს ესპანეთში. რა, არ იყო? სულ ახლახანს უმცროსი ბუშის დროს იმპერიალისტური პროტესტანტიზმი არ იყო? რასაც შათირიშვილი ამბობს, ესაა პუბლიცისტური ილეთი, როდესაც სურთ ახსოვდეთ ბოლოს მომხდარი და არ ხედავენ ბოლოსწინა მოვლენებს. ეს ბოლოს მომხდარი გადაიქცევა ხოლმე პუბლიცისტური სპეკულირებისა და რეზონერობის საგნად. მასა კი ზანტი და უცოდინარია და ვინც მის თავმოთნეობას აამებს, ვინც მისთვის პამპულს გამართავს, იმას ემხრობა. შათირიშვილი ფილოსოფოსია და რელიგიაზე უბნობისას მას მეტი მოეთხოვება, ვიდრე სხვას.ბ-ნი ლევანი თავის წიგნში სწორს წერს, რომ თანამედროვე მწერლების კრიტიკა ეკლესიის მიმართ ზედაპირული ხასიათისაა და თანამედროვე რელიგიური სატირა უაღრესად ზედაპირულია (გვ. 101).

განა რომელიმე მათგანს აფიქრებს და სტკივა ის, რომ ეკლესიამ ბევრი სიმრუდე ჩაიდინა 1992 წლიდან. ისინი ერთობიან ამით. თუ რომელიმე მათგანს ევროპა დაუვლია და თეოლოგია უსწავლია, აქ მობრუნებული სნობურად ღვთისმეტყველობს.

ბ-ნი ლევანის წიგნში მოყვანილია ციტატა ეკლესიის ლიბერალი კრიტიკოსის, ავთო ჯოხაძის ნაწერიდან (გვ.19). ავთო ჯოხაძე ამბობს: „საქართველოს ეკლესია თავისი ორგანიზაციული წყობით ე. წ. „მასობრივი ტიპის“ ბოლშევიკური ყაიდის პარტიას ჩამოჰგავს“. ეს ფელეტონიზმია და არა კრიტიკა. ეკლესიის ორგანიზაცია პავლე მოციქულმა დააფუძნა. ბარემ მოციქულ პავლეზე ითქვას, რომ ის იყო ბოლშევიკი. სოციალიზმის იდეა ქრისტეს სწავლებიდან იღებს დასაბამს და ბარემ ქრისტეზე ითქვას, რო ის იყო ბოლშევიკი. საქართველო, რომ კათოლიკური ქვეყანა ყოფილიყო და მას შეხებოდა ომი ლუთერელებსა და კათოლიკეებს შორის, მაშინ ზუსტად ასევე იქილიკებდნენ საქართველოს კათოლიკურ ეკლესიაზე. მონარქის დამხობა რომ საქართველოს გუშუნდელი დღე ყოფილიყო, აი მერე გენახათ ამდენი ფელეტონისტის ქილიკი და ხითხითი მეფეზე, სამეფო დინასტიაზე. ავთო ჯოხაძეს რომ წაეკითხა ნეოლიბერალ ფრენსის ფუკუიამას წიგნი „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“, ასე აღარ იმსჯელებდა ეკლესიაზე. ქართველი ლიბერალების დამცინაობა მღვდლების მიმართ, მათი ქილიკი ეკლესიაზე არის სხვისი ჩაძახილით ნაშობი. ისინი არც ათეისტებად გამოდგებიან, არც დეისტებად, არც ერეტიკოს-დისიდენტებად. მათი სიძულვილი საქართველოს მიმართ არის კონსიუმერული გაცხარება ცუდი საქონლის გამო. მათ აღშფოთებასა და სიძულვილს არ აქვს იდეური წარმომავლობა და თვითობა, არა აქვს მერმისი. ამიტომ ყოველი მათი ნეგაცია უნაყოფოა და უმიზნო. ლევან ბებურიშვილის წიგნში კარგადაა დახასიათებული ლიბერალთა სიძულვილი საქართველოს მიმართ (გვ. 20 – 22)

რასაც ახლა ამბობენ ლიბერალები ეკლესიის გასაკრიტიკებლად, ეს უკვე შევარდნაძის დროსვე იყო თქმული ნაირა გელაშვილის მიერ 2001 წელს ზემოთ დასახელებულ კრებულში (გვ. 4 – 11). აქ მხოლოდ ერთი რამ არაა სწორი: ქ-ნი ნაირა წერს ზვიად გამსახურდიას პიროვნულ დაპირისპირებაზე ილია II-სთან, რახან პატრიარქმა 9 აპრილის მიტინგის დაშლისაკენ მოუწოდა. არა, ეს პიროვნული დაპირისპირება არ იყო. შეკრებილნი არ დაეთანხმნენ პატრიარქს და არ დაიშალნენ. სხვა ყოველივე, რაც რედაქტორის წინასიტყვაობაში წერია, სრულიად სამართლიანი კრიტიკაა. ცუდი ისაა, რომ ასეთ კრიტიკას ისევ ლიბერალი გამოთქვამს და არა ეროვნული დასის წარმომადგენელი. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელ მწერალთა უმეტესობა ლიბერალ მწერლებს შაბლონურ კონფორმიზმში ტოლს არ უდებს. ეს გაცილებით უარესია, ვიდრე სამსიძაო პროზისა და პოეზიის მოძალება.

ლევან ბებურიშვილს შეედავნენ ცნების „ვულგარული ნატურალიზმის“ გამო (იხ. www.mtserloba.wordpress.com ლევან ბებურიშვილი. „ნეოპლაგიატიზმი“ თუ ბოღმიანი უმეცრება?!“. 23 აპრ. 2014 წ.) .ფილოლოგმა თამთა ცეცაძემ თქვა, რომ ეს ცნება ბ-ნმა ლევანმა სხვას მოჰპარა. ცნება მომდინარეობს XIX საუკუნის ევროპული ლიტმცოდნეობიდან და მოსაპარი აქ არაფერია. ლიტმცოდნეობის ცნებები იმიტომ იქმნება, რომ ისინი სამწერლო მიმოქცევაში შემოვიდეს და სახეც იცვალოს (უხეში ნატურალიზმი და სხვ). საკამათო ეს კი არა, არამედ ზაზა ბურჭულაძის და სხვათა ნაწერებია. საწყენია, რომ ბ-ნ ლევანს უფროსი კოლეგები არ დაუდგნენ გვერდში ლიბერალ-გენიტალისტ მწერალთა გაკრიტიკების დროს. ფრიად საწუხია, როდესაც, ბ-ნი ლევანი ამ პოლემიკაში წერს: „ჩემი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ უფროსთაგან უფრო მიგრძვნია შური, ვიდრე თანატოლთაგან“. ამ პოლემიკაში ლევან ბებურიშვილი ცამდე მართალია და მე მის გვერდით ვარ. მის შრომას დანახვა ესაჭიროება. მისი წიგნის წაკითხვა პრინციპულ და ნათელ დამოკიდებულებას მოითხოვს. ისევ თავად ბ-ნი ლევანის ნათქვამს დავიმოწმებ. ის წერს: „ჩვენს ხელისუფლებას კი ჯერჯერობით გამუდმებით უწევს თავის მართლება დასავლეთთან ... მოიცლის თუ არა იგი ეროვნულ ფასეულობათა დასაცავად, არავინ იცის“ (ლევან ბებურიშვილი. „ოიკოფობია როგორც თანამედროვე ქართული ლიბერალიზმის არსებითი ნიშანი“. „ჩვენი მწერლობა“, 3 მაისი, 2013, 9, გვ. 4).

გზას დავულოცავ ლევანს, რომელსაც სიტყვაც მოუდის და კალამიც დიდად ემარჯვება! ვუსურვებ მას შემოქმედებით აღმაფრენას! მეტი გაეკეთებინოს ძველი თავადური გვარის შთამომავალ ახალგაზრდა კაცს ქართული სიტყვის ასპარეზზე!

გოჩა გვასალია,
ივლისი, 2014 წ.

“სექსუალური ქცევის კოდექსი“ (1924 წლის რედაქციით “საბჭოთა კავშირი“)

კოდექსში წარმოდგენილია თუ რა წესებს უნდა დამორჩილებოდნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები.
მუხლი 1: პროლეტარიატს შორის სქესობრივი ცხოვრება ადრეულ ასაკში არ უნდა დაიწყოს.
მუხლი2: აუცილებელია ქორწინებამდე სქესობრივი მოთხოვნილებების შეკავება. ქორწინება კი სოციალურ და ბიოლოგიურ მომწიფების პერიოდში, 20-25 წლის ასაკშია დასაშვები.
მუხლი 3: სქესობრივი კავშირი მხოლოდ სიყვარულის ობიექტის მიმართ მრავალმხრივი სიმპათიებისა და მიჩვევის დასკვნითი ნაწილია.
მუხლი 4: სასიყვარულო აქტი მოცემულ მომენტში წყვილს შორის არსებული სიღრმისეული და რთული განცდების დაბოლოებაა.
მუხლი 5: სქესობრივი აქტი ხშირად არ უნდა მეორდებოდეს.
მუხლი 6: სქესობრივი ობიექტის ხშირი ცვლა დაუშვებელია. რაც შეიძლება ნაკლები მრავალფეროვნება.
მუხლი 7: სიყვარული უნდა იყოს მონოგამიური.
მუხლი 8: ყოველი სქესობრივი აქტისას გახსოვდეთ, რომ შეიძლება ბავშვი გაგიჩნდეთ – საერთოდ, ამ დროს იფიქრეთ შთამომავლობაზე.
მუხლი 9: სქესობრივი ობიექტის შერჩევა კლასობრივი რევოლუციის თანახმად, პროლეტარისთვის დამახასიათებელი მიზანდასახულებით უნდა მოხდეს.
მუხლი 10: სასიყვარულო ურთიერთობაში არ უნდა იქნას გამოყენებული ფლირტი, თავის მოწონება, კეკლუცობა და სქესობრივი მოხიბვლის სხვა ხერხები.
მუხლი 11: დაუშვებელია ეჭვიანობა.
მუხლი 12: კლასს შეუძლია ჩაერიოს თავის წევრების სქესობრივ ცხოვრებაში. რევოლუციის ინტერესების სასარგებლოდ, ყველაფერი სქესობრივი კლასობრივს უნდა დაემორჩილოს. ეს უკანასკნელი მას ხელს არაფერში შეუშლის, პირიქით, ყოველმხრივ დაეხმარება.
დანართი: “სამსახურიდან დაბრუნებული მეუღლის დახვედრის წესები“ “გახსოვდეთ, რომ ქმრის სამსახურიდან დაბრუნებისთვის ყოველდღე უნდა მოემზადოთ. ბავშვებიც მოამზადეთ – დაბანეთ, დავარცხნეთ და ლამაზად ჩააცვით. თქვენც მოწესრიგდით, სუფთა წინსაფარი გაიკეთეთ. სილამაზისთვის კარგი იქნება თმაზე ბაფთა გაიკეთოთ. ახალმოსულ ქმარს ლაპარაკს ნუ დაუწყებთ, გაიხსენეთ როგორ იღლება და ყოველდღიურად რამდენი რამის კეთება უწევს თქვენს გამო. ჩუმად ავახშმეთ, შემდეგ საშუალება მიეცით გაზეთი წაიკითხოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკეთ“.
წყარო:http://www.fmabkhazia.com/news/4244-sekhsualuri-khcevis-kodekhsi1924-clis-redakhciith-sabchotha-kavshiri.html

როგორ ვიზრუნოთ მიცვალებულთა სულებისათვის

1. სული სიკვდილის შემდეგ

უპირველეს ყოვლისა მტკიცედ უნდა გვწამდეს: ადამიანის სული არ კვდება; ის მხოლოდ ტოვებს სხეულს და ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის, გარდაიცვლება.

საღმრთო გამოცხადებისა თუ თვითმხილველთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად ეკლესიას დაუგროვდა გარკვეული ცოდნა სულის იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ. ეს სწავლება გადმოცემულია მამათა ნაწერებში, მოკლედ კი მისი არსი შემდეგია:

გარდაცვალებისას ხდება სულის გამოყოფა სხეულიდან. პირველი სამი დღე იგი იმყოფება დედამიწაზე, დასტრიალებს საკუთარ სხეულს, ახლობელ ადამიანებს. ემშვიდობება მათ; განსაკუთრებით უხარია იმ ადგილების მონახულება, სადაც ოდესმე სიკეთე ჩაუდენია.

მესამე დღეს (პირველ დღედ გარდაცვალების დღე ითვლება) ანგელოზები სულს ზეცაში აიყვანენ და წარადგენენ უფალთან. ამის შემდეგ ექვსი დღის განმავლობაში ათვალიერებენ სასუფევლის სანახებს.

გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს მას კვლავ წარადგენენ უფალთან, რის შემდეგაც ახლა ჯოჯოხეთს მოატარებენ.

მეორმოცე დღეს შედგება ახალგარდაცვალებულის პირადი სამსჯავრო. ანგელოზები წარმოადგენენ მის კეთილ საქმეებს, რაც სიცოცხლეში ჩაუდენია, აგრეთვე იმ სიკეთესაც, რომელიც მის სახელზე სხვამ აღასრულა, განსაკუთრებით გარდაცვალების შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში; დაცემული სულები კი წარმოაჩენენ მის ცოდვილ ცხოვრებას. უფალი ჩვენი იესო ქრისტე გაასამართლებს სულს და დედამიწაზე თავის მეორედ მოსვლამდე მიუჩენს დროებით სამყოფელს.

ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ შედგება საერთო სამსჯავრო, სადაც თითოეული ადამიანის სულს უფალი ხელახლა გაასამართლებს ყველას თანდასწრებით და უკვე სამუდამო ადგილ-სამყოფელს მიუჩენს. იმის მიხედვით, თუ როგორ ზრუნავდნენ მისთვის ახლობლები, როგორ ლოცულობდა ეკლესია, შეიძლება სული ჯოჯოხეთიდან სამოთხეშიც იქნას აყვანილი. განსაკუთრებით ძლიერია დედის ლოცვა.

ასე, რომ ახლობელ ადამიანს ჩვენ მხოლოდ დროებით ვშორდებით, რათა შემდეგ სამუდამოდ შევეყაროთ. ცხადია, ადამიანისათვის ნებისმიერი განშორება მძიმეა, მით უმეტეს ასეთი გაურკვეველი ვადით, მაგრამ სასოწარკვეთასა და წრეგადასულ მწუხარებას მაინც არ უნდა მივეცეთ. გვახსოვდეს, არც ღმერთი მოგვიწონებს ამას და მიცვალებულსაც საშინელ ტკივილს მივაყენებთ.

ადამიანისათვის თავის მახლობელთა მწუხარება განსაკუთრებით მძიმეა მისი გარდაცვალების ჟამს, როდესაც გარეგნულად სიცოცხლე აღარ ეტყობა, სული კი სხეულს საბოლოოდ არ გაყრია; აგრეთვე პირველ დღეებში, როდესაც სული ცხედართან ახლოს იმყოფება.

ჩვენ დარდს ორი გარემოება ამსუბუქებს: ერთი, რაც უკვე ვთქვით, რომ სული არ კვდება და მასთან განშორება არაა მარადიული, და მეორე ჩვენ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ მისი სამუდამო ადგილ-სამყოფელის განსაზღვრაში, ჩვენ შეგვიძლია ვიზრუნოთ მისთვის.

2. ლოცვა მიცვალებულისთვის

ა) პანაშვიდი

ახლადშესვენებულს ეკლესიაში უნდა გადავუხადოთ პანაშვიდი:

პირველ დღეს, როცა გარდაიცვლება;

მე-3 დღეს, როდესაც პირველად წარდგება უფალთან;

მე-9 დღეს, როდესაც მეორედ წარდგება უფალთან;

მე-40 დღეს, როცა ის პირად სამსჯავროზეა.

და ამის შემდეგ გარდაცვალების ყოველ წლისთავსა და დაბადების დღეზე.

გარდა ამისა, როგორც საზოგადო ლოცვების განხილვისას აღვნიშნეთ, ეკლესიაში წლის განსაკუთრებულ დღეებში დანიშნულია საზოგადო პანაშვიდები (ეს დღეები ყოველწლიურად უნდა ვნახოთ საეკლესიო კალენდარში, ან შევიტყოთ ეკლესიაში), რომელსაც უნდა დაესწროს ჭირისუფალი.

კარგი იქნება, თუ მეორმოცე დღისათვის შევუკვეთავთ წირვას მიცვალებულის სახელზე, რომელსაც დაესწრებიან ოჯახის წევრები და მიიღებენ წმინდა ზიარებას შესაბამისად მომზადებულნი. ამის შემდეგ სასურველია დროდადრო კიდევ შევუკვეთოთ წირვები. ძველი ტრადიციით მიცვალებულისთვის შვიდი წირვა სრულდება.

ბ) წესის აგება

გასვენების დღეს მიცვალებულს წესი უნდა ავუგოთ; წესის აგებას ასრულებს მღვდელი ან ოჯახში ცხედართან, ან ეკლესიაში.

თუ გასვენებისდღესრამიმეზეზითწესისაგებაარხერხდება,შეიძლებაშესრულდეს ადრეც. აგრეთვე, ამ ლოცვის შესრულება შეიძლება ძველი მიცვალებულისთვისაც, რომელსაც თავის დროზე წესი არ აუგეს.

სასურველია ოთახში მიცვალებული ისე იყოს დასვენებული, რომ აღმოსავლეთს უყურებდეს (თუ ფართობი საშუალებას გვაძლევს). მას თავთან უნდა ედგას ნაკურთხი წყალი, ხორბალი და ენთოს კანდელი (კანდელი არის მცირე ზომის ჭურჭელი ზეთით, რომელშიც ჩადებულია ბამბის პატრუქი. იგი შეიძლება შეიძინოთ ეკლესიაში ან დავამზადოთ სახლში). მიცვალებულთან შეიძლება ენთოს სანთელიც.

გ) ფსალმუნების კითხვა

მიცვალებულთათვის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმაც უნდა ილოცონ. ყველაზე კარგი, ტრადიციული ფორმა არის საგალობლების კითხვა წმ. დავით წინასწარმეტყველის "ფსალმუნებიდან", რომელიც იყიდება ეკლესიაში. წიგნი სანიშნით მიცვალებულთან ახლოს, გამოსაჩენ ადგილას უნდა იდოს, რომ ყველა მსურველს შეეძლოს წაკითხვა, რაც მიცვალებულის სულს დიდ შემწეობას უწევს.

ავიღებთ წიგნს, გავაგრძელებთ კითხვას დანიშნული ადგილიდან. წავიკითხავთ სადამდეც შევძლებთ, დავნიშნავთ და დავდებთ თავის ადგილზე, რომ შემდეგ სხვა მსურველმაც წაიკითხოს. გასვენებამდე რაც მეტჯერ მოესწრება წიგნის ბოლომდე წაკითხვა, მით უკეთესი.

ძველად ფსალმუნებს შეუწყვეტლად უკითხავდნენ მიცვალებულს მთელი დღე-ღამის განმავლობაში. აქედან მოდის დღემდე შემორჩენილი ტრადიცია ცხედართან ღამისთევისა. ასე, რომ თუ ჭირისუფლები მიცვალებულს ღამეს უთევენ, სასურველია რიგრიგობით ფსალმუნების კითხვა.

დ) მიცვალებულის მოხსენება საზოგადო ლოცვის დროს

მიცვალებულის სული, გარდა საკუთრივ მისთვის მიძღვნილი ლოცვისა, შეიძლება მოვიხსენოთ საზოგადო ლოცვაშიც.

მოხსენება კვეთაში. მეტად მნიშვნელოვანია მოხსენება მღვდლის მიერ წირვის დროს. წირვის დაწყებამდე დილით ან წინა საღამოს ეკლესიაში უნდა შევიძინოთ საგანგებოდ გამომცხვარი მცირე ზომის პური — სეფისკვერი; შემდეგ ფურცელზე დავწეროთ "გარდაცვლილნი" და ჩამოვწეროთ ახლობელ მიცვალებულთა სახელები.

(ტრადიციულად მიცვალებულისათვის შევიძენთ ხოლმე ჯვრის გამოსახულებიან, ხოლო ცოცხალი ადამიანის მოსახსენებლად — ყოვლადწმინდა სამების ან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გამოსახულებიან სეფისკვერს. ერთი სეფისკვერი შეიძლება შეიგზავნოს ერთი ან რამდენიმე ადამიანისათვის). სეფისკვერსა და მოსახსენიებელ ფურცელს დავტოვებთ შესაბამის ადგილზე, საიდანაც მნათე შეიტანს საკურთხეველში. მღვდელი წირვის დროს ამ სეფისკვერიდან მოხსენებულთა სახელებზე ლახვრით ამოკვეთს მცირე ზომის ნაწილებს, შენირავს მსხვერპლად და წირვის ბოლოს ჩაუშვებს წმ. ბარძიმში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არის შემთხვევები, როდესაც მიცვალებულის მოხსენება კვეთაში არ შეიძლება:

1. თუ ადამიანი არ იყო მონათლული მართლმადიდებლურად;

2. თუ იგი სიცოცხლის ბოლომდე გმობდა ღმერთს;

3. თუ თავისი სიცოცხლე შეგნებულად დაამთავრა თვითმკვლელობით.

თუ რა ვიღონოთ ასეთი მიცვალებულისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოძღვართან უნდა გავარკვიოთ.

ე) ორმოცდღიანი მოსახსენებელი

ეკლესიაში არსებობს ტრადიცია მიცვალებულის მოხსენებისა კვეთაში ორმოცი დღის განმავლობაში. ტაძრებში, სადაც წირვა ყოველდღე მიმდინარეობს (სიონი, ანჩისხატი, ქაშუეთი, სვეტიცხოველი, აღ. ნეველის სახელობის რუსული ეკლესია), ჭირისუფლის თხოვნით მიცვალებულს იხსენებენ კვეთაში ყოველდღე ორმოცი დღის მანძილზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიცვალებულის 40 დღიანი მოხსენება დიდი მარხვის პერიოდში.

ვ) მოხსენება საზოგადო პანაშვიდზე

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მიცვალებული შეიძლება მოვიხსენოთ საზოგადო პანაშვიდზე. ამისათვის ფურცელზე დაწერილი სახელი უნდა მივაწოდოთ მღვდელს.

მიცვალებული შეიძლება მოვიხსენოთ აგრეთვე პირადად, დილის ლოცვების შესრულებისას შესაბამის ადგილას.

ზ) სანთლის დანთება

მიცვალებულის მოხსენების ერთ-ერთი ფორმაა სანთლის დანთება, რისთვისაც ეკლესიაში გამოყოფილია კუთხე მაცხოვრის ჯვარცმის გამოსახულებით.

სანთლის დანთება გარდაცვლილი ადამიანისათვის შეიძლება სახლშიც, ხატებთან ან მის სახელზე გაწყობილ სუფრაზე.

* * *

ტრადიცია მიცვალებულთა მოხსენებისა ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან მოდის, როდესაც იუდა მაკაბელმა იდუმიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახოცილ მებრძოლთა განსაწმედელად მსხვერპლი შეაწირინა იერუსალიმში.

ახალ აღთქმაში მიცვალებულთა ლიტურგიული მოხსენება ყველაზე ადრე დაფიქსირებულია წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვაში.

ამ ტრადიციას ასახავს ქართული სუფრაც: ჩვენ სადღეგრძელოში ვიხსენებთ გარდაცვლილ ადამიანებს და მათ სახელზე მივიღებთ ხოლმე ღვინოში ჩაწობილ პურს, რაც სიმბოლურად მიცვალებულის ზიარებას ნიშნავს. ზოგჯერ კი ჭიქიდან ღვინოს პურზე ან მიწაზე დავღვრით ხოლმე. ესეც სიმბოლურია, და მიცვალებულისათვის ცოდვათა მიტევებას ნიშნავს, ისევე, როგორც ჯვარცმისას მაცხოვრის სისხლი დაიღვარა მიწაზე, გაჟონა და დაეწვეთა ჯვრის ქვეშ დასაფლავებული ადამის თავის ქალას და განწმინდა იგი პირველი ცოდვისაგან.

3. მოწყალების საქმე

მიცვალებულის სულს შეგვიძლია დავეხმაროთ მოწყალების საქმითაც, რამეთუ მის სახელზე გაკეთებულ სიკეთეს ღმერთი მას მიუთვლის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოწყალების გაღებას გარდაცვალებიდან პირველი ორმოცი დღის განმავლობაში, რაც მას პირად სამსჯავროზე წაადგება, ასევე შემდგომშიც. ყოველი ასეთი კეთილი საქმე მიცვალებულის სულს უდიდეს შვებას ანიჭებს. მასთან, რაც უფრო შორეულ და უცხო ადამიანს დავეხმარებით, მით მეტია ღმრთის მადლი, რადგან ახლობელი ადამიანი თვითონ გადაგვიხდის სამაგიეროს, უცნობის ნაცვლად კი ჩვენ და ჩვენს მიცვალებულს ღმერთი დაგვლოცავს.

მოწყალების საქმე შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი:

ა) საკურთხი

გარდაცვალების პირველსავე დღეებში მიცვალებულის სახელზე უნდა იკურთხოს მარილი, რომელსაც გამოვიყენებთ საკურთხის მომზადებაში.

საკურთხად იწოდება მიცვალებულის სახელზე მომზადებული ტრაპეზი: წანდილი, პური, ღვინო, ზეთი და სხვა საჭმელები. იგი მზადდება დასარიგებლად. მისი ნაწილი შეიძლება წავიღოთ ეკლესიაში და იქ დავტოვოთ, ან ჩვენ თვითონვე დავურიგოთ გაჭირვებულ ადამიანებს. საჭმლის დანარჩენი ნაწილი შეიძლება დავურიგოთ ახლობლებსაც ან გამოვიყენოთ სტუმრების გასამასპინძლებლად შინ, მაგალითად გარდაცვალების დღეს, მეორმოცე დღეს, წლისთავზე და სხვა ღირსახსოვარ დღეებში.

ბ) ტანსაცმლის გაცემა

მიცვალებულის სახელზე შეიძლება გავცეთ ტანსაცმელი და სხვა ნივთებიც. არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმად ორმოცამდე მიცვალებულის ახლობლები არიგებენ მის ტანსაცმელსა და პირად ნივთებს.

დასარიგებლად გამზადებული ეს ნივთები შეიძლება მივიტანოთ მონასტერში ან ეკლესიაში, საიდანაც ხდება მისი განაწილება ან უშუალოდ უპატრონოთა სახლში, სადაც მათზე დიდი პრაქტიკული მოთხოვნილებაა (ასეთი თავშესაფრები არის ძეგვში, ცხინვალში, ბედიანში და სხვაგან).

გ) ფულადი შესაწირავი

მიცვალებულის სახელზე შეგვიძლია გავიღოთ აგრეთვე თანხა. ფული შეგვიძლია დავურიგოთ გლახაკებს (რასაც ქრისტიანი სისტემატურად უნდა აკეთებდეს; უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II რჩევით ყველა მორწმუნეს უნდა ჰყავდეს ერთი გაჭირვებული ადამიანი მაინც, რომელსაც სისტემატურად დაეხმარება); ფული შეგვიძლია შევწიროთ ეკლესიას ან მიცვალებულის სახელზე მოვახმაროთ რაიმე კეთილ საქმეს. მაგალითად, სიონის ტაძარში დგას სალარო მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელსაც კვირაში ერთხელ ხსნიან და ფულს ურიგებენ მრავალშვილიან დედებს.

მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი,
„წესი ქრისტიანის ცხოვრებისა“, თბილისი, 1998 წ.

წყარო:http://www.orthodoxy.ge/suli.htm

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***